ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „ფრანკო“ — 8 ლარი 4-დან 18 აპრილამდე

18 აპრილის შემდეგ „ფრანკოს“ ფასი 12 ლარი გახდება




ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2011 | №82 (5463) | ფასი: 30 თეთრი

# ბოკერიას და მერაბიშვილის გუნდები ერთმანეთს დაეტაკნენ



გვ.2



## სააკაშვილი მინისტრებს აუცილებლად გადააყენებს

სააკაშვილმა შეიძლება მინისტრთა კაბინეტი მთლიანად დაითხოვოს და ამით მხოლოდ ცოტა ხნით გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. მას არც დაპირებული 100 დოლარიანი პენსია უშველის და არც არაფერი, რადგან ინფლაციას ლაგამს ვეღარ დებს სააკაშვილი.



გვ.7



## ხელისუფლებას არ შევუშინდებით!

გვ.8

ადა მარშანიამ პატრულს მიტინგი მოუწყო



## პატიმრებს ბაჩო ახალაია სანატრელი გაუხდათ

გვ.5



## ყველა ორსული სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს

გვ.8

## რუსულ სიმღერებზე ცეკვის უფლება მარტო ნაციონალებს ექნებათ

გვ.4

## ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება

გვ.7





## თინა ხიდაშელი შესაძლოა, მინისტრის მოადგილე გახდეს

გვ.3



## თავის გადასარჩენად ხელისუფლება ლობე-ყორეს ედება

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**10** როდის დაიწყო ისრაელმა სოხუმთან კონტაქტების დამყარება

**12** დავით გარეჯში სისხლიანი დაკვირვებები მიმდინარეობს

**9** ვინ დააწყებინა საქართველოს ომი 2008 წელს

**3** პარტიული რეიტინგები დღეიდან გახდება ცნობილი

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბოკერიას და მერაბიშვილის გუნდები ერთმანეთს დაეტაკნენ



**ბოლო პერიოდია, რაც არ წყდება საუბრები „ნაციონალების“ შიგნით მიმდინარე პროცესებზე და ამაზე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. უამრავი ვერსიაც არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, „ნაციონალებში“ განხეთქილებაა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც კი მიმდინარეობს. მეორე ვერსიით, მმართველი გუნდის წევრები ხვდებიან, რომ გემი იძირება და ზოგ-ზოგიერთები უკვე გასაქცევად ემზადებიან. მესამე ვერსიით კი „ნაციონალებში“ არანაირი დაპირისპირება არ არის, ისინი, როგორც ყოველთვის, შეხმატკბილებულები არიან და ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ — მომავალ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა. ამაზე ზრუნვა კი აქედანვე დაიწყეს და ხელისუფლების თავისივე გუნდიდან ჩანაცვლების გეგმაზე მუშაობენ. მოკლედ, „ნაციონალების“ შიგნით არსებულ პროცესებზე უამრავი ვერსია და ვარაუდი გამოითქვა. საინტერესოა, რა ხდება რეალურად „ნაციონალებში“? „ახალი თაობა“ ამ საკითხით დაინტერესდა და აი, რა გაარკვია.**



**ქეთი ხომერიკი**

„ახალი თაობის“ კომპეტენტური წყაროს თქმით, „ნაციონალებში“ ამ ეტაპზე განხეთქილება და რაიმე სახის სერიოზული დაპირისპირება, ნამდვილად, არ არსებობს, თუმცა, რამდენიმე დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთს ძალაუფლების ქონაში კარგა ხანია ეჯიბრებიან და რომეთაც ერთმანეთზე მზე და მთვარე არ ამოსდით, რადგან კონკურენტები არიან, ასე ვთქვათ, „ლაითად“ ნამდვილად ებრძვიან ერთმანეთს. დიახ, „ლაითად“, ამ ეტაპზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათ შორის ნამდვილად არ მიმდინარეობს. აი, რას გვიყვება წყარო: „ნაციონალებში“ რეალურად ორი დაჯგუფება არსებობს: ადეიშვილი-ბოკერია-უგულავასი, რომელიც საკმაოდ ძლიერი ჯგუფია და მერაბიშვილი-ტყეშელაშვილის, რომელიც არანაკლებ ძლიერია და საკვანძო ფიგურებიც სწორედაც რომ ესენი არიან. თუმცა, საკვანძო ფიგურების მიუხედავად ამ ჯგუფებს შორის ბალანსი დღემდე არსებობს. დღეს ამ ორ ჯგუფს შორის ფრონტალური პოზიციების დაკავების და გამაგრების პროცესი მიდის. მათ შორის როგორც გითხარით, შეტევას და გამიშვი-დამიჭირეს, ჯერჯერობით, ადგილი არ აქვს. სწორედაც რომ ამ ორი ჯგუფის გავლენის ქვეშაა მედიასაშუალებები. ტყეშელაშვილ-მერაბიშვილს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა სატელევიზიო საშუალებების უმეტესობაზე, თუმცა, ეს გავლენები საბოლო ჯამში მაინც საზიაროა ადეიშვილი-ბოკერია-უგულავას ჯგუფთან, რადგან მათ უდიდესი გავლენა აქვთ უშუალოდ ტელევიზიების საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელებზე. ამ ადამიანებს კი ჯერ არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელი ჯგუფის მხარე დაიჭირონ, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, იმ ჯგუფის მხარეს დადგებიან, რომელიც მეტად გაძლიერდება. ბიზნესი და ფინანსური ნაკადები მთლიანად ადეიშვილის გავლენის ქვეშ არის. კეზერაშვილის შემოსავლების სამსახურიდან ხალხი გაყრილი და ადეიშვილის პროკურორებით ჩანაცვლებული იქნა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მერაბიშვილს არაფერი. იგივე ამ შემოსავლების სამსახურის და მანდ მომუშავე ადამიანების მუშაობაზე დიდ გავლენას მოახდენს კომპრომატების დაგროვება და რეალიზაცია, რომელსაც მერაბიშვილის უწყება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს. სწორედ მერაბიშვილია ის ადამიანი, რომელიც შსს-ს ინფრასტრუქტურის მეშვეობით გადამწყვეტ გავლენებს ფლობს რეგიონის გუბერნატორებზე და რაიონების გამგებლების მუშაობაზე. მოკლედ, დღეს, აი, ამ ორ ძლიერ ჯგუფს შორის მიდის ძალაუფლების გადანაწილება, ხელთპყრობაზე ბრძოლა. ჩვენს კონფიდენციალურ წყაროს უჭირს იმის გადაჭრით თქმა, თუ რომელი ჯგუფისკენ უფრო მეტად იხრება სააკაშვილის სიმპათიები, თუმცა, ის მაინც თვლის, რომ სააკაშვილის ფავორიტები მერაბიშვილ-ტყეშელაშვილი არიან. საუბრები იმის შესახებ, რომ სააკშვილს მისი გუნდი მართავს ბლეფია. სააკაშვილი თავად იღებს გადაწყვეტილებებს და არავის მძევალი არ არის. წყაროს მტკიცებით, სააკაშვილი პოლიტიკიდან არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს წასვლას და სავარაუდოდ, არც წავა. წყარო ვერ გვიკონკრეტებს პრემიერ-მინისტრობას, თუ პარლამენტის თავმჯდომარეობას უმიზნებს სააკაშვილი, თუმცა, პოლიტიკიდან რომ არ მიდის, ეს ზუსტად იცის. პრეზიდენტად ამ ეტაპზე დავით ბაქრაძე რომ მოიაზრება, ესეც დანამდვილებით იცის. სააკაშვილი ჯერჯერობით თავისივე გუნდს არ უმხელს თუ რა თანამდებობაზე უდგას თვალი და არგამხელის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არ დაარღვიოს ამ ორ ჯგუფს შორის არსებული ე.წ. სიმშვიდე, რადგან თუკი მან თქვა თუ რას აპირებს, მაშინ ეს ორი ჯგუფი ფრონტალური პოზიციების დაკავების პოზიდან დღესვე მოქმედების აქტიურ ფაზაში გადავა. თუმცა, ეს პროცესი ამ ჯგუფებს შორის ადრე თუ გვიან მაინც დაიწყება. საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის დასაწყისი შემდგომ ამ პროცესის დინამიკას ბიძგს მისცემს, — ამბობს, წყარო. მომავალი პარლამენტი რეალურად განსაზღვრავს, როგორ განლაგდება ხელისუფლება და ეს ორი ჯგუფი უკვე ზრუნავს იმაზე, რომ მათი გავლენა მომავალ პარლამენტში ძალიან ძლიერი იყოს. ამ რესურსებზე როცა ვლაპარაკობთ, აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ ოპოზიციასთან და უცხოელებთან ურთიერთობა არის. ადეიშვილი-ბოკერია-უგულავას ჯგუფის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ მერაბიშვილ-ტყეშელაშვილისგან განსხვავებით თანამდებობების გამო მეტი კონტაქტი აქვთ უცხოელების ირგვლივ, მაგრამ ამის სამაგიეროდ მეორე მხარის ძალას ამყარებს ის, რომ მათ მეტი საყრდენი აქვთ საქართველოში ადგილობრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. რაც შეეხება ამ ჯგუფების ოპოზიციასთან ურთიერთობას. ოპოზიციის კუთხით გარკვეული ტენდენცია იკვეთება და უკვე გამოიკვეთა კიდეც. რადიკალურ ოპოზიციასთან რა ხდება, არ ვიცით, თუმცა, წყაროს თქმით, ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიციის ერთ-ერთ ძალასთან ადეიშვილ-ბოკერია-უგულავას დაჯგუფებას უკვე აწყობილი ჰქონია საქმე. წყაროს მტკიცებით, ბოკერიას ჯგუფს „ქრისტიან-დემოკრატებთან“ საერთო ენა ვერ გამოუნახავს, აი, „თავისუფალ-დემოკრატ“ ალასანიასთან კი საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებია და ალასანიას სახით საყრდენიც კი უპოვია. ისე, ბოკერია-ალასანიას ფარული გარიგების შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელებულა და საზოგადოებაც მათი შეხვედრების მომსწრე არაერთხელ გამხდარა. თუმცა, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ამას ჩვენი კონფიდენციალური წყარო გვიმტკიცებს, რომელიც ამ სიტუაციებში ჩვენზე კარგადაა ჩახედული.

წყაროს მტკიცებით, „ნაცმოძრაობის“ ეს ორი ჯგუფი ეცდება, რომ თითოეულს ჰყავდეს თავისი დეპუტატი პარლამენტში და ამიტომაც პარტნიორებს ოპოზიციაში ეძებს. როგორც გითხარით, ადეიშვილი-უგულავა-ბოკერიას ჯგუფმა პარტნიორი უკვე გამონახა ალასანიას სახით. ბუნებრივია, იკითხავთ, რაში აწყობს ალასანიას ბოკერიას ჯგუფთან პარტნიორობა? თავის მხრივ, ალასანიაც ეძებს საყრდენს იმისთვის, რომ პარლამენტში მოხვდეს, ხელისუფლების დახმარების გარეშე კი პარლამენტში ვერ მოხვდება, აი, ამიტომ აწყობს მას ბოკერიასთან პარტნიორობა. რატომ ვერ მოხვდება ხელისუფლების დახმარების გარეშე პარლამენტში? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ იმიტომ, რომ დაბალი რეიტინგი აქვს და მას იმის შანსიც კი არ აქვს, რომ არჩევნებზე ბარიერი გადალახოს და პარლამენტში მოხვდეს. შესაბამისად, ბოკერიასთან პარტნიორობა მას პარლამენტში მოხვედრის გამო სჭირდება. ადგილობრივი არჩევნების დროს ალასანიას „რესპუბლიკელების“ და „ახალი მემარჯვენეების“ მხარდამჭერებმაც დაუჭირეს მხარი და ასე თუ ისე, ნორმალური რაოდენობის ხმები დააგროვა. ახლა კი ის მარტოა და ცალკე მოთამაშედ არჩევნებში ბარიერის გადალახვასაც კი ვერ შეძლებს, — ირწმუნება წყარო. ბოკერიას კი, როგორც გითხარით, უნდა, რომ პარლამენტში თავისი დეპუტატი ჰყავდეს. „ხელი ხელს ბანსო“ — აი, ამ პრინციპით მოქმედებს ალასანია-ბოკერიას დუეტი და ისინი ამაზე უკვე შეთანხმდნენ, — გვიმტკიცებს წყარო. ერთი სიტყვით, ბოკერიამ ალასანიასთან საერთო ენა გამონახა, „ქრისტიან-დემოკრატებთან“ კი ვერა. რატომ? მათ შორის, სხვა თუ არაფერი, იდეოლოგიური სხვაობა მაინც არის.

„ქრისტიან-დემოკრატებიც“ არ არიან ანგელოზები, თუმცა, ბოკერიასა და მის მომავალ პარტნიორ ალასანიასგან მენტალობით, ღირებულებებით და თუნდაც, წარსულით განსხვავდებიან ხომ, ამიტომ მათ შორის რაიმე ტიპის თანამშრომლობა ვერ შედგებოდა, — ირწმუნება წყარო. ერთი ხვრელიდან ამომძვრალი ორი სხვა გველი კი არ ილაპარაკებს ერთი სპარსულად და ერთი თურქულად ხომ? ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ალასანია ხომ კარგა ხანი ამ ხელისუფლების ნაწილი იყო? ასე რომ, ნურავის გაუკვირდება, ალასანია რომ ბოკერიას შეეკვრა, — გვიმტკიცებს წყარო.

„ახალი თაობა“ ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით „ჩვენი საქართველო-თავისუფალი-დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიას დაუკავშირდა.

**ირაკლი ალასანია:** „ ეგ თემა საერთოდ კომენტარსაც არ იმსახურებს“.

**P.S.** ჩვენი კონფიდენციალური წყარო ე.წ. რადიკალურ ოპოზიციასაც გადასწვდა და აი, რა გვითხრა:

— არეულობა და საპროტესტო გამოსვლები დღეს ყველაზე მეტად სააკაშვილს აწყობს და იცით რატომ? ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ რადიკალური ოპოზიციის ნაწილი რეალურად არაფერს აპირებს და აქციაზე გამოსულ ადამიანებს კვლავ სახლებში გაუშვებენ. რითაც საზოგადოებაში ამჯერადაც უდიდეს ნიჰილიზმს დათესავენ და ეს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. იკითხავთ, რატომ იქცევიან რადიკალები ასეო. რატომ და რადიკალური ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებას ჰყავს მოსყიდული, ნაწილი კი ტრანშის გამო გაჰყვირის და აანონსებს რევოლუციებს. ანუ ვინც მეტს იყვირებს, მეტ ფულს მიიღებს თავისი პატრონისგან, პატრონში რუსეთს ვგულისხმობ. როგორც ჩანს, მათ ფული შემოელიათ და დაიწყეს კიდევაც რევოლუციების დაანონსება, ირწმუნება წყარო. არსებობს რამდენიმე რადიკალური ოპოზიციონერი, რომელსაც გულწრფელად უნდა ხელისუფლების შეცვლა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის ძალა არ შესწევს. წყაროს თქმით, გაზაფხულზე არაფერიც არ მოხდება და საუბრები იმის შესახებ, რომ წელსვე დაასრულებენ ხელისუფლებას, „ბლეფია“ და მეტი არაფერი. რეალურად რადიკალური ოპოზიციის დიდი ნაწილი არა რევოლუციისთვის, არამედ არჩევნებისთვის ემზადება და რევოლუციების და ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლის დაანონსებით ხალხს თვალში ნაცარს აყრის.

## საქართველოს პროკურატურამ მალაიზიურ მხარეს წერილი გაუგზავნა

საქართველოს მთავარი პროკურატურა მალაიზიურ მხარეს ბაბუცა გორდაძისა და დარეჯან კოხტაშვილისთვის სიკვდილით დასჯის არიდებას და ხანგრძლივი პატიმრობის შეფარდებას სთხოვს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ მალაიზიის პროკურატურას წერილი გააგზავნა.

როგორც წერილშია აღნიშნული, ქართული მხარე მალაიზიის ხელისუფლებისგან ადგილობრივი სამართალდამცველების მიერ დაკავებული ქართველების, ბაბუცა გორდაძისა და დარეჯან კოხტაშვილის საქმეებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს.

ოფიციალურ თბილისს ასევე აინტერესებს, რა პირობებში იმყოფებიან ქართველი ქალები ციხეში და რა ეტაპზეა სასამართლო განხილვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეები ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი მალაიზიაში გასული წლის შემოდგომაზე, ნარკოტრეფიკის ბრალდებით დააკავეს, რაც ადგილობრივი კანონმდებლობით სიკვდილით ისჯება. თავად დაკავებულები დანაშაულს არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ ისინი გახდნენ მსხვერპლი ელდარ დავითიანისა, რომელიც გორდაძის მეუღლეა. აღნიშნულ საქმეში თავად ქართულმა მართლმსაჯულებამ დამნაშავედ სწორედ დავითიანი ცნო და მას თავისუფლების 15 წლით აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო აქამდე სწორედ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას ელოდებოდა, რომელმაც დანაშაულში დაკავებულთა ბრალეულობა უნდა განსაზღვროს. **მედიანიუსი**

## კალაშოვის ექსტრადირება კიდევ წელიწადნახევრით გადაიდო



ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ კრიმინალურ ავტორიტეტ ზაქარია კალაშოვს პატიმრობის ვადა შვიდნახევარი წლიდან ცხრა წლამდე გაუზარდა, რის გამოც მისი ექსტრადირება საქართველოში გარკვეული ვადით გადაიდო.

როგორც გამოცემა „გაზეტა.რუ“ ესპანურ მედიაზე დაყრდნობით იუწყება, ამის მიზეზი გახდა ის, რომ ესპანური კანონმდებლობით ესპანეთში გასამართლებული პირის სხვა ქვეყანაში ექსტრადირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას სასჯელის სამი მეოთხედი უკვე მოხდილი ექნება.

კალაშოვს კი, ჯერ მხოლოდ 5 წელი აქვს მოხდილი. გარდა სასჯელისა ესპანურმა სასამართლომ ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს ჯარიმის სახით დაკისრებული 20 000 000 ევროს ნაცვლად 22 500 000 ევრო დააკისრა.

გამოცემის ცნობით, საქართველოში ზაქარია კალაშოვს თავისუფლების 18 წლით აღკვეთა აქვს მისჯილი.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## თინა კანდელაკი შესაძლოა მინისტრის მოადგილე გახდეს



ტელეწამყვანმა თინა კანდელაკმა შესაძლოა, რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მაღალი თანამდებობა დაიკავოს. ამის შესახებ „ლაიფ ნიუსი“ იუწყება.

გამოცემასთან ინტერვიუში განათლების უწყების ხელმძღვანელმა ანდრეი ფურსენკომ განაცხადა, რომ ამ საკითხზე თინასთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

— ის კარგი დედაა. ჰყავს სკოლის მოსწავლე შვილები. თინამ სკოლისა და მოსწავლეების ბევრი პრობლემა კარგად იცის და ხვდება, რა ჭირდება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, — განაცხადა ფურსენკომ.

მისივე თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რა პოზიციას დაიკავებს კანდელაკი. თუმცა, გამორიცხული არ არის, ტელეწამყვანი მინისტრის მოადგილე გახდეს.

თინა კანდელაკი უკვე რამდენიმე წელია, განათლების განვითარების კუთხით საზოგადოებრივი პალატის კომისიაში მუშაობს. მისი კოლეგები ამბობენ, რომ თინასგან ბევრ საინტერესო ინიციატივებს ისმენენ. თავად კანდელაკს გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**ინტერპრესნიუსი**

## ვაშაძე ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარეს შეხვდა



ესპანეთში ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარეს ხოსე ბონოს შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და ხოსე ბონომ ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. მათ ასევე იმსჯელეს ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობაზე. გრიგოლ ვაშაძემ და ხოსე ბონომ რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებიც მიმოიხილეს.

ესპანურმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველოსა და ესპანეთის ურთიერთობა სამაგალითოა და მყარ პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. ესპანეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი სტატუსის დაცვასა და ნატოში გაწევრიანებას.

მისი თქმით, ესპანელი კოლეგებისგან მიღებული რჩევები ლათინურ და ცენტრალურ ამერიკასთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვაბნია, რადგან აღნიშნულ ქვეყნებში ესპანეთს ძალიან დიდი გავლენა აქვს. **მედიანიუსი**

## საქართველოს მოსახლეობის 73 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის — ტ3I-ს მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, ქართული საზოგადოების 73 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს.

როგორც კვლევიდან ირკვევა, გამოკითხულთა 31 პროცენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს და ეძებს სამსახურს. დასაქმებულად კი გამოკითხულთა მხოლოდ 27 პროცენტს მიაჩნია თავი.

36 პროცენტი თვლის, რომ ის არააქტიური შრომითი რესურსია, ხოლო 5 პროცენტი კი უმუშევარია და არ ეძებს სამსახურს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით ამა წლის 4-17 მარტის პერიოდში ჩატარდა, გამოიკითხა სულ 2,893 მოქალაქე. კვლევა ასახავს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე, მათ დამოკიდებულებას დემოკრატიის, მიმდინარე მოვლენების, რეფორმებისა და სხვადასხვა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხებს. **მედიანიუსი**

## პარლამენტში დღეს გოგა ხაჩიძეს ელოდებიან



დღეს პარლამენტში გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს ელოდებიან. მინისტრი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზეა მიწვეული.

კომიტეტის სხდომაზე გოგა ხაჩიძემ დეპუტატებს პალიასტომის ტბაში თევზჭერის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომა დღეს, 14:00 საათზე დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

## დასახლებულ პუნქტებში ფიჭური კავშირგაბმულობის ანძების დემონტაჟს ითხოვენ

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციების „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენელმა სოფო გეწაძემ ელეტრომაგნიტური გამოსხივებისა და მისი შედეგების შესახებ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ცენტრის იურისტის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები, მაღალი ტარიფების გარდა, დასახლებულ პუნქტებში ანძების დაყენებით, მოსახლეობას ჯამრთელობის პრობლემებსაც უქმნიან.

მისი თქმით, ცენტრმა მოსახლეობის საჩივრის წერილების საფუძველზე, დასახლებებში რამდენიმე ანძის დემონტაჟი უკვე მოახერხა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენლის სოფო გეწაძის განცხადებით, აღნიშნული კავშირგაბმულობის ანძები ადამიანში ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს.ამის დასტურად მან უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევებიც წარადგინა.

— გამოკვლევებმა (შასტას მთის ბიორეგიონალური ეკოლოგიური ცენტრი) აჩვენა, რომ თვით დაბალი გამოსხივების დროსაც კი არსებობს მტკიცებულებანი უჯრედის ქსოვილებისა და დნმ-ის დაზიანების შესახებ. ეს ყველაფერი უკავშირდება ტვინის სიმსივნეებს, კიბოს, დეპრესიას, მუცლის მოშლას, ალცჰაიმერის დაავადებას, — განაცხადა გეწაძემ.

პრესკონფერენიის დასრულების შემდეგ მოხდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ გადაღებული ფილმის „ელექტრომაგნიტური გამოსხივება და მისი შედეგები“ ჩვენება. **მედიანიუსი**

# პარტიული რეიტინგები დღეიდან გახდება ცნობილი

ნანა მიშელაშვილი



**როგორია პოლიტიკური პარტიების რეიტინგი? ეს საკითხი მას შემდეგ გაირკვევა, რაც პარტიები სოციოლოგიური კვლევის შედეგებს გაეცნობიან. თითოეულ პოლიტიკურ პარტიას საკუთარ რეიტინგებს გააცნობენ. რეიტინგების გაცნობა დღეიდან დაიწყება და რამდენიმე დღე გაგრძელდება. პარტიული რეიტინგების გასაცნობად ენდიაის ოფისში პარტიების ლიდერები ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს მივლენ.**

პირველ-მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიებს ალბათ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიები არ ექნებათ. სამაგიეროდ, იქნებიან ისეთები, ვისაც სოციოლოგიური კვლევის შედეგები არ მოეწონება და პარტიულ რეიტინგებს გააპროტესტებენ.

საქართველოში სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ყველა ელოდება, თუმცა, ამ კვლევების მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია.

პარტიული რეიტინგების გარდა, უკვე ცნობილია კვლევის სხვა შედეგები, რომელიც რამდენიმე მიმართულებით ჩატარდა. ისინი მედიას გუშინ გააცნეს. ენდიაის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 44% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატია არ არსებობს. 39%-ის აზრით კი, ქვეყანაში ამჟამად დემოკრატიაა. გამოკითხულთა 17% კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხობს, რომ არ იცის. კვლევის შედეგები ჟურნალისტებს ენდიაის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ გააცნო.

ენდიაის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 73 პროცენტი მიიჩნევს, რომ დაუსაქმებელია. კვლევის შედეგების თანახმად, დასაქმებულად თავს მხოლოდ გამოკითხულთა 27% თვლის.

კვლევა მიმდინარე წლის 4-17 მარტის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და 2893 ადამიანი გამოიკითხა. მათ შორის იყვნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის მცხოვრებლები. ლუის ნავაროს თქმით, კვლევაში ცდომილება პლუს-მინუს 3%-ს შეადგენს.

კვლევების დამკვეთია ენდიაი, ფინანსური მხარდამჭერი — შვედეთის განვითარების სააგენტო. კვლევები ჩაატარა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა.

მას შემდეგ, რაც ენდიაის კვევების შედეგები ნახეს, ოპოზიციის და უმრავლესობის წევრებმა საკუთარი პოზიცია გამოხატეს. საპარლამენტო ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი ამ კვევებს უნდობლობას არ უცხადებს.

„თავისუფალი დემოკრატების“□წევრი გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ფასადურ დემოკრატიას 44% არ ენდობა, ხოლო 17-მა არ იცის ენდობა თუ არა.

გიორგი ცაგარეიშვილის აზრით, ვინც ენდიაის კლვევის შედეგებს გაეცნობა, მიხვდება, თუ რატომაა ხელისუფლება სასწრაფოდ შესაცვლელი. დეპუტატის განაცხადებით, კვლევის შედეგები ეხმიანება ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო დაპირებების ჩამონათვალის სრულ სპექტრს.

— მმართველი გუნდი ახლა მაინც უნდა მიხვდეს, რომ შვიდი წლისთავზე, მას ჰყავს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, რომელიც თვლის, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს, შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმშევარია, ქვეყანაში კატასტროფულად იზრდება ფასები, — აღნიშნა ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

გიორგი ცაგარეიშვილს ესმის, რომ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას თავის კვლევაში გასაგები მიზეზების გამო არ ჰქონდა გამოტანილი ერთი კითხვა — □რისი ღირსია მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტია? — თუ ამ ქვეყანაში როდისმე ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, მე მგონი, ხალხის მიერ ნაციონალური მოძრაობისადმი გამოტანილი ვერდიქტი ნათელი იქნება, — ასეთია ალასანიას პარტიის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის შეფასება.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ ენდიაის კვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობის პრიორიტეტეტი სწორია.

უმრავლესობის წევრი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ გადადგა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სხვადასხვა მიმართულებით და მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

— რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემები არის, პირველ ადგილზეა დასაქმება. ეს კვლევა უჩვენებს, რომ ჩვენი პრიორიტეტები სწორია. პირველი პრიორიტეტი არის სამუშაო ადგილებისთვის, სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის მუშაობა. ეს არის პირველი, რაც ადამიანებს აწუხებთ და ყველაზე მაღალი მაჩვენებელიც ამას აქვს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გოკა გაბაშვილმა.

უმრავლესობის წევრის თქმით, მნიშვნელოვანი მაჩვენებლია, რომ გამოკითხულთა 60%-მდე მთლიანად ან ნაწილობრივ იზიარებს იმ ღონისძიებებს, რასაც ხელისუფლება ატარებს ვითარების გაუმჯობესებისთვის.

— ეს მონაცემები კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. ის რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, ამას მხოლოდ 20% ფიქრობს. ბევრად მეტია ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანა წინ წავიდა, — აღნიშნა გაბაშვილმა.

დეპუტატი აცხადებს, რომ კვლევებში მნიშვნელოვანი მონაცემია და ცხადად ხედავს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის: ფასების ზრდა, ინფლაციის პრობლემა და კომუნალური გადასახადები. გაბაშვილის თქმით, თანმიმდევრულობა ასეთია: დასაქმება, ფასების ზრდა, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები.

გოკა გაბაშვილი მედიასთან დაკავშირებითაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ მედიის თავისუფლების მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, ეს არის მეორე არხი, სადაც გაბაშვილის თქმით, პარტიებს სარედაქციო ჩარევის გარეშე გამოსვლის საშუალება აქვთ, ასევე ელექტრონულ და ბეჭდვით ფორმატშიც შეფერხების გარეშე გადიან.

გაბაშვილის აზრით, სოციოლოგიური კვლევის ციფრები აბსოლუტურად რეალისტურია იმ მხრივ, რომ გამოკითხულია დიდი ქალაქების მოსახლეობა, სადაც პრობლემები უფრო მეტია.

— ჩვენ გვჭირდება სტაბილური, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, ამიტომაც ვავითარებთ ინფრასტრუქტურას, აქცენტს ვახდენთ ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რომ სამუშაო ადგილები გაიზარდოს. ეკონომიკა ვითარდება და იზრდება, მაგრამ ამ ეკონომიკის ზრდის გადასვლას კონკრეტულ სამუშაო ადგილებში სჭირდება გარკვეული დრო, ინვესტიციების სრულყოფილად ამუშავება, რომელიც საქართველოში შემოდის. სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო იმას გამოიწვევს, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდება, — ასეთია გოკა გაბაშვილის შეფასება.

ბოლო კვლევის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ დასაქმება, კომუნალური მომსახურების ღირებულება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების შემცირება და ტრანსპორტის ღირებულება სახელდება.

## ჯეიმს აპატურაი დღეს თბილისს ეწვევა



ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი დღეს თბილისს ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში აპატურაი საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდება. შეხვედრისსას განიხილება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრის შემდეგ დაგეგმილია აპატურაისა და ვაშაძის ერთობლივი პრესკონფერენცია.

ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ხვალვე მთავრობის კანცელარიაში ვიცე-პრემიერ გიორგი ბარამიძეს შეხვდება.

აპატურაის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე არაოფიციალური სადილი უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან. იგეგმება ასევე ნატოს გენმდივნის წარმომადგენლის სტუმრობა საკანონმდებლო ორგანოში.

ჯეიმს აპატურაი თბილისს დღესვე დატოვებს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს მოქალაქეებს კონგოდან ორ დღეში ჩამოასვენებენ

კონგოში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპულ საქართველოს ოთხ მოქალაქეს ორ დღეში ჩამოასვენებენ.

როგორც „მედიანიუსს“ ავიაკომპანია „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა გაუცხადა, საქართველოს წარმომადგელები ამ დრიოსათვის უკვე კონგოში იმყოფებიან, რომლებიც დაღუპული ქართველების გადმოსვენებისათვის საჭირო პროცედურებისა და შესაბამისის დოკუმენტების მოწესრიგების საკითხს აგვარებენ.

მისი თქმით, აფრიკიდან საქართველოში დაღუპულების გადმოსვებისათვის დროის ორდღიანი მონაკვეთი სრულიად ნორმალურია.

როგორც გიორგობინმა აღნიშნა, დაღუპული ქართველების გადმოსვენების ხარჯებს მთლიანად „აირზენა“ გაიღებს. გარდა ამისა, კომპანია დაღუპულთა ოჯახებს მატერიალურადაც დაეხმარება.

შეგახსნებთ, რომ სამი დღის წინ კონგოში, კინშასაში კომპანია ,,აირზენას“ კუთვნილმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 32 მგზავრი დაიღუპა, მათ შორის ოთხი საქართველოს მოქალაქეა.

**მედიანიუსი**

# რუსულ სიმღერებზე ცეკვის უფლება მარტო ნაციონალებს ექნებათ

**რუსეთი რომ ჩვენი მტერია, ყველამ ვიცით. ვიცით და ხელისუფლებაზე მტკივნეულად განვიცდით, მოსკოვმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია რომ მოახდინა. ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს არც კი უკვირს, თუ რატომ ატარებს საქართველოს ხელისუფლება ასეთ ანტირუსულ პოლიტიკას.**

**რუსეთმა ანტირუსული განწყობები საქართველოში თავად გააღვივა. თუმცა ჩვენი ხელისუფლების ქმედებები რუსეთის მიმართ აგრესიას ამცირებს. საქართველოს მოსახლეობას კი თავად ხელისუფლების მიმართ განაწყობს აგრესიულად.**

თეა მარხვაი ე

აგვისტოს ომის შემდეგ, ერთმა ჭკვიანმა ნაციონალმა დეპუტატმა მოითხოვა, გინდა თუ არა თბილისში პუშკინის ძეგლი აიღეთო. ამაზე ერმა დიდი წიოკი ატეხა. ამის გამო დეპუტატმა ცოტა უკან დაიხია. ახლა ის ამტკიცებს, რომ პუშკინს ეტრფის. და მგონი ისე ვერ იძინებს თუ პუშკინის ზღაპრები არ წაიკითხა. გემოვნება ნამდვილად ჰქონია. ერმა სააკაშვილის და ნაციონალების ზღაპრებზე უნდა დაიძინოს და გაილვიძოს, ნაციონალებმა კი პუშკინი იკითხონ.

პუშკინის ამბავი ერის ნერვიულობის შემდეგ ჩაიფარცხა. სამაგიეროდ ახლა ნაციონალები ახალი იდეით გამოვიდნენ. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ხელისუფლებამ რესტორნებში რუსული სიმღერები აკრძალა.

ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განკარგულება არავის არ გამოუცია. თუმცა რესტორნების მეპატრონეები არაოფიციალურად გააფრთხილეს. დღეს თითქმის ყველა რესტორანი ერიდება რუსული სიმღერები დაუკრან.

ოფიციალურ კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით არავინ არ აკეთებს. რესტორნის მეპატრონეები არაოფიციალურ საუბრებში ამ ინფორმაციას ადასტურებენ. ღიად ამ ინფორმაციას არც ხელისუფლება ადასტურებს. ამ თემაზე საუბრისას ისინი ცდილობენ კომენტარები არ გააკეთონ.

ერთადერთი ვინც ამ თემაზე ღია კომენტარი გააკეთა ნიკა რურუა იყო. მან განაცხადა, რომ ხელისუფლებას რესტორნებში რუსული სიმღერები არ აუკრძალია. კულტურის მინისტრმა იქვე დასძინა, რომ სიამოვნებით არ მოისმენდა სიმღერას „დენ პობედის“.

ეს სიმღერა ჩვენებურ რესტორნებში ხშირად ისმოდა ხოლმე. შექეიფიანებულ ქართველებს ამ სიმღერის მოსმენა დღემდე ძალიან უყვართ. ერთი ძალიან ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ქეიფს ისე არ ამთავრებს თუ ამ სიმღერაზე არ იცეკვა. ახლა რესტორანში ამ სიმღერაზე ველარ იცეკვებს. სახლში ჯერჯერობით ისევ შეუძლია.

ახლო მომავალში შესაძლოა სახლებშიც აგვიკრძალონ რუსული ლიტერატურის წაკითხვა და სიმღერების მოსმენა. მარშრუტკებში უკვე კრძალავენ რუსულ ტანცაობას. უფრო ზუსტად მძღოლები ცდილობენ ერს აღარ ასმენინონ მტრის ენაზე დაწერილი სიმღერები.

ამ აკრძალვის მიუხედავად რამდენიმე ქართული რადიო მაინც უშვებს ხოლმე რუსულ სიმღერებს. ამ სიმღერებს ბუნებრივია სხვადასხვა ადგილებზე უსმენენ. ამის გამო არაერთი ინციდენტი მოხდა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ლომბარდის მეპატრონეს იმაზე მოსდეს შარი, რომ მის დაწესებულებაში რუსულ სიმღერებს უსმენდნენ.

რაც შეეხება რესტორნებს, როგორც უკვე ვთქვით აქ რუსული სიმღერები აკრძალულია. ხოლო რომელიმე რესტორანი თუ ძალიან გარისკავს ამის გამო 500 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ისე მთლად ასე ცუდადაც არ არის საქმე. რუსული სიმღერების მოსმენის უფლება ვიღაცეებს ჯერ კიდევ აქვთ.

რამდენიმე თვის წინ „რაოესის“ თავკაცმა თბილისში დაბადების დღე გადაიხადა. ამ დაბადების დღეზე მოსკოვიდან ბლომად ყოფილან რუსი ჩინოვნიკები. ბუნებრივია ქართველი ჩინოვნიკებიც მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ ნიკა გილაური, გიგი უგულავა და ალეკო ხეთაგური.

თეთრი მოძრაობის ლიდერის თემურ შაშიაშვილის ინფორმაციით, ამ სუფრაზე იმდენი რუსული სიმღერა უმღერიათ ნახევარი წელი რომ ვერ მოისმენს კაცი. ჩვენს ჩინოვნიკებს რურუას დაწუნებული „დენ პობედიც“ კი მოუსმენიათ.

ეს დიდი ცოდვა ნამდვილად არ არის. ცუდი ის არის, რომ თავად უსმენენ რუსულ სიმღერებს. ერს კი ამას დანაშაულად უთვლიან.

მარტო სიმღერების მოსმენა რომ იყოს ხმას არავინ ამოიღებდა. გარკვეულია რომ ჩვენი ჩინოვნიკების ახლობლები სულ რუსულ კომპანიებში არიან დასაქმებული. იქნება ეს თელასი, წყალკანალი თუ სხვა რუსული კომპანიები. მადნეულის ერთ-ერთი მეპატრონე კი საერთოდ რუსეთის დუმის დეპუტატია. ამ ყველაფრის შემდეგ ცოტა უხერხულია, როცა ისინი რუსული სიმღერების მოსმენას გვიკრძალავენ.

ასევე გაუგებარია თუ რატომ აიძულებენ ერს ინგლისური ენის შესწავლას. ინგლისური ენის ცოდნა ძალიან კარგია. თუმცა იქნებ ვიღაცას ფრანგული, გერმანული ანდა სულაც არაბული ენის სწავლა უნდა.

ანდა თუ ასე ძალიან უნდათ ერმა ინგლისურად იჟღურტულოს, მის შესასწავლად სხვა მეთოდი შეიძლება გამოინახოს. ნაციონალების ხუშტურის გამო ერი იძულებული არაა ფილმებს ტელევიზორში ტიტრებით უყუროს.

რაც შეეხება სიმღერებს კი ბატონო აიკრძალოს. რესტორნებში ისედაც უგემოვნო რუსულ სიმღერებს უკრავენ. თუმცა მისი აკრძალვა ყველაზე უნდა გავრცელდეს და მის რიტმებზე მარტო ნაციონალებმა არ უნდა იძიგძიგონ.

# ეროვნულ-სამოქალაქო თანხმობა საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელია

**„ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა ეროვნულ-სამოქალაქო თანხმობის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზეც ისაუბრა.**

**მისი განცხადებით, „ქართული პარტია„ ამ მიმართულებით მუშაობს. სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიციური სპექტრის დიდ ნაწილთან საერთო ენა გამოინახება და გამარჯვების შანსი კიდევ უფრო გაიზრდება.**



— როდესაც „ქართული პარტიის“ ჩამოყალიბება დავიწყეთ, ხალხში გამეფებული იყო უიმედობა და ხელისუფლების სიძულვილი. ეს სურათი თანდათან იცვლება. სიძულვილი ისევ რჩება, უიმედობის ნაცვლად კი ხალხში საბრძოლო მუხტი და განწყობა მატულობს. ეს ჩვენ, პარტიის ლიდერებს, დამატებით სტიმულს გვაძლევს, — განაცხადა მან კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

პარტიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების უქონლობის ერთ-ერთი მიზეზი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც გამუდმებით იმეორებს, რომ რუსეთთან ომი ჯერ არ დამთავრებულა. სუბარი დარწმუნებულია, რომ ასეთი განცხადებების შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში ფულის დაბანდებას არც ერთი ჭკუადმყოფელი ინვესტორი აღარ მოინდომებს.

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ საკაშვილის ხელისუფლება საქართველოში განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების განადგურებასა და უამრავი ადამიანის უმუშევრად დატოვებაშიც დაადანაშაულა.

— ამ ფონზე ცინიკურად გამოიყურება მოსახლეობისთვის 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგება. ეს გაჭირვებული ადამიანების დაცინვაა, — მიიჩნევს სუბარი.

რაც შეეხება პოლიტიკური პროცესების განვითარებას საქართველოში, სუბარის თქმით, ხალხის გადასაწყვეტია საქართველოში მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდება თუ სხვა გზით.

— ჩვენ ქართველი ხალხის ნებისმიერ არჩევანს პატივს ვცემთ და ყოველთვის ხალხის გვერდით ვიდგებით, — განაცხადა მან.

კონფერენციაზე სოზარ სუბარი მომავალი არჩევნების თემასაც შეეხო. მისი განცხადებით, თუ არჩევნები ჩატარდება, „ქართული პარტია“ მას არავის გააყალბებინებს და აუცილებლად გაიმარჯვებს. სუბარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული პარტია“ არ დაუშვებს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის უკანონო გაგრძელებას.

**ინტერპრესნიუსი**

# რეპრესირებულები ერთჯერად კომპენსაციას მიიღებენ

ნანა მიშელაშვილი

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს და მათ მემკვიდრეებს ფულადი კომპენსაცია მიეცემათ. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობას სასამართლო დაადგენს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კომპენსაცია ეკუთვნის პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

აგრეთვე, კომპენსაციის მიღება შეუძლია პირს, რომელიც ასეთი რეპრესირებული ადამიანის პირველი რიგის მემკვიდრეა. მათი კომპენსაციის ოდენობა კანონით უნდა ყოფილიყო დადგენილი, თუმცა, დღემდე კანონში ასეთი ნორმა არ არსებობდა და შესაბამისად, კომპენსაციაც არავის მიუღია.

გასული წლის დეკემბერში პარლამენტში ინიცირებული იქნა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, თუმცა, პროექტის განხილვა ახლა განახლდა.

დეპუტატების აზრით, კომპენსაცია არ შეიძლება იყოს ერთი ფიქსირებული ოდენობა იმ რეპრესირებულთა მიმართ, რომელთაც ეს უკანასკნელი სხვადასხვანაირად განიცადეს.

კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ სამართლიანი კომპენსაცია სასამართლომ უნდა დაადგინოს. კანონით განისაზღვრება კომპენსაციის დადგენის კრიტერიუმები და პროცედურა.

ახალი კანონპროექტის ინიციატორები უმრავლესობის წევრები კახა ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი არიან. პროექტის განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტში უკვე მოხდა.

სავარაუდოდ, ამ პროექტს საგაზაფხულო სესიაზე მიიღებენ. საქართველოში დღეს დაახლოებით 20 ათასი რეპრესირებული და მათი პირველი რიგის მემკვიდრეები არიან.

## დღეს ნაციონალებს სისხლს აუღებენ

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დღეს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს გაიღებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე, ნიკოლოზ ხაჩირაშვილი და უმრავლესობის ოცამდე დეპუტატი დ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკის სისხლის ბანკს ეწვევიან და ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სისხლს გაიღებენ.

— ვინაიდან ამ სახის პაციენტებს მხოლოდ ახალი სისხლი ესაჭიროებათ, აქცია რამდენიმე დღეს გაგრძელდება და მასში სხვა დეპუტატებიც ჩაერთვებიან. ჩაბარებული სისხლი ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებსაც მოხმარდებათ, — აცხადებენ საკრბულოში.

იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში ამჟამად ლეიკემიით დაავადებული 16 წლამდე ასაკის 28 მოზარდი მკურნალობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გამოკითხულთა ნახევრის აზრით, საქართველოში დემოკრატია არ არის

საქართველოში გამოკითხულთა 50 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამჟამად ქვეყანაში დემოკრატია არ არის.

როგორც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ენ-დიაის მიერ გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებიდან ირკვევა, გამოკითხულთაგან მხოლოდ 33 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა, ხოლო 15 პროცენტმა არ იცის, არის თუ არა ქვეყანაში დემოკრატია.

კვლევაში აღნიშნულია, რომ გამოკითხულთა ყველაზე მაღალი 48 პროცენტისათვის დემოკრატია სიტყვისა და მედიის თავისუფლებაა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით ამა წლის 4-17 მარტის პერიოდში ჩატარდა, გამოიკითხა სულ 2,893 მოქალაქე. კვლევა ასახავს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე, მათ დამოკიდებულებას დემოკრატიის, მიმდინარე მოვლენების, რეფორმებისა და სხვადასხვა, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხებს. **მედიანიუსი**

## კუკავას ეთნიკური კონფლიქტის ეშინია



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი და თბილისის საკრებულოს წევრი კახა კუკავა გუშინწინ „რუსთავი 2“-ის საღამოს ეთერით გასულ სიუჟეტს გამოეხმაურა და მას „ცილისმწამებლური“ უწოდა.

როგორც გუშინ თბილისის საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე კახა კუკავამ განაცხადა, „რუსთავი 2 ის“ ეთერით გადაიცა სიუჟეტი, თითქოს „თავისუფალი საქართველო“ და „ეთნიკური სომხები“, როგორც ეს გადაცემაში იყო ნახსენები, „მოსკოვის დავალებით“ ჯავახეთში დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავენ..

სიუჟეტში ნახსენები ფრაზები ეთნიკური კონფლიქტის გამოწვევის მცდელობა იყო. ამით ისინი ისეთ დელიკატურ თემებს შეეხნენ, როგორიცაა: ქართულ-სომხური ურთიერთობები. ჯავახეთის მოსახლეობა კი ფაქტობრივად, კრემლის დესანტად იქნა გამოცხადებული. ნუ ეცდება სააკაშვილი, რომ აფხაზეთისა და ე.წ.სამხერთ ოსეთის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობა კიდევ დაირღვეს, მისი ვიწრო პარტიული ინტერესების გამო, — განაცხადა კუკავამ. **მედიანიუსი**



## კახა ბაინდურაშვილი მიუნხენში ინვესტორებს შეხვდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი გუშინ გერმანიის ქალაქ მიუნხენში ინვესტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა ყურადღება ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ ვითარებაზე გაამახვილა.

ანალოგიური შეხვედრები მინისტრმა უკვე გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთსა და დიდ ბრიტანეთში. ბრიუსელში ევროკომისიის წარმომადგენლებთან მან განიხილა საქართველო-ევროკომისიის თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო დახმარების შესაძლებლობები. **მედიანიუსი**

## სასჯელაღსრულების სამინისტრო განათლების ევროპული ასოციაციის წევრი გახდა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების ევროპული ასოციაციის წევრი გახდა.

როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ასოციაცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების მიწოდების საკითხებში დაინტერესებული ორგანიზაციები არიან. ასოციაციის მიზანია ევროპის კონტინენტზე სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების საკითხებში გამოცდილების გაზიარება, ამ მიზნით კონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზება. ასოციაციაში გაწევრიანებულია 42 ევროპული ქვეყანა.

სამინისტროს გაწევრიანება ასოციაციაში ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას ევროპის სხვა ქვეყნებსა და საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას შორის.

სამინისტროს საშუალება ექნება მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებებში, რომელიც პატიმართათვის განათლების საკითხებს მიეძღვნება.

ასოციაციის წევრთა ფართო ქსელი სამინისტროს დაეხმარება სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების მიწოდების პოლიტიკის განვითარებაში. **მედიანიუსი**

# პატიმრებს ბაჩო ახალაია სანატრელი გაუხდათ

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

*— ქალბატონო ნანა, თქვენთვისაც ცნობილია სახალხო დამცველის განცხადებები, მან საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება საქართველოს ციხეებში, თქვენ ყოფილი სახალხო დამცველი ბრძანდებით და მინდა, პარალელი გაავლოთ იმდროინდელ და ამჟამინდელ ვითარებასთან...*

— თეა თუთბერიძე ლაპარაკობდა კავკასიაზე სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით. არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო, ე.ი. სოზარ სუბარმა რომ დაიწყო მათი კრიტიკა, სოზარი აღმოჩნდა თურმე პოლიტიკურად მიკერძოებული, ახლა ტუღუშის მიმართაც გამწარებულები და გაბრაზებულები არიან. არ უნდათ ამ სიმართლის მოსმენა, მუდმივად ახდენენ აპელირებას, რომ აბა, რევოლუციამდე, რომ ასე იყო, მსგავსი არაფერი არ ხდებოდა რევოლუციამდე. თუთბერიძე ლაპარაკობდა, პატიმრები კი ნაკლები იყო, მაგრამ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენო. მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ ასეთი უსამართლობა, ასეთი წამება მე არ მახსოვს, მაგალითად, ჩემი სახალხო დამცველობის ჟამს რომ ციხეზე გადაყვანილი პატიმარი ვინმეს ეწამებინოს. მე ანგარიშშიც მუდმივად მომყავდა ფაქტები და სხვათა შორის, ძალიან შემცირებული იყო წინასწარი დაკავების საკნებში ცემა და წამება. მუდმივი მონიტორინგი მიდიოდა და აი, ეს რაც დღეს ციხეებში ხდება, მსგავსი არაფერი არ იყო.

*— ასევე საკმაოდ ხშირია გარდაცვალების ფაქტები...*

— მაშინ ამაზე ჩვენ განგაშს ვტეხდით ხოლმე. ერთხელ გარდაგვეცვალა ღრმად მოხუცებული ადამიანი და ეს იყო მუდმივად ლაპარაკის საბაბი, რომ კაცი ამ ასაკში, როცა ის 80 წელს არის მიღწეული აღარ უნდა გყავდეს ციხეში, თუ ის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის. იყო დაავადებით გარდაცვალებებიც, მაგრამ ეს იყო ერთეული შემთხვევები და მაშინაც განგაში გვქონდა ატეხილი. ასეთი რაოდენობის პატიმრები რომ დახოცილიყო და განსაკუთრებით ტუბერკულოზის გამო და ჯანმრთელი და ავადმყოფი პატიმრები ერთად ჰყოლოდათ, ეს იყო წარმოუდგენელი რამ.

*— ადვოკატები საუბრობენ იმის შესახებ, რომ კალმახელიძე თავად ესწრება წამების ფაქტებსო...*

— მე მიჭირს ხოლმე ასეთი რაღაცების დაჯერება, მით უმეტეს, ახალგაზრდა ქალია, მაგრამ როცა ასეთი ლეგენდები იქმნება, ეს არის ძალიან ცუდის მანიშნებელი, არა აქვს უკვე მნიშვნელობა, ტყუილია თუ მართალია. თუ ამაზე ლაპარაკობენ, ეს არის უკიდურესად ცუდის ნიშანი. ე.ი. ხალხი ასე თვლის, მერე უკვე სულ ერთია, ესწრება კალმახელიძე ამას თუ არ ესწრება. ჩვენი პროამერიკული ხელისუფლება ხომ სულ იქით იყურება ამერიკისკენ და ამოიღე ერთი ინტერნეტიდან ამერიკელი სამხედროები ან ერაყში და ან ავღანეთში ტყვეებს როგორ აწამებენ და რას უშვებიან, მათ შორის ქალები. აი, მერე აღარ გაგიკვირდება, ესენი ხომ იმათზე სწორებას აკეთებენ.

*— თუმცა, ეს საქართველოა...*

— მაგათ იციან, რომ საქართველოა?! მაგათ პატარა შტატი გააკეთეს თავისთვის, ვიწრო საზოგადოებისთვის და თავისთავს დაჰხარიან.

*— საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ იმასაც, რომ გვყავს პოლიტპატიმრები, თუმცა, ჩვენი ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ამას...*

— ასეთი ხელისუფლება, ვისაც პოლიტპატიმრები ჰყავს, ამას არ აღიარებს ხოლმე. სხვათა შორის ძალიან მძიმეა ყოველთვის, როცა ქვეყანაში რევოლუციური ცვლილებები ხდება მძიმე შედეგები დგება ხოლმე. ხელისუფლება ერთმა დაკარგა, მეორემ აიღო ეს კი არ არის პრობლემა, მერე იწყება საზოგადოებაში ისეთი პროცესები, რომლის უკან მობრუნება არის უკიდურესად რთული. მე რომ სახალხო დამცველი ვიყავი, იმ დროისთვის უკანასკნელი პოლიტპატიმარი განთავისუფლდა. თანაც როგორ იცით, გაითვალისწინე, პოლიტპატიმარი იყო ის, ვინც, მაგალითად, პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოაწყო ტერორისტული აქტი. ერთი

## კალმახელი ესთან ერთად მერაბიშვილიც უნდა მოხსნან

სმხრივ კი, პოლიტიკური პატიმარია, აშკარად პოლიტიკური მოტივით მოქმედებდა, მაგრამ მეორეს მხრივ ამ ტერორისტულ აქტს მსხვერპლი მოჰყვა და ამის დეფინიცია არის ძალიან რთული. ახლა თუ გადახედავ ვითარებას, არავითარი მძიმე დანაშაული არა აქვთ ჩადენილი. როგორც წესი, ეს არის პოლიტიკური მოსაზრებების გამო ან ნარკოტიკის ჩადებით, ან იარაღის ჩადებით, ან ეკონომიური დანაშაულების დაბრალებით და ასე სხვადასხვა გზით არის ეს ხალხი ციხეში მოხვედრილი. ახლა ამას საერთაშორისო ორგანიზაციები რომ აღიარებენ „დიდი მადლობა“, მაგრამ მე საერთოდ არ მესმის ეს ლოგიკა, შენ კი აღიარე, მაგრამ იმის მერე გადის ორი, სამი, ოთხი წელი და ის პოლიტპატიმარი შენ რომ აღიარე მაინც ზის. მაშინ რა ღირს შენი აღიარება?!

*— ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია...*

— თუკი შედეგი არ დადგა, ჩვენც ვიცით, რომ პოლიტპატიმრები გვყავს, მერე რა?!

*— რამდენად მოჰყვება სახალხო დამცველის განცხადებებს რეაგირება? მათი კადრი იყო, მაგრამ მის მიმართ სერიოზული კრიტიკა წამოვიდა...*

— აბა, რა იქნებოდა. საერთოდ, სახალხო დამცველის თანამდებობა არის ისეთი, რომ რუბლესი რომ იყო ადამიანის უფლებათა დამცველი, ევროპის კომისარი, მასთან რომ ვსაუბრობდი, მომიყვა ასეთ რაღაცას, რომ ესპანეთში ვიყავი ომბუდსმენი და ვადა რომ გამდიოდაო, ვიცოდი, 100%-იანი რომ მეორეჯერ არავინ არ დამამტკიცებდა იმდენი, რადგან ყველა მოვიმდურე და ყველა გადავიკიდეო. ადამიანის უფლებებს ვინ არღვევს? ვისაც აქვს ძალაუფლება, ვისაც აქვს მდგომარეობა და აქვს ამის საშუალება. ყველა მოვიმდურე და რომ არა ჩემი კავშირები ევროსტრუქტურებში, რომლებმაც წამომიყვანეს ევროპის კომისრად, საერთოდ უმუშევარი დავრჩებოდიო. ეს ასეთი თანამდებობაა. რომ ამტკიცებენ სახალხო დამცველად ახლა იმათ ჰგონიათ, რომ სახალხო დამცველი ცალ თვალს დახუჭავს, ცალს გაახელს და რასაც უნდა, დაინახავს და რასაც არ უნდა, არ დაინახავს. ეს ისეთი საქმიანობაა, რომ მთლად შუბლძარღვგაწყვეტილი უნდა იყო, რომ ადამიანს აწამებდნენ და შენ ურცხვად, უტიფრად, თეა თუთბერიძესავით და ლევან ჩოლოყაშვილივით იძახო, რომ არა, ეგ ეგრე არ არის, მოგჩვენებიათ ბატონოო. რა თქმა უნდა, იქნება კრიტიკა მის მიმართ და მესმის მისი ადამიანურად. არანაირად არ მესმის, როცა აგდებით შეიძლება ილაპარაკო იმაზე, რომ ნუ, კარგით ახლა, ვინ იცის, ტუბერკულოზი იქნებ მანამდეც ჰქონდა, იქნებ თქვენც გაქვთ ახლა და მეც მაქვს... დაუშვებელია ასეთი ცინიზმით ლაპარაკი. ამათთვის ადამიანის სიცოცხლე არის ჩალის ფასი, გინდ ყოფილა, გინდ არა. მაგრამ, იცით, რა არის, ღმერთი მაღალია, არავინ არ იცის, ხვალ და ზეგ ვის რა ელოდება. ხანდახან ამაზეც უნდა დაფიქრდნენ ხოლმე. შეიძლება ისეთ სიტუაციაში ჩავარდე, რომ სამუდამოდ სანანებელი გაგიხდეს დღეს ნათქვამი სიტყვა. რეაგირება რა თქმა უნდა, არანაირი არ ექნებათ ამაზე და რაც მეტხანს არ ექნებათ რეაგირება, მით უარესი მათი მომავლისთვის.

*— საზოგადოება აქტიურობს ამ კუთხით, საპროტესტო აქციებიც იმართება, თუმცა, შედეგი — ნული...*

— არავის არა აქვს დღეს იმისი ილუზია, რომ ასეთი აგრესიული ხელისუფლება რამდენიმე აქციის გამო შეცვლის თავისი ცხოვრების წესს, რომელიც დგას ძალმომრეობაზე. მაგრამ დამიჯერეთ, რამდენიმე წელიც არ დასჭირდება იმას, რომ ვიღაცები იკითხავენ — შენ არ დაგიჭირეს მაშინ? და რატომ არ დაგიჭირეს? აი, ეს ვითარებაა დღეს.

*— როგორ ფიქრობთ, უნდა დადგეს თუ არა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი?*

— მარტო კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი კი არ უნდა დადგეს, მარტო კალმახელიძე რომ გაუშვან ამ შემთხვევაში, ეს იქნება მათთვის ყველაზე მარტივი გამოსავალი. მანდ უნდა დადგეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველა იმ ხელმძღვანელი მუშაკის და შემსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხები, ვინც შედის და პატიმრებს ხელს ადებს. ხათუნა კალმახელიძე ესწრებაო, ასე ამბობენ, მაგრამ ხათუნა კალმახელიძე თვითონ ხომ არ აწამებს. თუ ესწრება, ეს კიდევ სხვა საკითხია და გამოძიებამ დაადასტუროს და მოწმეებმა თქვან, მაგრამ ვინც ამას აკეთებს, ესენი არიან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. მათ არაფერი არ უნდა მოეკითხოთ და მარტო კალმახელიძე უნდა წავიდეს თანამდებობიდან?!



*— საუბარია, რომ ბაჩო ახალაიას დანერგილია ეს მეთოდი და მისი მისვლის შემდეგ დაიწყო სწორედ ასეთი ცემა-წამებებიო...*

— კი, ნამდვილად ასეა. ბაჩო ახალაიას მისვლით გაიხსნა ეს ცემა-წამების ასპარეზი, მაგრამ ახლა რომ იძახიან, კალმახელიძის დროს უარესი მდგომარეობაო, მე ძალიან არ მომწონს ასეთი შედარებები. ბაჩო ახალაიას რომ არ დაეწყო ამის კეთება, დღეს ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, ჯერ ერთი და მეორეც, დღეს გაცილებით აქტიურია საზოგადოება და გამოაქვს ეს საკითხები და არის ამაზე ღია მსჯელობა, ვიდრე, ბაჩო ახალაია რომ იყო, მაშინ. ბაჩო ახალაია რომ იყო, მაშინ ბევრი ის ადამიანი, დღეს რომ ოპოზიციაშია და უკმაყოფილოა, მიშა-მიშას იძახდა და იყო ხელისუფლებაში. მე მამა ღმერთი არა ვარ, რომ სასწორზე ავწონო, ვისი დანაშაული მეტია. ერთიც დამნაშავეა და მეორეც და ვინ მეტი დააშავა და ვინ ნაკლები, გაარკვიოს დამოუკიდებელმა გამოძიებამ და დამოუკიდებელმა სასამართლომ.

*— ის, რაც თქვენს დროს იყო, ვერ მოვა იმასთან, რაც დღეს ხდება?*

— არა, ახლოსაც არ არის. იცით, რა არის, სახალხო დამცველის საქმიანობა მოწმდება არა მარტო საქართველოს დონეზე, არამედ საერთაშორისო სტრუქტურების დონეზე, მათ შორის ევროსაბჭოში, გაეროში და ასე შემდეგ. კიდევ კარგი, ღვთის მადლით, ბეჭდური სახითაც და ელექტრონული სახითაც ეს ჩემი ანგარიშები არსებობს, წელიწადში ორჯერ 500-600 გვერდი იყო ჩემი ანგარიშები და სავსე იყო, მათ შორის, არა მარტო ციხეში და წინასწარ დაკავების საკანში, რა ხდებოდა. მოყვანილი მყავდა სოციალური საკითხებიც, საპენსიო საკითხებიც, იგივე დევნილების საკითხები. მარტო ციხეზე რომ ვლაპარაკობთ, დევნილებს რაც გაუკეთეს, ორჯერ იყო, რაც მე სახალხო დამცველი ვიყავი, მცდელობა, რომ გამოესახლებინათ შენობებიდან დევნილები. ისეთი შენობები იყო, რომელსაც ჰყავდა პატრონი, პრივატიზებული იყო და პატრონი ამბობდა, წაიყვანეთ და თქვენს დევნილებს თქვენ მიხედეთ, მე ჩემი საკუთრება დამიბრუნეთო. ორივე ალიკვეთა მაშინვე. ამით მე, როგორც სახალხო დამცველმა, რა თქმა უნდა, დავარღვიე იმ კერძო მესაკუთრის უფლებები, მაგრამ აქეთ იყო უზარმაზარი მასა ადამიანების, რომლებსაც სახელმწიფო ვერაფერს ვერ უკეთებდა. იყო სპეციალური ბრძანებულება პრეზიდენტის, რომლითაც დევნილებს ვერავინ ვერ შეეხებოდა და მოტივაცია იყო ასეთი: სანამ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ, არავის არა აქვს უფლება, რომ შეეხოს.

*— დღეს კი პირდაპირ ფანჯრებიდან ყრიან...*

— სწორედ რომ ასეა. ამ მხრივ მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ასევე ის, რომ ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაცია მიდის მთელ საქართველოში და გამოთქმა აქვთ ასეთი ამათ — 30 წელს ზემოთ ხე არ მინდა ეზოშიო. ჩინელებს აქვთ ასეთი გამოთქმა — ნატვრისას ძალიან ფრთხილად იყავით, იმიტომ, რომ ახდენა იცისო... ფრთხილად იყვნენ. როდესაც მიშა სააკაშვილი გახდა იუსტიციის მინისტრი, დანერგა უმახინჯესი პრაქტიკა, რომელზეც მე თვითონ არაერთხელ მივუთითე. თავის მიყვანილ ხალხს, ახლა რომ ოპოზიციაში არიან, ოქრუაშვილს და კიდევ სხვებს, დაუნიშნა ათასობით ლარი ხელფასი, ხოლო მათ გვერდით იგივე რანგის თანამშრომლებს 30 და 40 ლარი ჰქონდათ ხელფასი. დღეს გრძელდება იგივე პრაქტიკა, რომ ადამიანებს ერთი და იგივე სამუშაოზე აქვთ ასჯერ განსხვავებული ხელფასები. ეს ნორმალური ვითარებაა?! თეა თუთბერიძე იძახდა გუშინ, რა გარეთ მიმართავენ ექიმებს, ხომ ვერ მიმართავენო? ანუ გარეთაც მოკვდითო გვითხრა. ადამიანი ექიმთან ვერ მისულა, იმიტომ, რომ არც კონსულტაციის ფული აქვს და არც მით უმეტეს, მკურნალობის.

*— გაქვთ იმედი, რომ უახლოეს პერიოდში შეიცვლება ვითარება?*

— ხვალ რომ გავიღვიძო და ყველაფერი კარგად იყოს, ამის იმედი ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ ის, რომ უკეთესობისკენ ცვლილება აუცილებლად იქნება, ვიცი. ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით, რაღაც ცუდი პერიოდი მქონდა ცხოვრებაში, ყველაფერი წაეწყო ერთმანეთს — პრობლემები, ბავშვი — ავად, მატერიალური პრობლემა, სტუდენტი ვარ, დეკანი მეკითხება, რატომ ხარ ასეთ ცუდ ხასიათზეო და ვუთხარი, რომ ასე და ასეა, ყველაფერი ცუდად არის-მეთქი. ჭკვიანი ებრაელი კაცი იყო, იცი რაო, მითხრა, არ ინერვიულოო, რახან ყველაფერი ასე ცუდად არის, აუცილებლად გამოსწორდებაო. ცხოვრება ზოლიანიაო, ხან შავი ზოლია და ხან თეთრიო. გეშინოდეს მაშინ, როცა ყველაფერი არის ძალიან კარგად, იმიტომ, რომ აუცილებლად მოვა უარესი ზოლი შენს ცხოვრებაშიო. ასეა ამ შემთხვევაშიც, იმდენად ცუდად არის ყველაფერი, რომ აუცილებლად იქნება უკეთესი სიტუაცია.

## „საქართველოს გზა“ დაკავებული მომიტინგეების გათავისუფლებას მოითხოვს

პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ სამართალდამცავების მიერ აქციის მონაწილეების დაკავებას აპროტესტებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით პარტიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 10 აპრილს თბილისში, უზენაეს სასამართლოსთან პოლიციამ მშვიდობიანი მანიფესტანტები უკანონოდ დაარბია.

— მიგვაჩნია, რომ აქცია იყო სრულიად მშვიდობიანი მომიტინგეები გამოხატავდნენ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის მიმართ პროტესტს, რასაც ხელისუფლებამ ვერ გაუძლო და ძალა გამოიყენა მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ. „საქართველოს გზა“ კატეგორიულად გმობს მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავებას და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს, — ნათქვამია განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## „თავისუფალი დემოკრატები“ პარკირებასთან დაკავშირებით ინიციატივით გამოდიან

„თავისუფალი დემოკრატები“ პარკირების ერთდღიანი და ერთვიანი საფასურის გადახდის სისტემის შემოღების ინიციატივით გამოდიან.



როგორც გუშინ თბილისის საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „თავისუფალმა დემოკრატმა“ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, პარკირების ერთდღიანი და ერთთვიანი საფასურის გადახდის სისტემა საჭიროა იმისთვის, რომ დედაქალაქში საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა და სატრანზიტო მანქანების მძღოლებმა ისარგებლონ.

— დედაქალაქში პარკირების ახალი სისტემა, ისევე როგორც ხელისუფლების სხვა რეფორმები, ბოლომდე გაუაზრებელია. პარკირების გადასახადი თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული მოქმედი წესების მიხედვით წლის განმავლობაში 50 ლარი, 6 თვის განმავლობაში 25 ლარი, ერთ კვირაში კი 4 ლარია, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მისი თქმით, ასევე დაუსაბუთებელია დაჯარიმების ოდენობის სისტემაც, რაც ევაკუაციის საფასურს 60 ლარს , 24-საათიანი სადგომზე შენახვის საფასურს 10 ლარს, ჯარიმის 30 დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში საურავს 150 ლარს მოიცავს.

— თავისუფალი დემოკრატები ქალაქის მერს და მთავრობას წინადადებით მიმართავენ, რათა უმოკლეს ვადებში იმსჯელონ პარკირების ერთდღიანი და ერთთვიანი საფასურის გადახდის სისტემის ამოქმედებაზე.

**მედიანიუსი**

## სახაზინო ვალდებულებების აუქციონი გაიმართა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 350-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ 34 300 000 ლარი შეადგინა.

მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 9.420% ით, მაქსიმალური 9.650% ით, ხოლო საშუალო შეწონილი 9.527% ით განისაზღვრა.

**მედიანიუსი**

# თავის გადასარჩენად ხელისუფლება ღობე-ყორეს ედება

## უკვე 7 წელია სააკაშვილი პრეზიდენტობას იბრალებს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, ოპოზიციურ რვიანთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება, ზოგი ამბობს, რომ აქციებს იწყებთ, ითქვა ისიც, რომ ულტიმატუმს წაუყენეთ ხელისუფლებას და გარკვეული ვადა მიეცით. რა ხდება რვიანში?***

— რვიანთან დაკავშირებით მე შემიძლია გითხრათ, რომ რვიანმა მოიპოვა სუფთა გამარჯვება სამართლებრივ მოედანზე, მის მიერ წარდგენილი საარჩევნო გარემოს შეცვლის შესახებ. პროექტი იყო ძალზე კვალიფიციური, ამას ხელისუფლებამ ვერ დაუპირისპირა ვერაფერი, სამართლებრივი თვალსაზრისით და ერთადერთი, რაც დაუპირისპირა არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი თუ პავლე კუბლაშვილი ამბობენ, რომ ჩვენ თურმე მაჟორიტარების უფლებებს ვართმევთ რაიონებს. პირიქით, გეტყვით, კი არ ვართმევთ რაიონებს, არამედ ვამბობთ, რომ თუ ყაზბეგს უნდა ჰყავდეს ერთი მაჟორიტარი, ქუთაისს უნდა ჰყავდეს სამი მაჟორიტარი და პირიქით, უფრო დახვეწილ ვარიანტს ვთავაზობთ საზოგადოებას, უბრალოდ, ხელისუფლება ისევ დემაგოგიის ჩარჩოებში მოქმედებს და მისთვის ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ტელევიზიებით როგორ მოატყუოს ხალხს. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ჩვენ მივიღეთ ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ამ სამართლებრივ დუელში უკვე უნდა ჩავრთოთ ჩვენ არასამთავრობო სექტორიც, სამოქალაქო სექტორი, საქართველოს საზოგადოება, ქართველი ხალხი, უნდა ჩაერთოს პოლიტიკური კამპანიის წარმოების გზით ამ პროცესში. ჩვენ ამ პროცესებს ვგეგმავთ, ამაზე ვსაუბრობთ, ამაზე ვხვდებით, ამაზე ვმუშაობთ. პოლიტიკური კამპანია მოიცავს, ხელმოწერების შეგროვებიდან დაწყებული, ქუჩის აქციებით დამთავრებული, საკმაოდ ფართო დიაპაზონს. რაზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, რაზე შევთანხმდებით რვა პარტია, რომელსაც სხვადასხვა ბიოგრაფია, სხვადასხვა ტემპერამენტი, სხვადასხვა შეხედულებები და სხვადასხვა მსოფლმხედველობები გვაქვს, ამას, როცა შევთანხმდებით, მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანთ დღის სინათლეზე. მე არა მაქვს ახლა უფლება, რვა პარტიის სახელით რაიმე განვაცხადო, რაიმე შეთანხმებული ან ჩამოყალიბებული გეგმა, პოლიტიკური საქმიანობისა და პოლიტიკური აქტიურობისა.

***— ალასანიამ განაცხადა, რომ მაისის ბოლომდე მივცემთ ვადას ხელისუფლებას, შემდეგ უკვე ვიმოქმედებთ ისე, როგორც ავტორიტარულ რეჟიმს უნდა მოვექცეთო. რა იგულისხმებოდა მის განცხადებაში?***

— მესმის, თუმცა, ეგ ირაკლი ალასანიას ჰკითხეთ ირაკლი ალასანია რას გულისხმობდა. მე შემიძლია გითხრათ, მე რა ვადას ვაძლევ ხელისუფლებას, რა აქციების ჩატარებას ვაპირებ, როგორი ნაბიჯების გადადგმას ვაპირებ, მე ამასთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ ვიტყვი, როცა რვა პარტია იქნება ამაზე ჩამოყალიბებული. შეიძლება ბატონ ირაკლის თავისი მოსაზრებები აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები, მაგრამ მე ჩემი მოსაზრებების გამოთქმისგან შევიკავებდი თავს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ჯერ არ მისულხართ ერთიან პოზიციამდე?***

— ერთიან პოზიციამდე მივედით ძალიან ბევრ საკითხში და ერთიანი პოზიციის დეკლარირება იქნება უახლოეს მომავალში და ამის მერე იქნება ჩვენ მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, რომლის შესახებაც საზოგადოებას აუცილებლად ჩავაყენებთ საქმის კურსში.

***— რვიანის დაშლის საფრთხეს ხომ არ ხედავთ. კუბლაშვილმა ორაზროვნად გააკეთა განცხადება, რომ ცალ-ცალკე დავიწყებთ ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებებსო...***

— კუბლაშვილმა თავის ნაციონალურ მოძრაობას მიხედოს, იმიტომ, რომ მე ვხედავ პირიქით, საფრთხეს ნაციონალური მოძრაობის დაშლის და ბანაკებად დაყოფის. რვა პარტიამ ძალიან კარგად იცის, რომ ის თუ დაიშალა, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება კი არა, არავინ არ გაუწევს ანგარიშს. მე მინდა გითხრათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ნატოს ერთ-ერთი მაღალი ჩინოვნიკი აპატურაი აპირებს რვიანის წარმომადგენლებთან შეხვედრას, როდესაც ამერიკის საელჩო, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების საელჩოები არიან პირდაპირ ჩართულები ამ მოლაპარაკებებში, არასამთავრობო საერთასორისო ორგანიზაციები, მათ შორის ენდიაი, აიფიესი, სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ ამ საკითხში და მათ ყველა დეტალი იციან, მინდა გითხრათ, ფაქტიურად საერთაშორისო არბიტრაჟის დიდი გამადიდებელი შუშის ქვეშ მიმდინარეობს ეს მოლაპარაკება და ყველამ იცის, რომ ხელისუფლება ახლა ცუღლუტობს, მას უნდა თავი აარიდოს პირდაპირ პასუხებს და მიედმოედება ღობე-ყორეს. ეს არის დღეს ხელისუფლების მდგომარეობა და რა თქმა უნდა, არაკომფორტულად გრძნობენ თავს. ამას კი ადასტურებს ისიც, რომ თავად სააკაშვილმა კეთილი ინება და გაგვაკრიტიკა.



***— საკმაოდ ცინიკური იყო მისი განცხადებები, ალბათ, დამეთანხმებით, 20-30 წელია ერთი და იგივე პოლიტიკოსები გამოდიან და ჭკუას გვარიგებენო...***

— მე ყველაზე უფრო მეტად ის მაინტერესებს, რომ ერთი და იგივე კაცი იჩემებს პრეზიდენტობას 2003 წლიდან, უკვე რვა წელია და მე ვისურვებდი, რომ პრეზიდენტები არ უნდა იყვნენ 20 და 30 წელი ხელისუფლებაში და ერთი და იგივე სახეები იქიდან არის მოსაბეზრებელი, თორემ ის, რომ პოლიტიკაში ძალიან დიდხანს არიან ადამიანები, ეს მარტო საქართველოში არ ხდება. ეს ხდება მთელს მსოფლიოში და არსად არ ხდება პოლიტიკოსების თაობების ხშირ-ხშირი და სწრაფ-სწრაფი ცვლა, მაგრამ აი, პრეზიდენტებისა, პრემიერებისა და დიდი თანამდებობის პირების ხშირ-ხშირი ცვლა ხდება დემოკრატიულ ქვეყნებში. მე ძალიან მალე მოვესწრები იმ დღეს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ცინიკურად ლაპარაკს უკვე აღარ დაიწყებს პრეზიდენტის რანგში, როდესაც ის იქნება ძალიან თავმდაბალი, მორცხვი და არ ვიცი, სად იქნება. საქართველოში იქნება, საქართველოს ციხეში იქნება, უცხოეთში იქნება თუ უცხოეთის ციხეში. მე არ ვიცი, ვერ გეტყვით მისი მდგომარეობა საით ჩანს და როგორ ჩანს. მე შემიძლია მას ვურჩიო და ვუთხრა, ნუ ნერვიულობს სხვის პოლიტიკაში დიდხანს ყოფნაზე, იმ საქმეს მიხედოს, რომ თვითონ არის წასასვლელი მაგ პოსტიდან, რომელიც უკავია. თანაც წასასვლელია მშვიდობიანად, დემოკრატიულად და არჩევნების გზით და ნუ ებლაუჭება იმას, რასაც ვერც ერთ ვარიანტში ვერ შეინარჩუნებს.

***— გაქვთ იმის იმედი, რომ ასეთი ცინიკური ხელისუფლება რაიმეს დაუთმობს რვიანს?***

— ყველა ხელისუფლება ცინიკური იყო, რომელსაც ვებრძოდით მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. არც ერთი ხელისუფლება არ გვინახავს ცინიზმის გარეშე, ასეთი იყო კომუნისტური ხელისუფლება, ასეთი იყო შევარდნაძის ხელისუფლება, ასეთია სააკაშვილის ხელისუფლება. ცინიზმი ხელისუფლების მხრიდან ადასტურებს იმას, რომ მათ სხვა არგუმენტი არა აქვთ. როცა ვეუბნებით, რომ ერთმა ამომრჩეველმა ერთი ხმა უნდა მისცეს და თქვენ ცინიზმით პასუხობთ უკან, ეს იმას ნიშნავს, რომ სუსტი პოზიციები გაქვთ, ჩემო მიხეილ, ეს არის მთავარი პრობლემა და ამაზე უნდა გავამახვილოთ ყველამ ერთად ყურადღება, თორემ ის კი არა, რომ კაცი, რომელიც პრეზიდენტად აცხადებს თავის თავს, გამოდის და ხან რომელი სოფლიდან და ხან რომელი სოფლიდან, რამდენიმე ტელევიზიის საშუალებით აწვდის დეზინფორმაციას საქართველოს მოსახლეობას. ეს ბუნებრივი ამბავია, სამწუხაროდ, საქართველოში.

***— თქვენ საუბრისას აღნიშნეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა შესაძლოა ბანაკებად დაიყოს და დაიშალოსო. უამრავი ვერსია ვრცელდება, თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— ბევრი ვერსია ვრცელდება, ვინ იქნება პრეზიდენტი სააკაშვილის შემდეგ, მე დაგისვამთ კითხვას და მერე თქვენ გაეცით ამას პასუხი. სააკაშვილის შემდეგ პრეზიდენტი შეიძლება იყოს ბაქრაძე, შეიძლება იყოს უგულავა, შეიძლება იყოს მერაბიშვილი, შეიძლება იყოს კიდევ სხვა ვინმე, ვინც ჯერ არ ჩანს საერთოდ აქტიურად. ყველა მათგანს ნაციონალურ მოძრაობაში ეყოლება თავისი ბანაკი, თავისი მხარდამჭერი და ნაციონალურმა მოძრაობამაც ძალიან კარგად იცის დღეს, ისევე როგორც პოლიტიკურმა სპექტრმა რომ მიხეილ სააკაშვილი ვერ იქნება 2013 წელს, თუ საერთოდ 2013 წლამდე ამ ხელისუფლებამ მიაღწია, ვერც პრეზიდენტი და ვერც პრემიერი. ეს არის პოლიტიკური აქსიომა. ამიტომ მიხეილ სააკაშვილმა, გაცილებით უმჯობესი იქნება, თავის მომავალზე იფიქროს და არა პოლიტიკურ მომავალზე, როგორც პერსონამ, როგორც ადამიანმა ერთხელ მაინც დაუთმოს საკუთარ მომავალზე ზრუნვას დრო და დაფიქრდეს, როცა მას არ ექნება ამხელა ჯავშანი, ხელისუფლების სახით, მაშინ როგორ იქნება რიგით ადამიანებთან, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, მისი ურთიერთობა და რამდენად ექნება მას იმის უფლება, რომ ქუჩაში გაიაროს დაცვის გარეშე და ბრონირებული მანქანის გარეშე. ოც-ოცი მანქანით რომ დადის დღეს, რამდენად ექნება საშუალება და იმის უფლება, ამის გარეშე გაიაროს, რამდენად ექნება ამის შესაძლებლობა, ან მორალური უფლება. ეს არის ძალიან საინტერესო და ამაზე დაფიქრდეს, უმჯობესი იქნება და ცინიკოსობას თავი დაანებონს თორემ ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის, ჩვენ ოპოზიციაში რომ ვართ, მიჩვეულები ვართ, რომ მუდმივად ცინიკური დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ჩვენ მიმართ. ამის გამო ჩვენ ჭამის მადას არ ვკარგავთ. სააკაშვილი ცინიკური და გაღიზიანებული როცა გამოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ უჭირს, პრობლემები აქვს.

***— ასევე მინდა გკითხოთ, რადიკალური ოპოზიციის შესახებ, ისინი ღიად აცხადებენ, რომ ხელისუფლება მშვიდობიან რევოლუციას არ დაუშვებს და წავა პროვოკაციაზე, წავა სისხლისღვრაზეო, თქვენი აზრით, არის ამ ყველაფერზე წამსვლელი ხელისუფლება და რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ, იმ შემთხვევაში, თუ პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს?***

— ხელისუფლება რომ არ იკადრებს, ისეთი რამ მე ძნელად წარმომიდგენია. აქედან გამომდინარე, არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე, რომ მშვიდობიან ცვლილებას ხელისუფლებისას ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი ქვეყანაში. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ, რომ აქ რევოლუციები არ მოხდეს. მე განა არ ვამბობ, რომ პარტიები, რომლებიც ამბობენ, რომ რევოლუციის გარეშე ხელისუფლება არ წავა, ამას საფუძველი არ აქვს, რა თქმა უნდა, ამას თავის საფუძველი აქვს, მაგრამ თვითონ ამ პარტიებისთვისაც უმჯობესია, რომ ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალოს და სამართლიანი არჩევნების გზით მოხდეს პრობლემების მოგვარება. ეს მათთვისაც უკეთესია, ყველასთვის უკეთესია, ამიტომაც ვფიქრობ, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად ქვეყნის უნდა ავიღოთ ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა.

***— ასევე რადიკალების მხრიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ ეროვნული თანხმობის დეკლარაცია შევიმუშაოთო და ყველამ მოვაწეროთ ხელი, ვინც მზად არის, რომ მშვიდობიანი გზით გავუშვათ ეს ხელისუფლებაო...***

— მე მიმაჩნია, რომ საერთოდ ჯობია კოორდინირებული მოქმედება, რევოლუციურმა პარტიებმა აკეთონ თავიანთი საქმე, სახალხო გამოსვლები, დუღილის ტემპერატურა, მათ როგორც მიაჩნიათ, მე არა ვარ ამის გამსჯელი და ნურავინ ნუ დაიწყებს მეორე მიმართულების კრიტიკას, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მე დარწმუნებული ვარ, თუკი ქუჩაში ხმამაღალი აქციები იქნა, ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში საარჩევნო გარემოს შეცვლის გაცილებით უფრო დიდი შანსია, ვიდრე რუტინულ სიტუაციაში, როცა ჩვენ მარტო მოლაპარაკების მაგიდასთან ვზივართ ხელისუფლებასთან. ეს ხელისუფლება ნებით არაფერს არ დათმობს. თუკი ეს ორივე მიმართულება იქნება გააქტიურებული, ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი წარმატების ალბათობა არსებობს.

***— ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ შესაძლოა მოხდეს ისე, რომ რადიკალებიც და რვიანიც ერთად დადგნენ ქუჩაშიო, ამას გამორიცხავთ, თუ არის ამის შანსი?***

— მე არაფერს არ გამოვრიცხავ, მე ერთი რამე მინდა დავაფიქსირო, ოღონდ მე მინდა დავაფიქსირო ის, რომ ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი არის არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ჩვენ უნდა დავიწყოთ პოლიტიკური კამპანია, რათა საზოგადოება ჩავრთოთ ცვლილებების კამპანიაში და შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, მე ეს წინასწარ არ ვიცი, რა თქმა უნდა, მე არც ნათელმხილველი ვარ და არც ზებუნებრივი ნიჭი მაქვს ამის. მე ვიცი ერთი, რომ რაც სწორია, ის უნდა გავაკეთოთ. სწორი არის, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლისათვის გავაქტიურდეთ. ამ აქტიურობას მეც ვაპირებ და ის რვა პარტიაც, რომელიც არის ძალიან აქტიურად ჩართული საარჩევნო გარემოს შეცვლის პროცესში.

---

## საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით ორი ბრალდებული გამართლდა

2011 წლის პირველ კვარტალში საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით ორი ბრალდებული გამართლდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" იურიდიული დახმარების სამსახურიდან აცნობეს, იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატების ძალისხმევით, ქურდობის მცდელობაში ბრალდებული ირაკლი ი. და თაღლითობის ჩადენაში ბრალდებული დარეჯან კ. გამართლდნენ. ირაკლი ი.-ს ბრალი ედებოდა ქუთაისში სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში, რისთვისაც მას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის სასამართლო განხილვის დროს, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, საზოგადოებრივმა ადვოკატმა პავლე კაკაბაძემ წარადგინა პოზიცია, რომლის თანახმადაც ირაკლი კ.-მ გაფანტული საყვავილე კონსტრუქციის ნაწილები შეაგროვა, ხელახლა ააწყო საყვავილე და სკვერში ისევ მიუჩინა თვალსაჩინო ადგილი. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ირაკლი ი.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. დარეჯან კ.-ს მიმართ კი სისხლისსამართლებრივ დევნას საფუძვლად დაედო მოქალაქე ია ქ.-ს პოლიციისადმი შეტყობინება, რომლის თანახმადაც, დარეჯან კ.-მ ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან მისი კუთვნილი დახლმაცივარი და თაროები ნებართვის გარეშე წაიღო. გამოძიების შედეგად დარეჯან კ. ბრალდებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც თვითნებობის ჩადენისათვის მაქსიმალურ სასჯელად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლო სხდომაზე საზოგადოებრივმა ადვოკატმა ხვიჩა თავაძემ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დარეგისტრირებული იყო ინდმეწარმედ და სადავო ნივთებს, ია ქ.-სთან ერთად, საკუთრების თანაბარი უფლებით ფლობდა. იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ დარეჯან კ.-მ მისი კუთვნილი ნივთები თავისთან შესანახად გადაიტანა ისე, რომ ეს ია ქ.-ს არ შეატყობინა. თავის დაცვით სიტყვაში, ხვიჩა თავაძემ დარეჯან კ.-ს უდანაშაულობა დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლით, რომლის მიხედვით, მოწილენი საზიარო საგანს ერთობლივად მართავენ. თითოეულ მოწილეს კი უფლება აქვს საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და დარეჯან კ.-ს მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

**ინტერპრესნიუსი**

---

## საქართველოში ადვოკატთა დევნა მსოფლიოს აშფოთებს

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია საქართველოში ადვოკატთა დევნის გამო შეშფოთებას კიდევ ერთხელ გამოხატავს.

ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან" აცნობეს. მათვე გაავრცელეს ობსერვატორიის მიმართვა მიხეილ სააკაშვილისადმი სადაც ადვოკატების დაუსაბუთებელ დაპატიმრებებზეა ყურადღება გამახვილებული.

ობსერვატორიის განცხადებით, ქართველი ადვოკატები ხშირად ხდებიან დამაშინებელი იურიდიული პროცედურების, დაპატიმრების და მოკვლევის სამიზნეები, ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებული და დამნაშავედ ცნობილი იქნა იმის გამო, რომ იცავდა კლიენტებს, რომელთა საქმეები განსაკუთრებული ყურადღების ღირსად იყო მიჩნეული.

— კიდევ უფრო სამწუხარო არის ის ფაქტი, რომ საქართველოში გასამართლებული ადვოკატების დიდი უმრავლესობა გასამართლებული იქნა თვითნებური დაპატიმრების და უკანონო დაკავების შემდეგ, გამოგონილ სამხილებზე დაყრდნობით. საქართველოში გასამართლებულ ადვოკატთა უმეტესობას წაეყენა ბრალი „თაღლითობა", უშედეგო იურიდიული დახმარების გაწევის მიზეზით,— ნათქვამია განცხადებაში.

ობსერვატორია განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიიჩნევს 23 წლის ადვოკატის მარიანა იველაშვილის საქმეს, რომელიც გასამართლებულია თაღლითობის ჩადენისათვის და სასამართლო პროცესზე მისი ძირითადი უფლებები აბუჩად იქნა აგდებული.

— ობსერვატორია შეგახსენებთ, რომ ადვოკატთა დამოუკიდებულება დემოკრატიის და სამართლებრივი ნორმების ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. საქართველოს ხელისუფლების ყურადღებას იგი მიაპყრობს ადვოკატთა როლის ძირითად პრინციპებზე, რომელიც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების მერვე კონგრესზე შეურაცხყოფისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ, რომელიც ჩატარდა ჰავანაში (კუბა) 1990 წლის 27 აგვისტოდან 27 სექტემბრამდე, — ნათქვამია განცხადებაში. განმარტებულია, რომ ამ პრინციპების თანახმად, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, ადვოკატების მხრიდან თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან უადგილო ჩარევის გარეშე.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილი მინისტრებს აუცილებლად გადააყენებს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი პოლიტიკურ რვიანს ნაბიჯებს უწუნებს და აცხადებს, რომ რვიანის წევრებს დიალოგის მაგიდა დროულად უნდა მიეტოვებინათ და არა ამდენი ხნის შემდეგ.**

**შატბერაშვილი დარწმუნებულია, რომ ჯერ პოლიტიკური პროცესი ისე არ არის მომწიფებული, რომ მასობრივი პროტესტი შედგეს და ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეექმნას.**



ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი ეხმიანება ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრების შემდეგ ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვის ფაქტს და აცხადებს, რომ სააკაშვილის ჩანაფიქრია ებრაელ და ქართველ ხალხს შორის დაპირისპირების გაჩენა.

რაც შეეხება იმას, გაათავისუფლებს თუ არა ისრაელის პრეზიდენტის თხოვნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ებრაელ ბიზნესმენებს, შატბერაშვილი დარწმუნებულია, რომ არ გაათავისუფლებს.

რას ვერ ინელებენ ლეიბორისტები, აპირებენ თუ არა ინიციატივის ხელში აღებას და რა პერსპექტივა აქვს პოლიტიკურ რვიანს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სოსო შატბერაშვილთან.

***— ბატონო სოსო, როგორ აფასებთ ოპოზიციური რვიანის გადაწყვეტილებას ხელისუფლებასთან დიალოგის შეჩერების თაობაზე?***

— რვიანს მაშინ უნდა შეეჩერებინა მოლაპარაკება ხელისუფლებასთან, როცა ჩვენ მას მოვუწოდეთ ამისკენ. მაშინ ახალი დაწყებული იყო ხელისუფლებასთან დიალოგი. დაახლოებით ათი დღის დაწყებული იყო ეს მოლაპარაკებები, როცა ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს მოლაპარაკება დამთავრდებოდა ე. წ. რვიანის სრული ფიასკოთი და მიხეილ სააკაშვილის ტრიუმფალური გამარჯვებით. შემდეგ მეორედ მოვუწოდეთ რვიანს, დაეტოვებინა მოლაპარაკების მაგიდა მას შემდეგ, რაც 15 თებერვალს ხელისუფლებამ საოლქო კომისიის წევრებად დანიშნა აბსოლუტურად ყველგან ნაციონალების მიერ წარდგენილი კადრები, რომლებიც წესით უპარტიოები უნდა ყოფილიყვნენ. ანუ ხელისუფლებამ უკვე დაიწყო მომავალი არჩევნების გაყალბება. მთლიანად ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ ე.წ. რვიანს დაეტოვებინა მოლაპარაკების მაგიდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ხმამაღლა და რიხიანად განაცხადა საერთაშორისო არენაზე: ნახეთ, მე რა კონსტრუქციული ვარ, როგორი დემოკრატი ვარ. უკვე რვა ოპოზიციური პარტია ზის მოლაპარაკების მაგიდასთან და ჩვენთან აწარმოებს კონსტრუქციულ მოლაპარაკებას. ან მაშინ უნდა დაეტოვებინა მოლაპარაკების მაგიდა რვიანს, როცა ხელისუფლებამ უარი განაცხადა ე. წ. „ბიომეტრიული არჩევნების" ჩატარებაზე, რომელზეც ჩვენ ეროვნულ ფორუმს დავეთანხმეთ და ხელიც მოვაწერეთ. ჩვენ მომხრენი ვართ ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარდეს არჩევნები, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ინციატივაც თავზე გადაახია ამ რვიანს, ამ ე.წ. კონსტრუქციულ ოპოზიციას. კიდევ რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას იმისათვის, რომ რვიანს მიეტოვებინა მოლაპარაკებათა მაგიდა. გახსოვთ, ჩვენ გამოვედით ინიციატივით გაუქმებულიყო მაჟორიტარული არჩევნები და ამის არაერთი მაგალითი დავასახელეთ. მაჟორიტარებად ხელისუფლებას ჰყავს ძირითადად ბანდიტები, ყაჩაღები, ე.წ. ბიზნესის წარმომადგენლები. სინამდვილეში კი ხალხის კისერზე მოკალათებული წურბელები. აი, მხოლოდ და მხოლოდ ესენი არიან მაჟორიტარულ კორპუსში. მაჟორიტარების არც ერთი წარმომადგენელი არ არის პოლიტიკოსი, არ არის პატიოსანი და ისეთი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მრწამსისთვის ირჩევენ. ამასაც გამოეხმაურა პოლიტიკური რვიანი და შემდეგ არაერთხელ განუცხადა ხელისუფლებას, რომ თუ თქვენ რეალურად გინდათ კომპრომისზე წამოსვლა, მოდით, მაჟორიტარული კორპუსი გააუქმეთ, ან შეამცირეთ მაინც. ესეც, ასე ვთქვათ, ნაგვის ყუთზე მოისროლა ხელისუფლებამ და ამის შემდეგ მოლაპარაკება შევიდა ჩიხში. რატომ გააკეთა რვიანმა ეს ჩიხში შეყვანა, ხომ შეეძლო მანამდე ვაჟკაცურად, ამაყად წიხლი ეკრა მოლაპარაკების მაგიდისთვის, რომლის იქეთა მხარესაც პალიკო კუბლაშვილი და მისთანები ისხდნენ და დაეტოვებინათ მოლაპარაკების პროცესი. როგორც 26 მაისს სტადიონიდან ხალხის სამებისკენ დაძვრამ გამოიწვია საზოგადოებაში ნიჰილიზმი, ისე ამ რვიანის მოლაპარაკებებმა. ეს იმიტომ, რომ რვიანმა არ გაითვალისწინა ჩვენი პოლიტიკური ანალიზი. ჩვენ კი არ ვამბობთ, რომ წინასწარმეტყველები ვართ და პოლიტიკური გენიის წარმომადგენლები, მაგრამ უბრალოდ ხომ შეიძლება კოლეგებმა მოგვისმინონ, დაფიქრდნენ, როდესაც რაიმეს ვთავაზობთ, ეგებ საინტერესოა ჩვენი პოზიცია. ყურადღაც არ იღებენ და შემდეგ ასე მთავრდება ე.წ. კონსტრუქციული დიალოგები. შედეგი ერთია — მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის გამარჯვება.

***— თქვენი აზრით, რვიანმა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე კიდევ უნდა იფიქროს თუ არა?***

— ეს მოლაპარაკებები უკვე დასრულდა და სამწუხაროდ დასრულდა მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით. ამ დროს შეიძლებოდა არ დაწყებულიყო, რაც სააკაშვილის მარცხი იქნებოდა. რადგან მაინც დაიწყეს, კარგი იქნებოდა, ორ კვირაში მაინც მიეტოვებინათ. შიგნით რა ხდებოდა არ ვიცი, გარედან კი ჩანდა, რომ სააკაშვილს დრო გაყავდა და გამარჯვებისთვის ემზადებოდა. სააკაშვილი გამარჯვებულია მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანის შედეგად. ახლა დამარცხებული რვიანის მხრიდან რაიმე ქმედებების ჩატარება ან მოლაპარაკების მხრივ რაიმე ნაბიჯები იქნება ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა და მეტი არაფერი.

***— ქართული პარტია სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრის კოორდინირებული ქმედების ინიციატივით გამოდის. შესაძლებლად მიგაჩნიათ ერთობლივი ნაბიჯების გადადგმა ამ ფონზე სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად?***

— ჩვენ ვნახეთ ე.წ. ქართული პარტიის წევრების და ლიდერების მიერ მოხდენილი რევოლუციები. ვნახეთ ეროსი კიწმარიშვილის მიერ მოხდენილი რევოლუცია, ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომელმაც უდიდესი უბედურება მოუტანა ქვეყანას, ქართველ ხალხს. ნახეთ სხვა ლიდერების მიერ ჩატარებული რევოლუციური ქმედებები 2007-09 წლებში და მე ძალიან მეეჭვება, ახლა ამ პარტიამ რაიმე ისეთი მოიმოქმედოს, რომ ხალხს მისკენ მოუბრუნდეს გული. მე არა მგონია, გულიც რომ მოუბრუნდეს, მათი ქმედება სხვანაირად დასრულდეს, ვიდრე აქამდე დასრულებულა.

***— ფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივ ნაბიჯებს აზრი არ აქვს?***

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ოპოზიციური რვიანის" ექსპერტ ირაკლი მელაშვილთან



***— ბატონო ირაკლი, როგრია თქვენი ახალი შეთავაზება მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით?***

— ეს არის არჩევნების გერმანული მოდელი. ამ მოდელით პარლამენტი ლაგდება თუ რომელ პარტიას რა მხარდაჭერა გააჩნია ქვეყნის მოსახლეობის. 1995 წელს მაშინდელმა მოქალაქეთა კავშირმა მიიღო 23 პროცენტი და საკონსტიტუციო უმრავლესობა დააკომპლექტა. ყველა ბოლო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა იღებდა უფრო ნაკლებ მხარდაჭერას 50-60 პროცენტამდე, მაგრამ აკომპლექტებდა პარლამენტის 90 პროცენტს, რაც არ არის სამართლიანი. პარლამენტში პარტიული წარმომადგენლობა კომპლექტდება მხოლოდ იმის მიხედვით, რა პროცენტის მხარდაჭერასაც მიიღებს არჩევნებში. ამაში ითვლება მაჟორიტარი კანდიდატების ოლქებიც.

***— პეტრე ცისკარიშვილმა „ოპოზიციური რვიანი" მოლაპარაკების ჩაშლაში დაადანაშაულა სწორედ მაჟორიტარებთან დაკავშირებით...***

— პეტრე ცისკარიშვილმა ამ საკითხში მოიტყუა. რადგან არც ერთ ჩვენს განცხადებაში არ გვითქვამს, რომ მოლაპარაკებებს ვშლით. მოლაპარაკებები ჩაშლილად ხელისუფლებამ გამოაცხადა. როდესაც ხელისუფლება მიზეზად და საბაბად აცხადებს იმას, რომ „რვიანი" მაჟორიტარების არჩევნებზე უარს ამბობს და ამიტომ ვშლი მოლაპარაკებებს, ახლა ვეუბნებით აგერ მაჟორიტარები და აგერ სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ პარლამენტი იყოს დაკომპლექტებული ამომრჩევლის მხარდაჭერის ადეკვატურად.

***— ხელისუფლებას თავისი არგუმენტები აქვს...***

— ეს წინადადებები მათ არგუმენტებზე დაყრდნობით არის. ჩვენ გადავდგით ნაბიჯი, ახლა მაინტერესებს, რას იზამენ.

***— ბიომეტრიული სისტემით სიების დადგენა ისევ დღის წესრიგშია?***

— ინდოეთში ახლა დამთავრდა, 11 თვეში მილიარდ 180 მილიონი ამომრჩევლის აღწერა.

***— მინაშვილმა, დრო ეშლებათო...***

— 24 თვე ყოფილიყო, პროპორციები საქართველოს და ინდოეთის მოსახლეობის, რომ შევადაროთ ერთი ორმოცდათთან არის. ჩვენ თუ ერთ წელიწადში ვერ ვასწრებთ, ინდოეთს 40 წელიწადში ვერ უნდა მოესწრო. თითიდან არის გამოწოვილი. ამიტომ არის, რომ ვამბობთ: ამომრჩეველთა დათვლის საკითხი არ ექვემდებარება გადახედვას. რადგან თუ გვინდა არჩევნების ჩატარება, რა სისტემითაც არ უნდა ჩატარდეს, თუ ამომრჩევლის სია არ დაიწმინდა და „ერთი ამომრჩეველი ერთი ხმა", ამ პრინციპით არ ჩატარდა, მაშინ ამას აზრი არ ექნება. ყველაფერს თავისი წესი აქვს. არ შეიძლება დახუფულმა ჩაიდანმა დიდხანს იდუღოს. ასეთ ვითარებაში ვიმყოფებით.

***— რა იქნება ამ შეთავაზების შემდეგ?***

— თუ მოლაპარაკების მაგიდამ შედეგი ვერ გამოიღო, თუ პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებამ დაკარგა იმედი, რომ ამ ქვეყანაში მოლაპარაკებით, არჩევნებით რაიმეს ცვლილება შესაძლებელია, ბუნებრივია ეს გამოიწვევს რადიკალიზაციას. როდის? მაისში, ივნისში ამას ვერავინ ვერ იტყვის. ისევე, როგორც ვერავინ ვერ დაითვალა, რატომ მოხდა ტუნისში გამოსვლები. ტუნისი სოციალურად ბევრად უფრო წარმატებული ქვეყანა იყო, ჩვენზე არ ვსაუბრობ თითქმის მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ტუნისში ხალხი ბევრად უფრო კარგად ცხოვრობდა, ვიდრე ევროკავშირში შემავალ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. ტუნისში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი იყო, ვიდრე იქ, მაგრამ რევოლუცია მოხდა. არის ბევრი ფაქტორი, რომელიც წინასწარ გათვლებს არ ექვემდებარება. თუ ადამიანებს არ უტოვებ გამოსავალს, რომ თავიანთი პოლიტიკური ინტერესები გამოხატონ, თავისუფლებას მიაღწიონ, თავიანთი ინტერესები დაიცვან, მაშინ ეს ყველაფერი სტიქიურად გადმოდის ქუჩაში. ეს მუქარა და ულტიმატუმები კი არ არის, ეს არის ელემენტარული ანალიზი. ისტორიას, ისევე როგორც ფიზიკას, ქიმიას თავისი წესები აქვს. ქართველ ხალხს 20 წელია ისე მართავენ, ასე იაპონია რომ ემართათ, იმ კუნძულებზე რამდენი კაცი დარჩებოდა ცოცხალი და რამდენი გაიქცეოდა, არავი უწყის. დღეს ყველა ხვდება, ვინც აკრიტიკებს და ვინც არა, რომ მოლაპარაკების პროცესზე არის დამოკიდებული ბევრი რამ.

***— თუ არ განახლდა მოლაპარაკების პროცესი?***

— თუ არ განახლდა, არ განახლდება. ამ მოლაპარაკებას ორიდან ერთი შედეგი აქვს, ორივე შედეგი წარმატებაა.

***— რომ დააკონკრეტოთ...***

— ერთი შედეგი არის ის, რომ იცვლება საარჩევნო გარემო და მაშინ ყველას გვეძლევა შანსი, რომ არჩევნებით შევცვალოთ ხელისუფლება. მეორე შედეგი ასეთია: თუ ხელისუფლება არ ცვლის საარჩევნო გარემოს და ყველა წინადადებაზე უარს ამბობს, მაშინ მან ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც უნდა თქვას, რომ სამართლიან არჩევნებს არ ვატარებ.

## რა უნდა „ოპოზიციურ რვიანს"

***— მაგრამ ამას ხომ არ იტყვის?***

— აქეთკენ მიდის, როდესაც არც ერთ შეთავაზებას არ იღებს, კიდევ მესამე შეთავაზებას გავაკეთებთ და მერე თუ კიდევ „ტლინკებს" აყრის, მაშინ არ უნდა.

***— ამ შემთხვევაში რას აკეთებს „რვიანი"?***

— „რვიანი" რას აკეთებს, ვერ გეტყვით, რადგან ცალკე პოლიტიკური პარტიები არიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბრძოლას გააგრძელებენ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ პარტიები წავლენ და სახლში დასხდებიან, ძალიან ეშლებათ. ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება. ცეცხლთან თამაშს არ ვურჩევ არც მათ, არც ჩემს თავს და არც ჩემს ქვეყანას. ვიმეორებ, ეს შეთავაზება არის შანსი. შანსი მათთვისაც. გამოიყენებენ, გამოიყენებენ თუ არადა, ვიმეორებ, ცეცხლს ეთამაშებიან. ლიტვაში ვიყავი მიწვეული და ვნახე, რომ პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ისევ ის არის, ვინც მაშინაც იყო, სამჯერ წავიდა და სამჯერ მოვიდა ხელისუფლებაში. რადგან არც ერთმა ხელისუფლებამ იქ არ გადაწყვიტა, რომ მოვიდა ხელისუფლებაში, სამუდამოდ უნდა დარჩეს. სამუდამოდ ვერავინ ვერ დარჩა საქართველოს ხელისუფლებაში და ვერც ვერავინ ვერ დარჩება. ნორმალური პოლიტიკური ციკლის შექმნის შანსი ყველა ხელისუფლებას ჰქონდა და ამათაც აქვთ.

***— როგორია ეს შანსი?***

— შეიძლება უმრავლესობა ვერ მოიპოვო, მაგრამ შემდეგ არჩევნებზე უმრავლესობაში დაბრუნდე. როდესაც გინდა ყოველთვის ყველაფერი, საბოლოო ჯამში მიიღებ არაფერს. შანსი ყველამ უნდა გამოიყენოს. ვიმეორებ, ეს არის შანსი არა მხოლოდ ოპოზიციისთვის, არამედ მათთვისაც. სამწუხაროდ, ხელისუფლების ნაწილი ამას უყურებს როგორც ოპოზიციის შანსს, არ არის მხოლოდ ჩემი შანსი, ეს მათი შანსია, პირველ რიგში, თუ გაიგებენ. ყოველთვის, როდესაც სიტუაცია იძაბებოდა, ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანებ, რომელნიც ნებისმიერი მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო. ასე იყო 1991 წელს, 2003 წელს, ასეთი ხალხი ოპოზიციაშიც იყო. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ისტორია ისე განვითარდა, რომ მეორედ, მესამედ და ყოველთვის იმ ხალხმა გაიმარჯვა, რომელიც შეთანხმების მომხრე კი არ იყო, არამედ თავის თანამემამულეზე გამარჯვების მომხრე იყო. ამიტომაც მივიღეთ პერმანენტული რევოლუციები. ამ ხელისუფლებაშიც საკმაოდ ძალუმად არიან ასეთი ადამიანები წარმოდგენილი. მე მომლაპარაკებლებს ვუთხარი: ბიჭებო, ასე არის საქმე იქითაც და აქეთაც, ვინც სხედხართ მოლაპარაკების მაგიდასთან თქვენზე არის დამოკიდებული, ჭკვიანურად წავა ეს პროცესი თუ უჭკუოდ.

***— საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების პოზიცია როგორია, ჩიხში რომ არის პროცესი შესული?***

— მათი რეაგირება ჯერჯერობით არ არის საჯარო, მაგრამ არასაჯარო რეაგირება არის საკმაოდ სერიოზული მიწოლა ხელისუფლებაზე, რომ მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, რომ მოლაპარაკებები უნდა შედგეს.

## გამოკითხულთა 89% ინფორმაციას ტელევიზიით იღებს

ენდიაის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 89% ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ტელევიზიით იღებს, 4% ინტერნეტით, მეზობლებისგან, მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისა და ჟურნალ-გაზეთებისგან მხოლოდ 2-2%.

ეს რესპონდენტების მიერ დასახელებული პირველადი არჩევანია. მეორე არჩევანისას უმრავლესობა უპირატესობას ჟურნალ-გაზეთებს ანიჭებს.

კვლევა მიმდინარე წლის 4-17 მარტის პერიოდში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. პირისპირ ინტერვიუს წესით გამოიკითხა 2893 ადამიანი. მათ შორის იყვნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის მცხოვრებლები. კვლევაში ცდომილება პლუს-მინუს 3%-ს შეადგენს.

კვლევების დამკვეთია ტ3I, ფინანსური მხარდამჭერი - შვედეთის განვითარების სააგენტო. კვლევები კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ჩაატარა. **ინტერპრესნიუსი**

## გამოკითხულთა 44% ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას ემხრობა

ენდიაის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 44% ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას ემხრობა. უარყოფითია 39%-ის დამოკიდებულება, 16%-მა არ იცის, მოსწონს თუ არა აღნიშნული იდეა.

აქედან, გამოკითხული თბილისელების 28% ემხრობა ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას, 58% კი — წინააღმდეგია. რაც შეეხება ქუთაისელ რესპონდენტებს, მათი 82% დადებითად არის განწყობილი აღნიშნული იდეისადმი, წინააღმდეგია მხოლოდ 15%.

გამოკითხულთა 61%-ის აზრით, პარლამენტის შენობის გადატანას ქუთაისზე დადებითი გავლენა ექნება, მხოლოდ 18% მიიჩნევს მას თბილისისთვის დადებითად, 11%-ის აზრით, ეს დადებითად იმოქმედებს საქართველოს უსაფრთხოებაზე. **ინტერპრესნიუსი**

# ყველა ორსული სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს

ნანა მიშელაშვილი

**„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი მაგდა ანიკაშვილი მოითხოვს, რომ ყველა ორსულს, რომლის ოჯახიც შეფასებულია სიღარიბის მაჩვენებლით, სახელმწიფომ აუნაზღაუროს მშობიარობის ხარჯები.**



გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა მაგდა ანიკაშვილმა და ორსულთა მეთვალყურეობის ვაუჩერთან დაკავშირებით ისაუბრა. ანიკაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა ორსულობის მეთვალყურეობის ვაუჩერის გაცემის თაობაზე მნიშვნელოვანი სიახლეა, თავად დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამას არ დამატებია არც ერთი ახალი კომპონენტი. □ — ქრისტიან-დემოკრატები მივიჩნევთ, რომ არსებული სერვისები არ იძლევა ორსულობის სრულფასოვანი მეთვალყურეობის, საფრთხეების გამოვლენისა და დროული რეაგირების საშუალებას. აუცილებელია ვიზიტების რაოდენობის გაზრდა. მინიმუმ ექვსი კონსულტაციაა საჭირო, ნაცვლად ოთხისა, რათა მეან-გინეკოლოგმა შეძლოს ყველა შესაძლო გართულების თავიდან აცილება, — მიაჩნია ანიკაშვილს.

ოპოზიციონერი დეპუტატის აზრით, პირველი ვიზიტის გამოკვლევებს უნდა დაემატოს „ც“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და გლუკოზის განსაზღვრა სისხლში. ყოველი მომდევნო ვიზიტი უნდა მოიცავდეს სისხლისა და შარდის საერთო ანალიზებს და არა მხოლოდ ცილის და ჰემოგლობინის განსაზღვრას. ასევე უნდა გაიზარდოს ექოსკოპიური კვლევის რაოდენობა ოთხამდე.

მაგდა ანიკაშვილის განცხადებით, მთავარ პრობლემად, განსაკუთრებით რეგიონებში, რჩება მშობიარობის დაფინანსება. □ — ქრისტიან-დემოკრატები მოვითხოვთ, რომ ყველა ორსულს, რომლის ოჯახიც შეფასებულია სიღარიბის მაჩვენებლით 70 ათასიდან 100 ათას ქულამდე, სახელმწიფომ აუნაზღაუროს მშობიარობის ხარჯები, — აღნიშნა მაგდა ანიკაშვილმა.

დეპუტატი აცხადებს, რომ ამისთვის საჭიროა 3-4 მილიონი ლარი, რაც ჯანდაცვის სამინისტროს დეფიციტური პროგრამების ფონდიდან უნდა გამოიყოს.

## გონიოს მცხოვრებთათვის მიწების ჩამორთმევას აპროტესტებენ

„სახალხო წარმომადგენლობითი კრება“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გონიოს თემის მაცხოვრებელთათვის მიწების ჩამორთმევას აპროტესტებს. ამასთან დაკავშირებით გუშინ, კრების აღმასრულებელმა საბჭომ საინფორმაციო ბრიფინგი გამართა, რომელსაც დაზარალებულებიც ესწრებოდნენ.

როგორც „სახალხო კრების“ იურისტმა, თემურ ლომსაძემ განაცხადა, მოძიებული დოკუმენტების საფუძველზე, 2007 წლის დეკემბერში, პრეზიდენტის საჩუქრის სახით, გონიოს მაცხოვრებლებს მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები საზეიმოდ გადასცეს.

— სამი წლის შემდეგ კი, უკვე არასაზეიმოდ, 271 ოჯახის მიწის საკუთრების მოწმობებს ანულირება გაუკეთდა, — აღნიშნა მან.

„სახალხო კრებაში“ ამ ფაქტს აფასებენ, როგორც განსაკუთრებით ცინიკურს და უპრეცენდენტოს იმ უკანონობებს შორის, რომლებიც განხორციელდა ხელისუფლების მიერ.

ლომსაძის ცნობით, აჭარაში შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელიც დოკუმენტებზე დაყრდნობით გაკეთებულ საბოლოო დასკვნაში, საუბრობს და ასაბუთებს ხელისუფლების მხრიდან ჩადენილ არაერთ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას.

„სახალხო კრება“ მოსახლეობისთვის მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად, ხელთ არსებულ ყველა რესურს მაქსიმალურად გამოიყენებს“, - დასძინა იურისტმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას არ შევუშინდები!

## ადა მარშანიამ პატრულს მიტინგი მოუწყო

გულიკო ბალა ე

**როგორც ჩანს, სააკაშვილს და მის ჯგუფს უნდათ, მავანს აჩვენონ, თითქოს საქართველოში ისე იდეალურადაა საქმე, ხელისუფლების წინააღმდეგ სულ პატარა აქციაც არ იმართება ან თუ იმართება, მალევე იშლება.**

**ანდა, ეშინიათ, პატარა აქცია გრანდიოზულ საპროტესტო გამოსვლებში არ გადაიზარდოს და უმართავი პროცესების საწინდარი არ გახდეს, ანუ „შავი მურგვი“, რომელიც აფრიკა-აზიის ქვეყნებში აგორდა, მასთანაც არ მიგორდეს.**

მართალია, სააკაშვილმა განაცხადა, ჩვენ რევოლუცია 2003 წელს მოვახდინეთ და ამით ყველაფერი დამთავრდაო, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ხალხს ძალიან კარგად ახსოვს, რომ ის ხალხი, ვინც დღეს ქვეყნის მართვას ცდილობს, 1995 წლიდან სახელისუფლებო უმრავლესობაშია და შევარდნაძის მმართველ გუნდს წარმოადგენდა.

ქვეყნის 11-წლიანი მმართველობის დასასრულის მოახლოებას გრძნობენ და ადამიანების დაშინებას ცდილობენ. თუ ხელისუფლება ადამიანების დაშინებას არ ცდილობს, მაშინ რას მივაწეროთ 4 აპრილს კინოს სახლის წინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ადა მარშანიას დაპატიმრება.

კინოს სახლში ღონისძიებაზე მიმავალი დეპუტატი ადა მარშანია პოლიციის ოთხმა თანამშრომელმა დააკავა და შს სამინისტროს ახალაშენებული შენობის ეზოში მიიყვანა.

როგორც ადა მარშანია ამბობს, დეპუტატი პოლიციის თანამშრომლებს სამინისტროს შენობის ეზოში პოლიციელებს მანქანაში ოთხი საათის განმავლობაში ჰყავდათ თავისუფლება აღკვეთილი.

პოლიციელები ოთხი საათის განმავლობაში ადგენდნენ ადა მარშანიას ოქმს. ოქმის შედგენისა და დაჯარიმების შემდეგ ის გაათავისუფლეს. ამ დაკავების შესახებ ადა მარშანია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ადა მარშანია:**

— გამიბედეს ამ გველის წიწილებმა. მათ დააპატიმრეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დევნილების იურიდიული და ფაქტობრივი წარმომადგენელი. ამათ ცინიზმს და თავხედობას საზღვარი არ აქვს.

***— როგორ დაგაპატიმრეს?***

— კინოს სახლის წინ ვიდექი და არა იმ ადგილას, სადაც აქცია იმართებოდა. ოთხმა ე.წ. მამაკაცმა დამაპატიმრა.

***— იქ თქვენ ხელს რაში უშლიდით?***

— ძალიან სიმბოლური, ლოგიკური და ბუნებრივი აქცია ჩავატარეთ უზენაესი სასამართლოს შენობასთან, როგორც არარსებული სასამართლო სისტემის სიმბოლოსთან. შეძახილები იყო, ყველაფერი იყო და კვერცხებიც ვისროლეთ. მე პირადად პოლიციელები მედავებოდნენ, კვერცხები რატომ ისროლეთო. ალბათ, მათი მოქმედება მალე შეფასდება. მათ ის ხალხიც დააპატიმრეს, ვინც აქციაზე წყნარად იდგა და არაფერს ისროდა.



***— ანუ აქციის დამთავრების შემდეგ წახვედით და მერე დაგაპატიმრესთ?***

— აქცია რომ დამთავრდა, 20 წუთის შემდეგ მე ვიყავი კინოს სახლთან. ჩვენ კინოს სახლში ვიკრიბებოდით. კინოს სახლის წინ, საჯაროდ, ძალიან ბევრი ადამიანის თვალწინ მოხდა ჩემი დაკავება. ამ ძალადობასა და ტერორისტულ მთავრობას არ ვაპატიებ.

***— გამიზნული იყო თქვენი დაპატიმრება, მაგრამ აქციის ადგილზე არ დაგაპატიმრეს?***

— აბა, შემთხვევითი იყო? მიკვირს, აქციის ადგილზე რატომ არ დამაპატიმრეს. ეტყობა ჯერ კარგად მოიფიქრეს, ან დამატებითი ინსტრუქციები მიიღეს და მერე დამაპატიმრეს.

***— სად წაგიყვანეს?***

— ფაჩიკოს გარმონს რომ ეძახიან, იმ შენობის (გამჭვირვალე, ახალი შენობა რომ არის, თვალთმაქცურ ფრაზებს რომ იშველიებენ და დემაგოგობენ, ვითომ გამჭვირვალეა „მვდ-ს“ სისტემა და ის შენობა) უკან პატრულის მანქანაში ოთხი საათის განმავლობაში ვისხედით.

***— რას გეუბნებოდნენ, რა გვინდა, რატომ დაგაპატიმრეთო?***

— არაფერი. ერთი ოქმი ვერ დაუწერიათ. ოთხი საათის განმავლობაში ერთ ფარატინა ქაღალს ავსებდნენ. რა უნდა ეთქვათ. უშუალოდ პატრულის თანამშრომლები ძალიან თავაზიანად, დიდი პატივისცემით მექცეოდნენ. მე მათ მანქანაში პატარა მიტინგს ვუტარებდი.

***— ოქმში რა ჩაწერეს?***

— ორი მუხლით წამომიყენეს ბრალი. ერთი 166-ე მუხლია. მეუბნებოდნენ, იქ აქციას რატომ ატარებდითო. აქცია იყო სავსებით სამართლიანი და ნორმალური.

***— მოკლედ, ყველაფერზე მიდიან?***

— რა თქმა უნდა. აქციაზე ჩვენ შევახსენეთ მოსახლეობას, რა საშინელი კატასტროფული მდგომარეობაა ჩვენს ქართულ ციხეებში. მიდის ხალხის ცემა და მოკვდინება. ეგ არის, რაც ჩვენ შეგვიძლია. უარესიც უნდა გავუკეთოთ. რატომ უკვირთ ამ ტერორისტებს, ადამიანებმა კვერცხები რომ დაუშინეს. ეგ, საერთოდ, არ არის გასაკვირი.

***— აქციაზე რა მოთხოვნები გქონდათ?***

— შეწყდეს პატიმრების ცემა-წამება და ციხეებში უფლებადამცველებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლები, ცნობილი ადამიანები, საზოგადოებრივი კომისიის წარმომადგენლები შეუშვან. მოთხოვნა კალმახელიძის მიმართ არ არის. კალმახელიძე არის ფიტული და არა სამინისტროს ხელმძღვანელი.

***— აქციის მონაწილეები დევნილები იყვნენ?***

— სხვათა შორის, ზოგი დევნილი იყო. 10 დაპატიმრებულიდან ექვსი დევნილი ვიყავით. ყოჩაღ დევნილებს, რომ გააქტიურდნენ. ძირითადად დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წევრები იყვნენ.

***— ისინი გაათავისუფლეს?***

— 10 დაპატიმრებულიდან ოთხი გაათავისუფლეს. ოთხი ადამიანი 400-400 ლარით დააჯარიმეს.

***— თქვენც დაგაჯარიმეს?***

— დიახ, მეც დამაჯარიმეს. აბა, რატომ დამაკავეს? დაკავებას ხომ რაღაც აზრი ჰქონდა მათთვის. თავიანთი ჭკუით, 400 ლარით დამაჯარიმეს, მაგრამ არასოდეს გადავიხდი, ვერც ერთ თეთრს ვერ მიიღებენ. ოთხ ადამიანს 20-20 დღე მიუსაჯეს, ზოგიერთს კი — 10 დღე.

***— სასამართლო პროცესი ჩატარდა?***

— დიახ, ე.წ. ფარსი, მაიმუნობა. 12 საათზე დაიწყეს და 5-ის ნახევარზე დაამთავრეს, 37-იან წლებში ე.წ. ტროიკები რომ აკეთებდნენ ისე — 12 საათზე იწყებოდა სასამართლო, 3-ზე ამთავრებდნენ, 6-ზე ჰქონდათ განაჩენის გამოტანის დრო და 7 საათზე მთავრდებოდა, მაქსიმუმ ადამიანებს ხვრეტდნენ. ჩვენ ხუთის ნახევარზე გამოგვიშვეს, ზოგი იქ დატოვეს. ფაშიზმი ჰყავის საქართველოში. დღევანდელი ხელისუფლება თავისი ბოლშევიკური წინაპრების ნამოქმედარს იმეორებს. მათ ძალიან ჰგვანან.

***— ვინმეს ჩარევით გაგათავისუფლეს, თუ როცა დაგაჯარიმეს, გამოგიშვეს?***

— რას ჰქვია ჩარევით გათავისუფლება?

***— შეიძლება სახალხო დამცველი ან ვინმე ჩაერია საქმეში და გაგათავისუფლეს?***

— არა. წესით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მთელი შემადგენლობა იქ უნდა მოსულიყო.

***— იცოდნენ?***

— თავმჯდომარემ იცოდა. ყოლბაია კინოს სახლში გახლდათ, დარბაზში იყო და გაიგო. ბატონები გვაზავა და ყოლბაია იყვნენ. ახლა ველოდები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს განცხადებას. ახლა ამ ფაქტის გამო უმაღლესმა საბჭომ განცხადება აუცილებლად უნდა გააკეთოს.

***— უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რომ აპატიმრებენ, დევნილებს რაღას უზამენ?***

— დიახ, ალბათ ჩემი დაპატიმრება დევნილების დაშინებას უფრო ემსახურებოდა. მე ისინი ვერ შემაშინებენ. ჩემგან, პირიქით, რეაქციას მიიღებენ. ეს ჩემგან მშვენივრად იციან.

***— რაიმე ხომ არ გინდათ ამ ხელისუფლებას უთხრათ?***

— ამ ხელისუფლების მიმართ ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი (დარჩენილი), „წადით!“, „გადადექით!“. წადით, თორემ ძალიან ცუდად დაამთავრებთ პოლიტიკურ ცხოვრებას.

***— როგორ დაამთავრებენ?***

— პროგნოზიც არ მაქვს. ცუდად რომ დაამთავრებენ, ვიცი, მაგრამ როგორ კოშმარულად ცუდად დაამთავრებენ, ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ეს ხელისუფლება თავის პოლიტიკურ ცხოვრებას კოშმარულად დაამთავრებს.

# სააკაშვილი მინისტრებს აუცილებლად გადააყენებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

— მე მხოლოდ და მხოლოდ ერთ რადიკალურ ოპოზიციურ პარტიას ვხედავ. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთს. ეს არის ლეიბორისტული პარტია.

***— კი მაგრამ, ფაქტია, რომ ლეიბორისტული პარტია არც რადიკალურ ნაბიჯებს დგამს, არც საპროტესტო აქციების ინიციატივით გამოდის და არც სერიოზულ ძალად ჩამოყალიბებას ცდილობს.***

— რადიკალური ნაბიჯები ჩვენ არ გვინდა იმისათვის, რომ დროებითი პოლიტიკური ქულები მოგვიტანოს. რადიკალურ ნაბიჯებს გადავდგამთ მაშინ, როდესაც ხალხი მზად იქნება რადიკალიზმისთვის. თუ ჩვენ ხალხს ქუჩაში გამოსვლას მოვუწოდებთ, უკან დაბრუნებას და სამებისკენ წასვლას არ შევთავაზებთ, ეს იქნება სრული გამარჯვებით დასრულებული ქმედება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. სამწუხაროდ, საზოგადოებამ 2007 წლიდან ლიდერებად და ბელადებად აირჩიეს სხვა პოლიტიკური პარტიები და არა ლეიბორისტული პარტია.

***— ბატონო სოსო, როდისთვის გეგმავს ლეიბორისტული პარტია ინიციატივის ხელში აღებას?***

— როდესაც სიტუაცია მომწიფდება.

***— ანუ თქვენი აზრით, ახლა საზოგადოება ცვლილებებისთვის მზად არ არის?***

— საზოგადოებას ცვლილებები სჭირდება, მაგრამ პროცესი ჯერ უნდა მომწიფდეს. როდესაც მომწიფდება, ჩვენ მაშინვე დავიწყებთ რადიკალურ ნაბიჯებს და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოვუწოდებთ. ეს პროცესი კი ჩვენი სრული გამარჯვებით დასრულდება.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილი და მისი გუნდი არის თუ არა დღეისათვის ჩიხში და რატომ გაუჩნდა პოლიტიკოსთა ნაწილს აზრი, რომ სააკაშვილი გარკვეული ფიგურების გაწირვას დაიწყებს ხელისუფლების გადასარჩენად.***

— ჩვენ ამის შესახებ დიდი ხანია ვსაუბრობთ. სააკაშვილი არამცთუ მინისტრებს გაწირავს, თუ მას დასჭირდა თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ის უახლოეს თანამებრძოლებსაც გაწირავს და მეგობრებსაც. მეეჭვება მას მეგობარი ჰყავდეს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მას ჰყავს ფულადი პარტნიორები, ბიზნეს-პარტნიორები, რომლებიც პოლიტიკაში აკეთებენ ბიზნესს. ასე გაწირა მან ზურაბ ჟვანია, კოტე კემულარია, ლადო ჭიპაშვილი, კობა დავითაშვილი, ნინო ბურჯანაძე და სხვ. სააკაშვილს თუ დასჭირდა, კიდევ ბევრს გაწირავს. შესაძლოა მან საკუთარი ოჯახის წევრებიც გაწიროს პოლიტიკურად ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ.

***— არის კი სააკაშვილი იმ მდგომარეობაში, რომ ასეთი გაწირვები დაიწყოს?***

— იცით რა, ჩიხში დიდი ხანია სააკაშვილი შესულია. 2007 წლიდან სააკაშვილი ჩიხშია შესული. აღარაფერს ვამბობ 2008 წლის აგვისტოს ომზე, სადაც კურდღლებივით გამორბოდნენ არა მარტო მთავარსარდალი, არამედ გენერლები და უმაღლესი დონის ოფიცრები. ერთადერთი, ვინც იომა, ეს იყო საშუალო დონის ოფიცრები და ჯარისკაცები. ისე გამოიქცნენ დანარჩენები, რომ წინასწარვე ქონებაც კი საზღვარგარეთ ჰქონდათ გატანილი. ამიტომ ვამბობ, რომ 2008 წლიდან სააკაშვილი გამოუვალ ჩიხშია შესული, მით უმეტეს, რომ გამარჯვებული სახელმწიფო — რუსეთი პირდაპირ ამაყად აცხადებს, რომ ის არასოდეს არ დაჯდება მოლაპარაკებაზე სააკაშვილთან ერთად. ეს არის საშინელი ჩიხი. მე, პირადად, არა მგონია, რომ ამ ჩიხიდან გამოსასვლელად სააკაშვილს რამემ უშველოს, მით უმეტეს, მინისტრების გაწირვამ. მინისტრების და უახლოესი გარემოცვის გაწირვამ შეიძლება სააკაშვილს ერთ რამეში უშველოს: შიდა ბაზარზე. ანუ კიდევ ცოტა ხნით ორთქლს გამოუშვებს და ხალხის გარკვეულ ნაწილს მოატყუებს. შეიძლება გამოვიდეს და თქვას, კობა სუბელიანს გადავაყენებ, ხათუნა კალმახელიძეს გადავაყენებ ან თუნდაც ნიკა გილაურს და დავიწყებთ ნამდვილ მუშაობას. ამით მან შეიძლება რამდენიმე თვით გადაირჩინოს თავი, მაგრამ სააკაშვილს აღარაფერი აღარ უშველის.

***— სააკაშვილმა შეიძლება გარკვეული მინისტრები მოხსნას?***

— კი, შეიძლება მოხსნას, შეიძლება მინისტრთა კაბინეტი მთლიანად დაითხოვოს. ამით სააკაშვილმა შეიძლება მხოლოდ ცოტა ხნით გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. მას არც დაპირებული 100 დოლარიანი პენსია უშველის და არც არაფერი, რადგან ინფლაციას ლაგამს ველარ დებს სააკაშვილი. ამას წინათ თვითონ განაცხადა, ჩვენ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეგვიძლიაო. როცა ხელისუფალი ამას განაცხადებს, ის უკვე განწირულია დაღუპვისაკენ. პოლიტიკურ დაღუპვას ვგულისმობ. ინფლაციის აღვირახსნილობა ომში წაგებაზე უარესია.

## წელს საქართველოში 486,506 უცხოელი ვიზიტორი შემოვიდა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა უპრეცედენტოდ გაიზარდა; კერძოდ პირველ 3 თვეში ქვეყანაში შემოვიდა 486,506 უცხოელი ვიზიტორი, რაც 41 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქედან



468,962 უცხოელი ევროპიდან შემოვიდა. ნიშანდობლივია, რომ ზამთრის სეზონზე საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე ჩასული უცხოელ ტურისტების პარალელურად საგრძნობლად გაიზარდა ბიზნეს ვიზიტორების რაოდენობა თბილისსა და ბათუმში. ეს ტენდენცია კი იმაზე მეტყველებს, რომ ბათუმს არასეზონზე უკავია ისეთი მნიშვნელოვანი ნიშა, როგორიცაა საქმიანი შეხვედრები, კონფერენციები და სხვა.

ტურიზმის საგენტო მიუთითებს, რომ აჭარის რეგიონში და კერძოდ ბათუმში ზამთრის სეზონზე უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია ბათუმში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით. საერთაშორისო ჩამოსვლების მიხედვით პირველ ადგილზეა თურქეთი 149,145 და ნიშანდობლივია, რომ თურქი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე 47%-ით გაიზარდა, რაც ერთი მხრივ, გამოწვეულია საქმიანი მიზნით ჩამოსული თურქი ვიზიტორების საგრძნობ ზრდასთან, ხოლო მეორე მხრივ, გაიზარდა აჭარის რეგიონში, კერძოდ ბათუმში სათამაშო ბიზნესით დაინტერესებულ თურქთა რიცხვიც.

მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 139,706 ვიზიტორი, რომელთა გარკვეული ნაწილი სტუმრობდა საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს, ძირითადად ბაკურიანს.

საერთაშორისო ჩამოსვლების მიხედვით მესამე ადგილზეა სომხეთი. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის I კვარტალში რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა საქართველოში 35%-ით გაიზარდა და წლევანდელ ზამთრის სეზონზე გუდაურში საგრძნობლად გაიზარდა მოსკოველი და ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ ვლადიკავკაზიდან დამსვენებელთა რაოდენობა. სტაბილურად იზრდება უკრაინიდან ტურისტების რაოდენობა, 2011 წლის I კვარტალში 11,150 უკრაინელი ვიზიტორი იმყოფებოდა საქართველოში, რაც 16%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. უკრაინელი ტურისტების რაოდენობის ზრდა მეტწილად განპირობებულია საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010-2011 წლების ზამთრის სეზონის მზადებისათვის განხორციელებული მარკეტინგული კამპანიებით, კერძოდ კიევის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობა, პრეს და გაცნობითი ტურები უკრაინელი ჟურნალისტებისა და ტუროპერატორებისათვის და ა.შ. საგულისხმოა, რომ ირანის ტურისტულ ბაზარზე განხორციელებულმა მარკეტინგულმა კამპანიებმა შედეგად გამოიღო ის, რომ წელს ირანიდან ვიზიტორების რაოდენობა 127%-ით გაიზარდა. სტაბილურად იზრდება აგრეთვე შორეული ბაზრებიდან ვიზიტორების რაოდენობაც.

**მედიანიუსი**

## სოხუმელი მაიმუნები შესაძლოა, მარსზე გაფრინდნენ

სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მაიმუნსაშენის მაიმუნები შესაძლოა, კოსმოსში გაუშვან. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

მაიმუნები შესაძლოა, ექპსერიმენტულ პროექტში „მარსი-500“ ჩართონ, რომელსაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტი როსკოსმოსის ეგიდით ახორციელებს.

— ჩვენი ინსტიტუტისთვის ეს საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიული წინადადებაა, რამდენადაც რუსული სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტების აღდგენას შეუწყობს ხელს, — განაცხადა სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორმა ზურაბ მიქვაბიამ.

მისივე ინფორმაციით, აფხაზეთში ორი დღის წინ ჩავიდნენ კოსმონავტები მაგომედ ტოლბოევი და მიხეილ კორნიენკო, ასევე როსკოსმოსის წარმომადგენლები. მათი ვიზიტი კოსმოსში იური გაგარინის გასვლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კავკასიური ესტაფეტის ფარგლებში ხორციელდება.

1983-1989 წლებში სოხუმის მაიმუნსაშენიდან კოსმოსში 8 მაკაკა რეზუსი გაუშვეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ვინ დააწყებინა საქართველოს ომი 2008 წელს

## ამერიკასთან გაფორმებულ შეთანხმებას ლეღვის ფოთლის ფუნქცია აქვს

**თეა მარხვაი ე**

**ჩვენ ალბათ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ გავიგებთ რა მოხდა სინამდვილეში 2008 წლის აგვისტოში. ჩვენი პოლიტიკოსები ამის გარკვევით თავს უკვე აღარ იწუხებენ. ხელისუფლებამ იმ ომში გამარჯვებულებად გამოგვაცხადა. პრეზიდენტმა კი რუსეთის მიერ მიტაცებული აფხაზეთი და სამაჩაბლო ქვების გროვად შერაცხა. არადა, ამ „ქვების გროვის" დაცვას ათასობით მებრძოლი შეეწირა.**

ამ შეფასებას ჩვენს საზოგადოებაში დიდი რეაქცია არ მოჰყოლია. პოლიტიკოსებიდანაც მხოლოდ რამდენიმემ გაინერვიულა თავი. დღეს მათთვის სკამების გადანაწილება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე დაკარგული ტერიტორიები. ანდა ის შეფასებები, რომელსაც პრეზიდენტი ამ მიწების მიმართ გამოიყენებს.

ვიდრე ჩვენებურები სკამების გადანაწილებით და რევოლუციური იდეებით ერთობიან, რუსეთი ქვების გროვას კარგად ითვისებს. ოფიციალურ მოსკოვს დღეს უკვე არ ადარდებს მას დააბრალებენ თუ არა ომის დაწყებას. მათ გასაკეთებელი გააკეთეს. სამაგიეროდ ჩვენებურები ისევ აქტიურად ამტკიცებენ, რომ ომო რუსეთმა დაიწყო.



აგვისტოს ომთან დაკავშირებით საინტერესო მასალა გამოაქვეყნა ჰანს მორიტცენმა. ეს უკანასკნელი დანიის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი გახლავთ. მისი სტატია გამოცემამ „ოპენდემოკრასი“ გამოაქვეყნა. სტატიის ქართულ თარგამანს კი საიტი ფორეიგნპრესი გვთავაზობს.

— ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა იმაზე, თუ ვინ დაიწყო 2008 წლის აგვიტოს რუსულ-ქართული ომი. ორივე მხარე ენერგიულ კამპანიას აწარმოებდა მოვლენათა ინტერპრეტაციის საკუთარი ვერსიის სასარგებლოდ, რაც მისაღები უნდა გამხდარიყო პრესისა და სხვა ქვეყნებისთვის. ახლა ეს ყველაფერი უნდა შეწყდეს: ვიკილიქსმა ამ კითხვას დასაბუთებული პასუხი გასცა. მან ნათელი მოჰფინა ასევე ამერიკულ-რუსულ „გადატვირთვას“ და იმას, თუ რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის, — წერს დანიელი მკვლევარი.

რომლის დასკვნებიც ჩვენს ხელისუფლებას შეიძლება ძალიან არ მოეწონოს. თუმცა მათთვის სასარგებლო ინფორმაციას ამ მასალაშიც აღმოაჩენენ. არადა დანიელი მკვლევარი მათთვის არასასიამოვნო რამეებსაც იხსენებს.

— ყველა აღიარებს იმას, რომ აგვისტოს დასაწყისში ომს წინ უძღოდა სროლები და ძალადობა სამხრეთ ოსეთში, შეტაკებები ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმისადმი ლოიალურ რაზმებს და თბილისისადმი (ქართული მთავრობისადმი) ლოიალურ ძალებს შორის. ანალოგიურად, უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ 7 აგვისტოს 23:35 საათზე საქართველომ ცხინვალის მასირებული და განურჩეველი დაბომბვა დაიწყო (სხვა ყველაფერთან ერთად „გრადის“ არტილერიის გამოყენებით). ხოლო საკითხი, რომლის გარშემოც დიდწილად უთანხმოება წარმოიქმნა იყო ის, მიაჩნდათ თუ არა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მის მხარდამჭერებს, რომ რუსეთის არმია ამ შეტევის დაწყებამდე უკვე შემოჭრილი იყო საქართველოში. თავიდანვე, საქართველოს მიერ 8 აგვისტოს ღამით 1:47 სთ-ზე გამოქვეყნებულ პრესრელიზში და საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე საუბარია მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულ მოხალისეთა გასამხედროებულ რაზმებზე და არა რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილებზე. თუმცა სამ დღეში, ქართველებმა შეცვალეს ოფიციალური ვებ-გვერდების მონაცემები (როგორც ეს იორგენ სთაუნის მიერ არის დოკუმენტირებული) და ახალი ვერსია გაავრცელეს, რომელიც დღემდე პრევალირებს: საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენცია 23:30 სთ-ზე, ცხინვალის დაბომბვამდე ხუთი წუთით ადრე (საინტერესოა, რატომ იხარჯებოდა ქართული რესურსები ასეთ მიზნებზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის პირობებში, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა). ამ შესწორებულ ქართულ ვერსიას რუსეთი უარყოფს (რომელიც საკუთარი არმიის შეჭრას 8 აგვისტოს ღამის 2:30 საათით ათარიღებს). მასში (შესწორებულ ქართულ ვერსიაში) ეჭვი შეაქვს ასევე „ფაქტების დამდგენ დამოუკიდებელ საერთაშორისო მისიას, რომელმაც ვერ მოიძია იმის დამადასტურებელი ვერცერთი ფაქტი, რომ ინტერვენცია უფრო ადრე განხორციელდა. ქართული მხარე ვერსიების შეცვლას (კერძოდ, ინტერვიუში, რომელიც ამ სტატიის ავტორმა ჩაწერა) იმით ხსნის, რომ პირველი ვერსია რუსებისთვის ერთგვარი „ლეღვის ფოთლის“ ფუნქციას ასრულებდა, რომ მათ კონფლიქტი ისე დაეტოვებინათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე „სახე შეენარჩუნებინათ“, — ვკითხულობთ სტატიაში.

სტატიაში მოყვანილია ვიკილიქსის კონფიდენციალური დოკუმენტებიც. ეს დოკუმენტები ამერიკის ელჩის მიერ არის გაგზავნილი. ეს საბუთები სრულიად სხვა სურათს ხატავენ.

8 აგვისტოს დილის 10:10 საათზე ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი ვაშინგტონს ატყობინებდა, რომ თუ ქართველები მართლები არიან, და ბრძოლები ფაქტობრივად დასრულებულია ანუ ქართული გამარჯვება, მაშინ აბსოლუტურად გაურკვეველია, როგორი იქნება რუსების როლი, და არსებობს თუ არა კონფლიქტის გაფართოვების პოტენციალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ მომენტისთვის რუსები არანაირ ქმედებებს არ მიმართავდნენ. მეტიც, სააკაშვილი წუხდა, რომ სამხრეთ ოსეთის ბრძოლები „რუსებისთვის შეიძლება საბაბი გამხდარიყო, და არ არის გამორიცხული რომ შემდგომში შეიძლება შეტევა განხორციელდეს“.

— ასევე არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყო დილით ბრიფინგი დიპლომატიური კორპუსისთვის საგარეო საქმეთა მინისტრმა და მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას ზეწოლა განახორციელონ რუსეთზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არანაირ ქმედებებს არ მიმართოს. და ბოლოს, აშშ-ს ელჩმა აღნიშნა, რომ □არსებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ოსები დღეს რუსებს ღალატში ადანაშაულებენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოვლენებს გარედან, პასიურად აკვირდებოდნენ. ეს ყველაფერი ცალსახად ეწინააღმდეგება მოვლენების მეორე (გაბატონებულ) ქართულ ვერსიას, რომელიც რონ ასმუსმა კრიტიკის გარეშე გაიზიარა, — წერს დანიელი მკვლევარი.

მისი თქმით, ყველაფერი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ცხინვალის დაბომბვა ადგილობრივი ბანდიტებისთვის ჭკუის სწავლების მცდელობა იყო.

— არსებობდა ვარაუდი, რომ რუსეთს ასეთი მძლავრი რეაქცია არ ექნებოდა. ცხადია, ეს გულუბრყვილო შეფასებაა, მაგრამ ქართველები, როგორც ჩანს შეცდომაში შეიყვანა აშშ-დასავლეთის საუბრებმა იმის თაობაზე, რომ ფართომასშტაბიანი ინტერვენცია 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია. ამ არასწორ მსჯელობასთან სრულ შესაბამისობაში, ამერიკის თანამგზავრული დაზვერვა კრიტიკულ მომენტში ერაყის, ავღანეთისა და პაკისტანისკენ იყო მიმართული. ამერიკა და შესაბამისად საქართველო, ვერ ამჩნევდნენ რუსეთის არმიის კონცენტრაციის ზრდას საქართველოს საზღვართან (მართალია წინა წლებში საქართველომ მკვეთრად გაზარდა თავდაცვის ხარჯები, თუმცა ამავდროულად დაზვერვის ხარჯები შეამცირა, ბრმად ენდო რა ამ საქმეში ამერიკელებს). ასეთმა სიბეცემ საკუთარი წვლილი შეიტანა ცხინვალის დაბომბვის ფაქტობრივად სუიციდურ გადაწყვეტილებაში. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ერაყის კოალიციაში, მან ავღანეთში მონაწილეობის ვალდებულებაც აიღო, ამიტომ არ არის გასაკვირი ის, რომ საქართველოს მიაჩნდა, რომ ის შეცდომაში შეიყვანა მისმა მეგობარმა ზესახელმწიფომ, — მიიჩნევს ჰანს მორიტცენი

ჰანს მორიტცენი მიიჩნევს, რომ ვიკილიქსმა კიდევ ბევრი სხვა მითი დაანგრია. ამ შემთხვევაში რუსულ მითებზეა საუბარი. რუსეთი ამტკიცებს, რომ საქართველოს ომი ამერიკამ დააწყებინა. იმ წელს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. სადაც ობამას კონკურენციას სენატორი მაკკეინი უწევდა. რომელზეც ჩვენი ხელისუფლება ეცემოდა. და როგორც ამბობენ ომი ცხინვალში მაკეინზე დაცემულმა ხელისუფლებამ მისი რეიტინგის ასაწევად დაიწყო. ამ ვერსიას რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინიც იზიარებს. ხმამაღლა ასე ამბობს. თორემ მიდი და გაიგი ეგ კაცი რას იზიარებს და რას არა.

მორიტცენი ვიკილიქსზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ამერიკას საქართველო ომისკენ არასდროს წაუქეზებია.

— ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული წერილები ცხადყოფს, რომ აშშ-ს საელჩო თბილისში და მასთან ერთად სახელმწიფო დეპარტამენტი ისეთივე საინფორმაციო ვაკუუმში იყო, როგორც ყველა სხვა დანარჩენი საომარი მოქმედებების დაწყების წინ და ეს იმის მიუხედავად, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმ დროს 130 ამერიკელი სამხედრო მრჩეველი იმყოფებოდა, — წერს ჰანს მორიტცენი.

### რა სარგებლობა მოაქვს ობამას ინიცირებულ გადატვირთვას

მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ობამას მიერ გამოცხადებული გადატვირთვის პოლიტიკაც. რომელსაც ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს. დანიელი მკვლევარი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსების შეცირებას ამ გადატვირთვას უკავშირებს.

— 2009 წლის მარტში ინიცირებული ამერიკულ-რუსული გადატვირთვა, რომელიც მეორე წელია რაც მუშაობს, ამერიკის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში ახალი სტატუსქვოს აღიარებას ნიშნავდა. გზავნილის ქვეტექსტი ასეთია: „ჩვენ არ მოგვწონს ის რაც მოხდა ომის დროს და ომის შემდეგ, მაგრამ ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, და მსოფლიოში არსებობს საქართველოზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „შენ (რუსეთო) შეგიძლია გქონდეს საკუთარი ინტერესების სფერო, მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენ ამას, როგორც ყოფილი ჰეგემონი, როდესმე ვაღიარებთ“. აი რატომ შემცირდა კიდევ უფრო საქართველოს ნატოში გაწევრიანების ისედაც მცირე შანსი. ამერიკის პერსონალური პრობლემების გარდა, არსებობდა ასევე საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც რუსეთთან ერთად იყო სასურველი: ამერიკული ფინანსური კრიზისის გლობალური ზეგავლენა, ირანთან ურთიერთობა, ავღანეთი, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, შეიარაღებაზე კონტროლი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ა.შ. აშშ-ს და რუსეთის ურთიერთობებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ 2010 წლის ნოემბრის ნატოს ლისაბონის სამიტის შემდეგ ნატო-რუსეთის ერთობლივი ანტისარაკეტო ფარის გეგმების შესახებაც კი გამოცხადდა, — ვკითხულობთ სტატიაში.

ჰანს მორიტცენი საქართველოსა და ამერიკას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასაც ეხმიანება. რომელიც ბუშმა წასვლამდე ცოტა ხნით ადრე გაგვიფორმა.

ჩვენი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ნაციონალები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. და დღემდე უპრეცენდენტოდ მიიჩნევენ. ჰანს მორიტცენი კი ამ შეთანხმებას სულ სხვა თვალით უყურებს. მას ნაციონალების ნაფერებმა შეთანხმებამ ლეღვის ფოთოლი გაახსენა.

— წასვლის წინ, ბუშის ადმინისტრაციამ საქართველოსთან ხელი მოაწერა „სტრატეგიული პრატნიორობის შესახებ ქარტიას“, მაგრამ ეს დოკუმენტი ყველაფერია სტრატეგიულის გარდა. ეს ფაქტობრივად „ლეღვის ფოთოლია“ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-მ მისი ურთიერთობა საქართველოსთან უკანა პლანზე გადაწია, — მიიჩნევს ჰანს მორიტცენი.

მორიტცენი არ გამორიცხავს, რომ სწორედ ამ მიზეზით ჩაეხუტა საქართველო ირანს. ირანთან ჩვენებმა სერიოზული კონტაქტების დამყარება დაიწყეს. რაც როგორც ამბობენ ამერიკას არ მოსწონს. ახლა ასე თუ წავიდა, არც ჩვენებს არ მოსწონთ რუსეთთან მათი ჩახუტება მაგრამ რა ქნან.

# როდის დაიწყო ისრაელმა სოხუმთან კონტაქტების დამყარება

გერა მამულაშვილი

**ბოლო დღეებში აფხაზი სეპარატისტების „საერთაშორისო კავშირებზე“ ბევრი იწერება. მათ შორის მარიონეტების კონტაქტებზე თურქულ და ებრაულ მხარეებთან. ისიც კი ითქვა, რომ „ოფიციალური იერუსალიმი სოხუმის აღიარებას აპირებს“.**



კერძოდ, გამოცემა „იზრუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოსთან ურთიერთობების გამო ისრაელმა აფხაზეთთან კონტაქტების დამყარება გადაწყვიტა და ამ მიზნით შვიდკაციანი დელეგაცია ისრაელში უკვე იმყოფებოდა.

საქართველოს საგარეო უწყებაში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. იქ განაცხადეს, რომ ისრაელის მიერ აფხაზეთთან კონტაქტების დამყარების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. აღნიშნული განცხადება ვაშაძის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, მსგავს ინფორმაციებს, როგორც წესი, ოფიციალური წყაროები არ ადასტურებენ.

— ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას იმის თაობაზე, იმყოფებოდა თუ არა რაიმე სახის დელეგაცია აფხაზეთში. თუ ეს სიმართლეა, ეს არაოფიციალური ვიზიტი იქნებოდა, რომლის შესახებაც ჩვენ ოფიციალურად ვერ შევიტყობთ. მიუხედავად ამისა, ასეთ ფაქტებზე ყოველთვის ვახდენთ რეაგირებას. განურჩევლად იმისა, რა სახით ვრცელდება მსგავსი ინფორმაცია.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას აქვს მცდელობები, ოფიციალური კონტაქტები დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან, რაზეც ამ უკანასკნელთ მკაფიო პოზიცია აქვთ. ჩვენ საქმის კურსში ვაყენებთ ოფიციალურ წარმომადგენლობებს და ყოველთვის ვეხმაურებთ მსგავს ფაქტებს, თუმცა, ემეტესწილად ასეთი ინფორმაციები არ დასტურდება, — განაცხადა კალანდაძემ.

ისრაელის მიერ აფხაზეთთან ოფიციალური კონტაქტების დამყარების და ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობა ექსპერტებმაც გამორიცხეს.

თუმცა, ირკვევა, რომ ებრაული მხარის კავშირები სოხუმთან არახალია და აქამდეც ჰქონდა ამას ადგილი. ამ თემაზე ცოტა ხნის წინ სტატია „ეხო კავკაზამ“ გამოაქვეყნა სათაურით: „აფხაზეთი და ისრაელი — პირველი ბიზნესკონტაქტები“.

წერილის ავტორი ვიტალი შარია წერს, რომ აფხაზეთიდან ემიგრირებულთა უმეტესობა რუსეთის მერე ყველაზე დიდი რაოდენობით ჩასახლდა საბერძნეთსა და ისრაელში. ცხადია, ისრაელი ამ მხრივ ბევრად ჩამორჩება საბერძნეთს. ამ ქვეყნიდან თვითგამოცხადებული აფხაზეთის მიმართულებით ყოველგვარი შეფერხების გარეშე დადიან სამგზავრო ავტობუსები. ავტორი პუბლიკაციაში ხაზს უსვამს უკანასკნელ ხანებში ძალზე აშკარად და თვალშისაცემად გააქტიურებულ ურთიერთობებს ისრაელსა და აფხაზეთს შორის.

აღნიშნავს, რომ 2010 წლის განმავლობაში აფხაზეთის რესპუბლიკას არაერთხელ ეწვია ორი ისრაელელი ბიზნესმენი: ელია იუდა და მარკ ბურლე. ვიზიტის ფარგლებში ისინი შეხვდნენ პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას და მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელ დაურ კოვეს. ისრაელიდან ჩამოსული ბიზნესმენების წინადადება შეეხებოდა ერთობლივი ბიზნესის განვითარებას მედიცინისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

აფხაზეთის ხელისუფლება ცხადია დაინტერესდა შეთავაზებით და შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა შეთავაზებული პროექტების განხილვა. ისრაელელი ბიზნესმენები ეწვივნენ ახალ ათონს, სადაც შეხვდნენ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ფელიქს დაუთიას. აქ დაიგეგმა ისრაელის ქალაქ ტვერიასა და ახალ ათონს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ახალი ათონის ადმინისტრაციამ წერილი გაუგზავნა ტვერიის მერს, რომელმაც თავის მხრივ უპასუხა ოფიციალური წერილით. ქალაქის ადმინისტრაციები ერთმანეთთან საუბრობდნენ ორ ქალაქს შორის მომავალი კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ. საუბარი იყო ქალაქების დაძმობილების შესახებაც.

აფხაზთა ხელისუფლებამ წარმომადგენლობითი ჯგუფი გააგზავნა ისრაელში. ეს მოხდა გასული წლის 18 ივლისს; ჯგუფის წევრები შეხვდნენ ისრაელის დეპუტატებს და ბიზნესმენებს. თავად ისრაელის პრესა წერდა, რომ ისრაელი გეგმავს სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას აფხაზეთში ბიზნესის განვითარებისთვის.

„ეხო კავკაზა“ აღნიშნავს, რომ ელია იუდას და მარკ ბურლეს ბოლო ვიზიტი აფხაზეთში განხორციელდა დეკემბრის მიწურულს და მხარეები ამჯერად კონკრეტული დეტალების დასაზუსტებლად შევხვდნენ ერთმანეთს. ბიზნესმენებს ჩამოყვნენ მედიცინის სფეროს წარმომადგენლები, მათგან უმეტესობას დიდი პრაქტიკა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიაგნოსტიკური ცენტრების შექმნაში.

აი, ასეთი პრეისტორია აქვს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ისრაელი სოხუმთან ოფიციალური კავშირების დამყარებას აპირებს.

## აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის 50 თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის 50 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბაჩუკი ჩხეიძე, თანამდებობიდან განთავისუფლდა. გადაწყვეტილება აჭარის მთავრობამ მიიღო. მიზეზად არაკოორდინირებული მუშაობა სახელდება.

უახლოეს მომავალში ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი გამოცხადდება და ტურიზმის დეპარტამენტი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდება. ტურიზმის დეპარტამენტის უკვე ყოფილი თავმჯდომარის მოვალეობას მისი მოადგილე ვაჟა დიასამიძე ასრულებს.

მედიანიუსი

## სტუდენტებისა და უფროსკლასელებისათვის კონკურსი მოეწყობა

საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით, სტუდენტებისა და უფროსკლასელებისთვის მოეწყობა თემების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ახალციხის, ბათუმის, გორის, ხაშურის, რუსთავის, თელავისა და ზუგდიდის სასწავლებლების მოსწავლეები და სტუდენტები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში

დღეს ღია კარის დღე მოეწყო. ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა საქართველოში ჯარედ ქემბელმა, თბილისის პროკურორის მოადგილემ გირშელ ძებნიაურმა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნინო ბერუაშვილმა ახალგაზრდებს კონკურსის დეტალები გააცნეს.

სტუდენტური და სასკოლო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ საჯარო სკოლების უფროსკლასელებსა და უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის I და II კურსის სტუდენტებს.

თბილისის პროკურორის მოადგილე გირშელ ძებნიაური ახალგაზრდებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელობაზე ესაუბრა. „საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული ეს რევოლუციური ცვლილება საშუალებას გვაძლევს საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად, ნაფიცი მსაჯულების სახით უშუალოდ ჩაერთონ მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მოსამართლეს პროცესის წამყვანის ფუნქცია ეკისრება, გადაწყვეტილებას კი კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ნაფიცი მსაჯულები დამოუკიდებლად იღებენ,“ - განაცხადა ახალგაზრდებთან შეხვედრაზე გირშელ ძებნიაურმა. თემზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ ესაუბრა.

აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა ჯარედ ქემბელმა სტუდენტებსა და მოსწავლეებს განუმარტა, კონკურსის პირობები. ჯარედ ქემბელის თქმით, ფინალურ ეტაპზე გასული კონკურსანტებიდან საუკეთესო ნაშრომის ავტორებს — სამ მოსწავლესა და სამ სტუდენტს საელჩო გამოავლენს და მათ სპეციალურ პრიზები გადაეცემათ.

მედიანიუსი

## დღეს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე აღინიშნება

საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში დღეს ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართება. ყოველი წლის 7 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს. წელს ეს დღე ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პრობლემას ეძღვნება.

2011 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო დღის დევიზია: ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა: არ ვიმოქმედებთ დღეს, ვერ ვუმკურნალებთ ხვალ!

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში განმარტავენ, როგორც ანტიბიოტიკები მედიკამენტებია, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის მკურნალობისა და პრევენციისთვის. მიუხედავად ამისა, ანტიბიოტიკების გამოყენების სიხშირესთან ერთად მატულობს მათ მიმართ ბაქტერიების რეზისტენტობაც.

იმ შემთხვევაში, თუ არ შევაჩერეთ ანტიბიოტიკების გადაჭარბებული და არასწორი მოხმარება, მათ შეიძლება დაკარგონ ეფექტურობა და გამოუსადეგარნი გახდნენ. ამჟამად, ევროკავშირში ყოველწლიურად 25,000 ადამიანი იღუპება ისეთი ბაქტერიული ინფექციებისგან, რომლებიც აღარ ექვემდებარება ანტიბიოტიკებით მკურნალობას. ამან შესაძლებელია დაგვაბრუნოს ანტიბიოტიკების არარსებობის ხანაში და მარტივი ინფექციებით დაავადება სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი გახდეს.

რეზისტენტული ბაქტერიები სწრაფად ჩნდება და ვრცელდება. დღესდღეობით, ზოგიერთი ბაქტერია რეზისტენტულია რამდენიმე პრეპარატის მიმართ, რაც სიცოცხლისთვის საშიშ ინფექციებს ფაქტიურად უკურნებელს ხდის.

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა ყველასთვის აქტუალური საკითხია, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. რეზისტენტობის ზრდის შესაჩერებლად აუცილებელია, რომ ანტიბიოტიკები მივიღოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლაც არსებობს ამის საჭიროება და როდესაც მათ ექიმი ნიშნავს.

პრესკონფერენციას დაესწრებიან ცენტრის გენერალური დირექტორი, მოადგილეები და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.

მედიანიუსი

## ისრაელიდან ბათუმის მიმართულებით ჩარტერული რეისები განხორციელდება

ისრაელიდან ბათუმის მიმართულებით ავიარესიები დაინიშნა. ამის შესახებ „მედიანიუსს“ ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში განუცხადეს. 5 მაისიდან ჩარტერულ რეისებს ისრაელის ტურ ოპერატორი „იშეტ ტური“ შეასრულებს. რეისი კვირაში ერთხელ შესრულდება და ავია-ლაინერი 148 მგზავრის გადმოყვანას შეძლებს. ზაფხულის განმავლობაში დაგეგმილია 3 ათას ტურისტზე მეტის ჩამოყვანა.

„იეშეტ ტურის“ პარტნიორი ადგილობრივ ბაზრაზე „ფრეშ თრეველი“ იქნება. ჩარტერული რესიები 23 ოქტომბრამდე შესრულდება. გასულ წელს საქართველოს ისრაელიდან ათასამდე ტურისტი ეწვია.

მედიანიუსი

## დღის კალენდარი



### 7 აპრილისთვის

**წლის 97-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 268 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**დიდმარხვის V შვიდეული. ხუთშაბათი**
**ხარება. წირვა იოანე ოქროპირისა. ხსნილი თევზით.**

**დაიბადნენ:**

1699 — ბაქარი, ვახტანგ VI-ის ძე, ქართლის ფაქტობრივი მეფე 1716-1719 წლებში, გრუზინსკების გვარის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1750 წელს.

1613 — ჰერარდ დოუ, ჰოლანდიელი ფერმწერი.

1727 — მიშელ ადანსონი, ფრანგი ბოტანიკოსი, ტროპიკული აფრიკის ცნობილი მკვლევარი.

1770 — უილიამ ვორდსვორტი, ინგლისელი პოეტი, ინგლისურ პოეზიაში რომანტიკული მიმართულების ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1850 წელს.

1772 — შარლ ფურიე, სოციალისტ-უტოპისტი, გარდაიცვალა 1837 წელს.

1847 — იენს პეტერ იაკობსენი, დანიელი მწერალი, გარდაიცვალა 1885 წელს.

1867 — ალექსანდრ სამოილოვი, რუსი ფიზიოლოგი, თანამედროვე ელექტროფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლენინის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1930 წელს.

1885 — ილიკო ქურხული, მოხეტიალე მუსიკოსი. გარდაიცვალა 1954 წელს.

1889 — გაბრიელა მასტრალი, ჩილელი პოეტი ქალი და დიპლომატი. გარდაიცვალა 1957 წელს.

1893 — ალენ დალესი, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პირველი დირექტორი.

1908 — მარიკა ბარათაშვილი, პოეტი.

1915 — ბილ ჰოლიდეი, ამერიკელი ჯაზის მომღერალი.

1954 — ჯეკი ჩანი, ამერიკელი კინომსახიობი.

1964 — რასელ ქროუ, ამერიკელი კინომსახიობი.

**გარდაიცვალნენ:**

1614 — ელ გრეკო, საბერძნეთში დაბადებული ესპანელი მხატვარი, დაიბადა 1514 წელს.

1783 — იგნაც ჰოლცბაუერი, ავსტრიელი კომპოზიტორი, დაიბადა 1711 წელს.

1850 — უილიამ ბაულსი, ინგლისელი პოეტი, დაიბადა 1762 წელს.

1875 — გეორგ ჰერვეგი, გერმანელი პოეტი, დაიბადა 1817 წელს.

1947 — ჰენრი ფორდი, მრეწველი, საავტომობილო წარმოების დამაარსებელი, დაიბადა 1863 წელს.

1968 — ჯიმ კლარკი, ავტორბოლაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, დაიბადა 1936 წელს.

**მოვლენები:**

1348 — პრალაში დაარსდა კარლოვის უნივერსიტეტი, ევროპაში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი.

1827 — ინგლისში პირველი ასანთი გაყიდა მისმა გამომგონებელმა ჯონ უოლქერმა.

1906 — იტალიური ვულკან ვეზუვის დიდი ამოფრქვევა.

1943 — ხმელთაშუა ზღვაში ჩავარდა ინგლისიდან მომავალი თვითმფრინავი, ცამეტივე მგზავრი დაიღუპა, მათ შორის პოლონეთის დევნილი პრემიერ-მინისტრი სიკორსკი.

1953 — გაეროს გენერალურ მდივნად აირჩიეს დაგ ჰამარშელდი.

1963 — იუგოსლავიის ახალმა კონსტიტუციამ იოსიფ ტიტოს სამუდამო პრეზიდენტობა მიანიჭა.

1989 — ნორვეგიის ნაპირებთან საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი კომსომოლეცი„ დაიღუპა.

**ღირსახსოვარი დღეები:**

ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.
ებრაელთა ხსოვნის საერთაშორისო დღე
მოზამბიკი — ქალთა დღე
სომხეთი — დედისა და სილამაზის დღე
რუანდა — ეროვნული გლოვის დღე

მედიანიუსი

## პოლონეთში „ტუ-154“-ის ნარჩენებისგან ლეხ კაჩინსკის მემორიალს აღმართავენ



პოლონური თვითმფრინავის „ტუ-154“-ის ნარჩენებისგან ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს ლეხ კაჩინსკის და სმოლენსკის ტრაგედიის სხვა მსხვერპლებს მონუმენტს დაუდგამენ. განცხადება ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, დონალდ ტუსკმა გააკეთა და განმარტა, რომ ეს მოქმედი პრეზიდენტის ბრონისლავ კომოროოსვკის სურვილია.

— პრეზიდენტი ფიქრობს, რომ სმოლენსკში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ნარჩენები პოლონეთში ჩამოტანის შემდეგ ერთი წლის წინ მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ძეგლის ძირითადი ელემენტი უნდა გახდეს, — განაცხადა ტუსკმა.

ამ დროისთვის თვითმფრინავის კორპუსის ფრაგმენტები ჯერ კიდევ რუსეთშია. რუსული მხარე აცხადებს, რომ პოლონეთს ნარჩენებს მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გადასცემს. დონალდ ტუსკმა კი დღევანდელი გამოსვლისას გაუსვა ხაზი, რომ პოლონეთს სურს, რაც შეიძლება სწრაფად დაიბრუნოს ნარჩენები.

პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი სმოლენსკში 2010 წლის 10 აპრილს ჩამოვარდა. მასთან ერთად თვითმფრინავში იმყოფებოდა მეუღლე მარია კაჩინსკაც. სულ კი ავიაკატასტროფას 96 ადამიანი ემსხვერპლა. საერთაშიროსი საავიაციო კომიტეტმა 2011 წლის იანვარში გამოაქვეყნა კატასტროფის ტექნიკური გამოძიების შედეგები. მომხდარის მიზეზად ეკიპაჟის გადაწყვეტილება დასახელდა, თვითმფრინავი სათადარიგო აეროპორტში არ დაეშვათ. მომხდარის გამოძიებას რუსეთის ფედერაციაც აწარმოებს. ოფიციალური ვარშავა კი მომხდარს დამოუკიდებლად იძიებს.

ინტერპრესნიუსი

# საქართველოს მოდის კვირეული დაიხურა

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში საქართველოს მოდის კვირეული დასრულდა, რომელშიც 15-მა ქართველმა და 3-მა უცხოელმა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა. ქართველ დიზაინერთა შორის ბევრი იყო ისეთიც, ვინც საქართველოს მოდის კვირეულში საკუთარი კოლექცია პირველად გამოიტანა. კვირეულის ორგანიზატორებმა კოლექციების ჩვენებებში მონაწილეობისთვის ხუთი სამოდელო სააგენტოს მოდელებიდან საუკეთესოები შეარჩიეს და მოწვეულ სტუმრებსა და მოდის მოყვარულებს „შემოდგომა-ზამთარი 2011-2012“ უახლესი კოლექციები წარუდგინეს. მოდის დღესასწაული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით მოეწყო.

საქართველოს მოდის კვირეული უკვე მესამედ ჩატარდა. მისი გახსნის პატივი კი ფრანგ კოლექციონერს ბასტიან დე ალმეიდას ერგო, რომელმაც საკუთარი კოსტიუმები რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა. ფრანგი კოლექციონერი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აგროვებს კოსტუმებს. მის კოლექციაშია მერლინ მონროს, მარლენ დიტრიხის, გრეტა გარბოს და სხვა ცნობილი მსახიობი ქალების სამოსი. ბასტიენ დე ალმეიდა მოდის სამყაროში თავისი ვინტაჟ კოლექციით არის გამორჩეული. მას საკუთარი მაღაზია აქვს. ბასტიან ალმეიდამ საქართველოს მოდის კვირეულზე 40-50-იანი წლების ვინტაჟის კოლექცია წარმოადგინა, მათ შორის იყო ლედი გაგას კოსტიუმი და დაიანა როსის საღამოს კაბა, რომელიც რამდენიმე ათას დოლარადაა შეფასებული. ცნობილი ადამიანების საღამოს კაბები ქართველმა მოდელებმა მოირგეს.

ფრანგი კოლექციონერის გარდა, საქართველოს მოდის კვირეულში მონაწილეობდნენ იტალიელი, სომეხი და აზერბაიჯანელი დიზაინერები. მარკო კორსო ახალგაზრდა იტალიელი მემოდელეა. ის პირველად მონაწილეობს საქართველოს მოდის კვირეულში. მან გაიარა მოდის დიზაინის კურსი მილანის დომუს აკადემიაში. შექმნა აქსესუარების საკუთარი ხაზი და გაიმარჯვა კონკურსში „შემდეგი თაობა“. მარკო კორსომ მონაწილეობა მიიღო მილანის მოდის კვირეულში „შემოდგომა-ზამთარი 2010“. საქართველოს მოდის კვირეულზე მისულმა საზოგადოებამ პირველად შეაფასა მარკო კორსოს სამოსი.

ცნობილმა სომეხმა დიზაინერმა ნური საქართველოს მოდის კვირეულზე აქსესუარების კოლექცია წარმოადგინა. აზერბაიჯანელმა ფახრია კალაფოვამ კი თბილისში შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის საკუთარი გემოვნებით შექმნილი კოლექცია ჩამოიტანა. ბაქოში ის ერთ-ერთი ცნობილი დიზაინერია და უკვე წლებია, რაც ამ სფეროში მოღვაწეობს.

სამდღიანმა ჩვენებებმა მთლიანობაში 19 დიზაინერი გააერთიანა. საქართველო მოდის კვირეულს ესტუმრნენ მოდის კრიტიკოსები, პიარ მენეჯერები, ბლოგერები, მსოფლიოში ცნობილი გამოცემების ჟურნალისტები და დიზაინერები. საპატიო სტუმრის სტატუსით კი მოწვეული იყო ჟურნალისტი და მწერალი ჟან პოლ კაუვინი. იგი ერთ-ერთი ფრანგული მოდის ჟურნალის რედაქტორია. საქართველოს მოდის კვირეულს ასევე დაესწრო ორი ფრანგული მაღალი მოდის და დიზაინერების მიმომხილველი, თავისუფალი ჟურნალისტები.

ახალი კოლექციების ჩვენების პარალელურად, საქართველოს მოდის კვირეულის ფარგლებში მოეწყო მოდის შესახებ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ერთდღიანი ფესტივალი, რომელიც ჟურნალისტმა დაინ პერნიმ წარმოადგინა. ის „ზოო მაგაზინის“ რედაქტორის მოადგილეა და მეტროპოლიტენ მუზეუმის მიერ დასახელებულ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ბლოგერად არის მიჩნეული მოდის სფეროში. ფილმის ერთდღიანი ფესტივალი სასტუმრო „საქართველოში“ შედგა. ცნობილმა ფრანგმა მოდის კრიტიკოსმა დაიან პერნიმ ქართულ საზოგადოებას უჩვენა ფილმი, რომელიც მოდის სფეროში მიმდინარე პროცესებს ასახავს. უცხოელი ჟურნალისტი საქართველოში სპეციალურად მოდის კვირეულზე დასასწრებად ჩამოვიდა. იგი თანამედროვე მოდის წამყვან კრიტიკოსად ითვლება. ცნობილი დიზაინერების გარდა მის შეფასებებს დამწყები და ნაკლებად ცნობილი დიზაინერების კოლექციებიც იმსახურებენ.

საქართველოს მოდის კვირეულის ფარგლებში საკუთარი კოლექციები წარმოადგინეს დიზაინერებმა გოგა ნიქაბაძემ, ლელა კულიანმა, ზალიკო ბერგერმა, ანუკა ქებურიამ, მარკო კორსომ, გიორგი ფანცულაიამ, ნურმა, ზენკა და მარიმ, აკა ნანიტაშვილმა, თათა ნიკოლაიშვილმა, დათუნა სულიკაშვილმა, გოლამ, მატერიამ, ქეთი ჩხიკვაძემ, „ატელიე ინფორმაიმ“. საქართველოს მოდის კვირეული გიორგი ამირეჯიბის კოლექციის ჩვენებით დაიხურა. სასტუმრო „ჰოლიდეინ ინში“ კი თამარა კოპალიანის პერფორმანსი მოეწყო. კოპალიანის, იგივე „პეპელას“ ჩვენების მოტივი „მიზიდულობის ძალა“ იყო. სასტუმროში საქართველოს მოდის კვირეულის ყველა სტუმარი იყო მიწვეული.

მთლიანობაში საქართველოს მოდის კვირეულს ქართველი მოდის მოყვარულების გარდა, საფრანგეთიდან ჩამოსული 35 დიზაინერი და მოდის კრიტიკოსი აკვირდებოდა. ისინი კვირეულში მონაწილე 15 დამწყები და პროფესიონალი მოდელიორების ნამუშევრებს აფასებდნენ და ქართველ დიზაინერებთან ერთად მომავალ სამუშაო გეგმებსაც ადგენდნენ. მოდის კვირეულის ფარგლებში გამოფენები, მასტერკლასები და მოწვეულ სტუმრებთან სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

„თბილისი მერიოტში“ შედგა შეხვედრა ფრანგ დიზაინერებთან. ამ შეხვედრის მიზანი მათგან პროფესიონალური აზრისა და კრიტიკის მოსმენა იყო. საქართველომ მოდის კვირეულს კომპანია „ფეშენ გრუპი“ ატარებს. მისი პარტნიორი კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველია. მართალია მოდის კვირეულის გახსნას დავით ბაქრაძე არ ესწრებოდა, მაგრამ სტუმრებს შორის რამდენიმე პოლიტიკოსი მაინც იმყოფებოდა, მათ შორის გიგი წერეთელი, ვატო ნაცვლიშვილი და პეტრე ცისკარიშვილი.

კომპანიამ „ფეშენ გრუპი“ საქართველოს მოდის პირველი კვირეული 2010 წელს მოაწყო. როგორც კომპანიის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი იუწყება, საქართველოს მოდის კვირეულმა თავისი არსებობის მანძილზე ფართო საზოგადოებას და მოდის მოყვარულებს 35 დიზაინერის კოლექცია წარუდგინა.

# ქართული მხატვრობა როტერდამში გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

15-დან 22 აპრილის ჩათვლით თანამედროვე ქართველი და ჰოლანდიელი მხატვრების მონაწილეობით ქალაქ როტერდამში წარმოდგენილი იქნება ექსპოზიცია სახელწოდებით „თბილისიდან როტერდამამდე“. გამოფენა ორგანიზებულია როტერდამის მუნიციპალიტეტისა და ერთ-ერთი ჰოლანდიური ფონდის „ს.ო.ს“-ის მიერ. ამ ფონდის მიზანია, დაეხმაროს ჰოლანდიაში მყოფ მიგრანტებს, მათ შორის ქართველებსაც. ახლო წარსულში ფონდი „ს.ო.ს.“ და მისი ხელმძღვანელი, ჰოლანდიაში ცნობილი პირი ჰანს ვისერი, აქტიურად იყვნენ ჩართულნი არაერთ კულტურულ ღონისძიებაში, რომელიც საქართველოს უკავშირდებოდა.

15 აპრილს გამოფენის გახსნას დაესწრებიან ქართველი და უცხოელი სტუმრები, მხატვრები, კოლექციონერები. სიტყვით გამოვა ნიდერლანდებში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი.

როგორც „ახალ თაობას“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განუცხადეს, გამოფენა ერთგვარი გაგრძელებაა შარშანდელი ექსპოზიციისა, რომელიც ჰოლანდიელი მხატვრების მონაწილეობით თბილისის ისტორიის მუზეუმში შედგა და უკავშირდებოდა ჰოლანდიის დამოუკიდებლობის დღესასწაულს. სწორედ ამ გამოფენის შემდეგ გადაწყდა, რომ ყოველწლიურად ჩატარდეს ერთობლივი გამოფენები, რათა ამ გზით კიდევ უფრო გაღმავდეს ნიდერლანდებსა და საქართველოს შორის კულტურული კავშირები.

# თბილისში ტოლსტოის დღეები ჩატარდება



გერა მამულაშვილი

**ქართულ-რუსული საზოგადოებრივი წრეები ორი ქვეყანას შორის კონტაქტების აღდგენაზე ხშირად საუბრობენ. ისინი ისტორიასა და ტრადიციებზე ამახვილებენ ყურადღებას. ხშირ შემთხვევაში კი ხმას არ იღებენ არსებულ რეალობაზე, როდესაც ჯერმი საქართველოს ტერიტორიების ღია ოკუპაციას აგრძელებს.**

მორიგი ვიდეოხიდი რია ნოვოსტის პრესცენტრში გაიმართა. იგი თბილისში ტოლსტოის დღეებს მიეძღვნა, რომელიც 15-დან 20 აპრილამდე გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორები ქალაქ ტულას მუზეუმი „იასნაია პოლიანა“ და თბილისში მოქმედი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ არიან.

ამ თემას რუსულენოვანი „კავკაზსკი უზელი“ გამოეხმაურა.

— შეგახსენებთ, რომ ლევ ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლის 160 წლისთავთან დაკავშირებით ქვეყანაში დიდი რუსი მწერლის დღეები ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ სწავლულების და ლიტერატორების დელეგაციები რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდან, — წერს გამოცემა.

ფესტივალის პროგრამის შესახებ „რუსული კლუბის“ პრეზიდენტი ნიკოლაი სვეტნიცკი მოგვითხრობს. მისი თქმით, ღონისძიებებს შორის დუხობორებით დასახლებული სოფელ გორელოვკას მონახულებაა, სადაც დღემდე დგას სკოლა, რომელიც ტოლსტოის სახსრებით აშენდა; შეხვედრები გაიმართება კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან, ტოლსტოის ადგილების მონახულება; ჩატარდება საქართველოს ახალგაზრდა მხატვრების კონკურსი თემაზე „ტოლსტოის სამყარო“ და გალინა ევტუშენკოს დოკუმენტური ფილმის ჩვენება, ტოლსტოის ბოლო დღეებზე.

მუზეუმ „იასნაია პოლიანას“ სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების გამგემ გალინა ალექსეევამ ისაუბრა ლევ ტოლსტოის კავშირებზე საქართველოსთან — მის ცხოვრებაზე თბილისში, სადაც მან 1851-1852 წლებში ორ თვეზე მეტი გაატარა და სადაც მან პირველად გაიგო იმამ შამილის უახლოესი თანაშემწის, ჰაჯი-მურატის ღალატზე, რომელიც რუსეთის მხარეს გადავიდა; ქართულ ინტელიგენციასთან კონტაქტებზე, რომლებიც განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც 1887 წელს ტოლსტოის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა დაიწყო, — წერს კავკაზსკი უზელი.

ძირითადი თემა, რაზეც შეხვედრის პრაქტიკულად ყველა მონაწილე საუბრობდა, გახდა ლევ ტოლსტოის როლი რუსეთს და საქართველოს შორის კონტაქტების დალაგებაში.

ნიკოლაი სვეტნიცკიმ აღნიშნა, რომ ფესტივალი ერთ-ერთი დადებული აგურია, რომელიც ორ ქვეყანას შორის სიკეთის და მშვიდობის პირამიდასააშენებს.

— ტოლსტოი თავად წერდა, რომ ჭეშმარიტი სიყვარული არ არის გრძნობა ერთი პირისადმი, არამედ სულიერი მდგომარეობა მზაობისა, რომ გიყვარდეს ყველა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც. სამწუხაროდ, ჩვენი ლიდერები ჯერჯერობით საერთო ენას ვერ ნახულობენ. ვფიქრობ, რომ რუსეთის და საქართველოს ინტელიგენციის ამოცანა მათთვის ამაში დახმარების გაწევაა. ტოლსტოის დღეების ტრიბუნის გამოყენებით, ჩვენ ტოლსტოის საშუალებით შევეცდებით მოვნახოთ გზა მშვიდობისკენ და შევეცდებით ყველასთან მივიტანოთ უდიდესი გენიოსის დანაბარები, კავკასიაში ომის დაუშვებლობაზე, — ამბობს სვეტნიცკი.

„რუსული კლუბის“ პრეზიდენტმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში ტოლსტოის დღეებს რუსული მასმედიის საშუალებებიც ყურადღებას დაუთმობენ. მისივე თქმით, ისინი საქართველოში რუსული დიასპორის ინიციატივებს განსაკუთრებით არ ანებივრებენ ყურადღებით.

მუზეუმ-ნაკრძალის „იასნაია პოლიანას“ დირექტორმა ვლადიმირ ტოლსტოიმ შენიშნა, რომ „რუსი ადამიანებისთვის ძალიან ძნელია ქართულ კულტურაზე უფრო ახლობელი კულტურის მოძებნა“.

— მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენ დროს ვკარგავთ, როდესაც არ გვაქვს შესაძლებლობა, მუდმივად გავცვალოთ ჩვენი კულტურული მიღწევები. ლევ ტოლსტოი ფიგურაა, რომელიც ჩვენი ხალხების შეერთებას ყველაზე უკეთესად შეესაბამება, ის ყოველთვის ამბობდა, რომ ყველაზე მთავარი ბარიერების გადალახვაა ადამიანებს შორის; ბარიერების, რომლებიც რეალურად გამოგონილნი არიან, — ხაზს უსვამს ვლადიმირ ტოლსტოი.

ცნობილმა კინორეჟისორმა სერგეი სოლოვიოვმა, რომელმაც ამას წინათ ტოლსტოის „ანა კარენინას“ ეკრანიზაცია განახორციელა, შენიშნა, რომ რუსი და ქართველი ხალხები ერთმანეთის მიმართ ყოველთვის ჭეშმარიტ, ცოცხალ ინტერესს განიცდიდნენ.

— ჩვენი ცხოვრება ხელოვნურ დაბრკოლებებს სცდება, ჩვენს ძმობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამიტომ ძალიან მძიმეა, ძალიან ტრაგიკულია და ძალიან ძნელად აღიქმება ის, რაც ჩვენ შორის მოხდა, — ამბობს ის.

სოლოვიოვი აქვე შენიშნავს:

— საქმე ისაა, როგორები გამოვალთ ამ კოლოსალური ისტორიული გამოცდიდან. მან გაიხსენა, როდესაც რამდენიმე წლის წინ საქართველოში „ანა კარენინა“ ჩამოიტანა, ჩვენებებზე დარბაზები სავსე იყო.

— რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ტოლსტოი რუსული და ქართული კულტურისთვის ფუნდამენტი გახდა, თუმცა, ორივე მხრიდან პოლიტიკოსებმა მისი ნაწარმოებები მაინც არ წაიკითხეს. მან ასევე გააკრიტიკა ხელისუფლების მცდელობა, უარი თქვას რუსულ ენასა და კულტურაზე, — წერს კავკაზსკი უზელი.

ვიდეოხიდისას სვეტნიცკიმ სთხოვა რუს კოლეგებს, ხელი შეუწყონ იმას, რომ კონკურს „ტოლსტოის სამყაროს“ გამარჯვებულმა შეძლოს მოსკოვში ჩასვლა და მუზეუმ „იასნაია პოლიანას“ მონახულება. სერგეი სოლოვიოვი დაჰპირდა, რომ ამ თემაზე ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტ ზურაბ წერეთელთან ისაუბრებს, ხოლო ვლადიმირ ტოლსტოიმ აღნიშნა, რომ მისი მუზეუმი მოხარული იქნება თავისთან კონკურსის გამარჯვებული მიიღოს.

ვიდეოხიდის კიდევ ერთი თემა, ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში მცხოვრები დუხობორების ბედი გახდა, რომლებსაც ოდესღაც ლევ ტოლსტოი იცავდა.

„რუსული კლუბის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ალა ბეჟენცევამ თქვა, რომ როდესაც 10 წლის წინ პირველად მოხვდა გორელოვკაში და ყველა სახლში ტოლსტოის პორტრეტები ნახა, გადაწყვიტა, რომ მსოფლიომ ტოლსტოის დუხობორებთან კავშირების შესახებ უნდა იცოდეს; იმაზე, რომ ტოლსტოიმ მათ სკოლა აუშენა და თემის ნაწილს დაეხმარა, რომ კანადაში გადასულიყვნენ.

რაც შეეხება თანამედროვე გორელოვკას, ბეჟენცევას თქმით, „რუსული კლუბის“ ძალისხმევებით მოხერხდა ბრძანებულების მიღება, დუხობორიის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. (სვეტნიცკიმ განმარტა, რომ დუხობორებისთვის გორელოვკა იგივეა, რაც მექა მუსულმანებისთვის).

— თუმცა, დუხობორების ამჟამინდელი მდგომარეობა, ბეჟენცევას თქმით, მეტად სამწუხაროა. გორელოვკაში სულ 200-250 ადამიანი დარჩა, ძირითადად ხანშიშესული ადამიანები. ახალგაზრდობა რუსეთში მიემგზავრება და იქ ასიმილირდება, კარგავს კულტურას და დუხობორების წეს-ჩვეულებებს.

— ეს ჩვენი დიასპორის ტკივილია, — ხაზს უსვამს ბეჟენცევა.

თუმცა, ვლადიმირ ტოლსტოი შენიშნავს, რომ მსგავსი პრობლემა არა მარტო რუსეთის დუხობორებისთვის არის დამახასიათებელი. მისი თქმით, დუხობორების მსოფლიოში უმსხვილეს, კანადურ თემში ახალგაზრდა თაობა ასევე ასიმილირდება.

# ნიკოლაიშვილი ფოთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო



ფოთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ ფოთის მოსახლეობა წყალს ყოველდღიურად 8- საათიანი გრაფიკით მიიღებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები დღეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, რამაზ ნიკოლაიშვილმა პირადად მოინახულა.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, ფოთში წყალმომარაგების მხრივ რთული ვითარება იყო. მოსახლეობა სასმელ წყალს ყოველ მეორე, ან მესამე დღეს 5 საათიანი გრაფიკით და დაბალი წნევით იღებდა. დაგეგმილია ფოთის წყალსადენი ქსელის სრული რეაბილიტაცია. შეიცვლება წყალმომარაგების მილები, რომელთა საერთო სიგრძე 103 კმ-ია.

ფოთის წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 50-მდე ადამიანია დასაქმებული და მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა.

მედიანიუსი

# სალომე ფაღავა სერიალ „დეტექტივებიდან“ მოხსნეს

ეკა ირემაშვილი

მსახიობი სალომე ფაღავა გახმაურებული სერიალიდან მოხსნეს. „დეტექტივების“ მორიგ სეზონზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს, რომელსაც მაყურებელი მაისის თვეში იხილავს.

სალომესთვის ოფიციალურად არავის განუცხადებია, რომ იგი სერიალიდან მოხსნილია. მან ეს ყველაფერი სოციალური ქსელიდან „ფეისბუქი“ შეიტყო. ახალგაზრდა მსახიობი ფართო საზოგადოების წინაშე სერიალით „ჩიფსების თაობა“ გამოჩნდა. ქართველი მსახიობის სილამაზე და მომხიბვლელობა ყურადღების მიღმა არც აზერბაიჯანელებს დარჩენიათ და სალომე ერთ-ერთი აზერბაიჯანული ბრენდის სახედ მიიწვიეს. ბაქოში ჩასული სალომე ცნობილმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა მომღერალმა აზად შაბანოვმა საკუთარ კლიპშიც გადაიღო. რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ კი ქართველი მსახიობი 105 წუთიან უწყვეტი კადრით გადაღებულ ფილმში „დავიწყებული მეფე“ მიიწვია. ამ ფილმით შემოქმედებითმა ჯგუფმა მსოფლიო რეკორდი მოხსნა და გინესის რეკორდების პრეტენდენტი გახდა. ფილმის პრემიერა კანის კინოფესტივალზეა დაგეგმილი, კანში გამგზავრებას მთელი შემოქმედებითი ჯგუფი 10 მაისს აპირებს.

სალომე ფაღავა სერიალ „დეტექტივებში“ კრიმინალისტის როლს ასრულებდა. იგი ხუთი თვის განმავლობაში იყო კრიმინალისტი. სალომეს გმირმა კესომ 15 საქმის გახსნა მოახერხა. მეორე სეზონი კი მსახიობის პერსონაჟის გარეშე ჩაივლის. სერიალი „დეტექტივები“ რეალურ ამბებზეა აგებული, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული.

სერიალს რეჟისორი ლაშა ცერიაშვილი იღებს. სწორედ მან მისწერა სალომეს იმის შესახებ, რომ იგი სერიალიდან მოხსნეს და მისი პერსონაჟი სასწავლებლად ამერიკაში გაგზავნეს. სერიალში სალომე ფაღავას ეთუნა ვაშაკიძე შეცვლის.

მსახიობი არ მალავს, რომ ასეთ წინადადებას შემოქმედებითი ჯგუფისგან არ ელოდა და გულდაწყვეტილია. სალომე ამბობს, რომ მას კონფლიქტი არავისთან მოსვლია, ამიტომ ცოტა გაუგებარია, რა მიზეზით მოხსნეს იგი სერიალიდან და რატომ გაგზავნეს მისი პერსონაჟი ამერიკაში სასწავლებლად.

— ვიცი, რომ ყველაფერი მუდმივი არაა, მით უმეტეს, მსახიობის კარიერაში, მაგრამ ასეთ დასასრულს არ ველოდი, — განაცხადა მსახიობმა.

სერიალის პირველმა სეზონმა მაყურებელში დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია. „დეტექტივები“ შს სამინისტროს დაკვეთით იქნა გადაღებული. პირველ სეზონში მაყურებელმა 14 სერია ნახა. მასში მთავარ როლებს მსახიობები დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, ლელა მებურიშვილი, სალომე ფაღავა, გიორგი ჭუმბურიძე და ლევან ჯიბლაშვილი ასრულებდნენ. ფილმის შექმნაზე ისევ ის შემოქმედებითი გუნდი მუშაობს, რომლებმაც სერიალი „ჟამი ყვავილობისა“ შექმნეს.



თუ რა გახდა სალომე ფაღავას სერიალიდან გაშვების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ოფიციალური განცხადებები ამ საკითხთან დაკავშირებით არც რეჟისორს და არც შემოქმედებითი ჯგუფის სხვა წევრებს არ გაუკეთებიათ.

# ხელნაწერთა ცენტრმა გამოცემების წარდგინება მოაწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემისა და კრებულის პრეზენტაცია გამართა. კორნელი კეკელიძის დარბაზში ენრიკო გაბიძაშვილის ნაშრომების „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების“ ბიბლიოგრაფიების ხუთტომეულისა და შრომების სამტომეულის წარდგინება შედგა.

ბიბლიოგრაფიის ხუთტომეულში სახელწოდებით „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“ შეტანილია ჰაგიოგრაფიის, ასკეტიკის და მისტიკის, ჰომილეტიკის, ბიბლიოლოგიის, ეგზეგეტიკის, აპოკრიფების, ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები.

შრომების სამტომეულში კი გაერთიანებულია ენრიკო გაბიძაშვილის მონოგრაფიული ნარკვევები, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, სამეცნიერო წერილები და საენციკლოპედიო სტატიები.

ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა ბიბლიოგრაფიის პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ნაშრომების უდიდესი ნაწილი არის სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი სასულიერო ხასიათის თხზულებები. ნათარგმნი ლიტერატურა აერთიანებს ძველი ქართული მწერლობის თერთმეტამდე დარგს: ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა, ჰომილეტიკა, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, დოგმატიკა, პოლემიკა და კანონიკა. ყველა ამ დარგის თხზულებათა ბიბლიოგრაფიების შემცველი წიგნები გამოიცა. თითოეულს ახლავს შესაბამისი დარგის მიმოხილვა, თხზულებათა ბიბლიოგრაფია ხელნაწერთა ჩვენებითა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურით. ახალი გამოცემები სასულიერო მწერლობით დაინტერესებულ პირთათვის არის განკუთვნილი.

„მაგთი კლუბში“ კი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია შედგა. მუზეუმის მიერ საპრეზენტაციო პუბლიკაციების გამოცემა კომპანია „მაგთიკომის“ ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ექვსივე გამოცემა გამორჩეულია იმით, რომ მკითხველამდე გასული საუკუნის სახელოვანი მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების დღემდე უცნობი ლექსები, წერილები და სხვა პუბლიკაციები მიაქვს. ყველა ხელნაწერი, წერილი თუ პუბლიკაცია დაცულია ინსტიტუტის ხელნაწერთა მუზეუმში.

მთლიანობაში გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა გამოსცა შემდეგი წიგნები: გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული, ილია ჭავჭავაძის საარქივო გამოცემა, აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემა ორ წიგნად, ფუნაგორიების კრებული, 1924 წელს გამოცემული ჟურნალის რეპრინტი, 1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების პირველი წიგნი.

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი ამზადებს პირველ ვებ-გვერდსაც, რომელიც მუზეუმის საარქივო მასალებისა და კოლექციების მოძიებას გაამარტივებს. ეს კი ხელს შეუწყობს ეროვნული ფასეულობების რეკლამირებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოებამ მორიგი შეხვედრა „თბილისი მერიოტში“ გამართა, რომელსაც საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტები, დამტკიცდა მეგობართა საზოგადოების გამგეობა. მეგობართა საზოგადოების მიზანია ცენტრის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დაწესებულების მხარდაჭერა და მისი უნიკალური, ეროვნული მნიშვნელობის კოლექციის დაცვისა და კვლევის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მეგობართა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს□პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II, გამგეობის თავმჯდომარე კი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი.

# დავით გარეჯში სეისმური დაკვირვებები მიმდინარეობს

ეკა ირემაშვილი

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში სეისმური დაკვირვებები და გარეჯას მარავალპროფილური კვლევები რამდენიმე წელია უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოლოზ ვაჩეიშვილმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მდებარე გეოფიზიკური ობსერვატორიის უახლესი მონაცემები მედიის წარმომადგენლებს გააცნეს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომლები სხვადასხვა კვლევების პარალელურად, ონლაინ რეჟიმში ახორციელებენ სეისმურ მონიტორინგს, მონაცემები მიეწოდება თბილისში არსებულ სეისმურ მონაცემთა ცენტრს. მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ დავით გარეჯის მონასტერთან აფეთქებებით გამოწვეული არანაირი სახიფათო ბიძგები არ დაფიქსირებულა, რომელიც შესაძლოა დამაზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს დავით გარეჯის სავანეებში განლაგებული ისტორიული ძეგლებისათვის.

გარდა სეისმური დაკვირვებებისა, გარეჯას გეოფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე ხორციელდება გარეჯას უდაბნოს მრავალპროფილური კვლევები, რომლებიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა არქეოლოგიური კვლევები გეოფიზიკური მეთოდებისა და თანამედროვე სატელიტური ტექნოლოგიების გამოყენებით, კვლევები გარეჯას გაუდაბნოების საკითხზე და პალეოლანდშაფტის აღდგენაზე ხეების ენდემური ჯიშების გაშენება, გარეჯას ბიომრავალფეროვნების კვლევა და გეოლოგიური და გეომორფოლოგიური კვლევები.

უკანასკნელ წლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ისტორიულ დაცვისა და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით, პირვანდელი სახე დაუბრუნდა უდაბნოს ლავრის მონასტერში ილარიონ ქართველის მიერ განახლებულ ფერისცვალების ეკლესიას, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასა და ალექსანდრეს კოშკებს. როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განმარტავს, 2011 წელს დავით გარეჯის სავანეებში ცალკეული ძეგლების რეაბილიტაცია კვლავაც გაგრძელდება.


## განცხადება

მიმდინარე წლის 12 მაისს სამების საკათედრო ტა არში შედგება ცერცვა ეების გვარის შეკრება. გელოდებით!

გურამ ცერცვა ე



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

**ნათელმხილველი მანანა**

**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

**მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# ჩემპიონთა ლიგა იტალიის გარეშე რჩება

**ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩების პირველმა დღემ, ფაქტობრივად, ყველაფერი გაარკვია. ნათელი ხდება ისიც, რომ ლიგის მიმდინარე გათამაშებას ახალი ჩემპიონი ეყოლება. უკვე ძნელი წარმოსადგენია, რომ მილანის „ინტერი" საშინაო განადგურებას გელზენკირხენში გააბათილებს.**



### ინტერი-შალკე 2:5 (2:2)

*1:0 სტანკოვიჩი (1), 1:1 მატიპი (17), 2:1 მილიტო (34), 2:2 ედუ (40), 2:3 რაული (53), 2:4 რანოკია (57, ს.კ.), 2:5 ედუ (75)*

**ინტერი:** სეზარი, მაიკონი, რანოკია, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი (ხარჯა 24,კორდობა 62), მოტა (ნაგატომო 76), კამბიასო, სნეიდერი, ეტოო, მილიტო

**შალკე:** ნოიერი, უჩიდა, მატიპი, ჰიოვედესი, სარპეი, ფარფანი, პაპადოპულოსი, ხურადო (დრაქსლერი 83), ბაუმიოჰანი (შმიტცი 76), ედუ, რაული (კარიმი 87)

**გაძევება:** კივუ (62)

ალბათ დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ მილანის □„ინტერი"□ ტურნირს მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშება. იმის გახსენებაც ძალიან ძნელია, თუ როდის წააგო წინა წლის გამარჯვებულმა გუნდმა ასე სამარცხვინოდ.

ლეონარდოს გუნდს რომ დაცვის ხაზში პრობლემები ჰქონდა, ეს თამაშის დაწყებამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ბუნდესლიგის საშუალო გუნდი, ლიგისა და სერია ა-ს ჩემპიონს ასეთ მწარე დღეში ჩააგდებდა.

არადა, ყველაფერი „ინტერისთვის" სასიკეთოდ დაიწყო. მსაჯს თამაშის დაწყების ბრძანება 20 წამის მიცემული ჰქონდა, როდესაც კამბიასოს გადაცემის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ მილიტო გადიოდა. მანუელ ნოიერმა კარი დროულად დატოვა და ბურთი თავით მოიგერია, მაგრამ მოედნის ცენტრში მყოფმა სტანკოვიჩმა, ერთი შეხებით დაარტყა და ცარიელ კარში გოლის გატანით, ანგარიში 25-ე წამზე გახსნა.

მასპინძელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-17 წუთზე, სტუმრებმა კუთხური მოაწოდეს, რასაც „ინტერის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა და ახლო მანძილიდან, მატიპმა ანგარიში გაათანაბრა.

თუმცა, მასპინძლები არც ამ გაშვებულ გოლს დაუბნევია და 34-ე წუთზე, მილიტო-ძანეტი-სნეიდერი-კამბიასოს მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ, ბურთი კვლავ მილიტოსთან მივიდა და ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილ არგენტინელს, თავისიანების დაწინაურება არ გასჭირვებია.

ამ გოლით, მილანელებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეტევაში პრობლემები არ აქვთ, მაგრამ მე-40 წუთზე, მასპინძელთა მცველებს კიდევ ერთხელ ჩამოეძინათ. ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, რაულმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, საჯარიმომდე იარა და ედუ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. მასპინძელთა მე-9 ნომრის პირველი დარტყმა სეზარმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე კვლავ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ითამაშა და ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლის დროს □„ინტერის"□ მცველების შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბურთით რაული იყო, მათ ედუს სივრცე გაუთავისუფლეს და თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცეს, ხოლო დამატებაზე მოთამაშე სტუმართა შემტევს დარტყმაში ხელი ვერავინ შეუშალა.

მეორე ტაიმში გოლები უკვე მხოლოდ გელზენკირხენელებს გაჰქონდათ. 53-ე წუთზე, ფარფანმა ბურთი საჯარიმოს ხაზთან მყოფ რაულს გადააწოდა, ინტერელი მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ ისევ შეუთანხმებლად იმოქმედეს — რაულსა და მეკარეს შორის ძანეტი ჩარჩა და შედეგად, მეკარესთან პირისპირ გასულმა ესპანელმა, ჩემპიონთა ლიგაზე თავისი 70-ე გოლი გაიტანა. „სან სიროზე" გამართული მატჩის შემდეგ, რაულს ევროტურნირებზე უკვე 71 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით, მან მილანელ ფილიპო ინძაგის გადაუსწრო.

თითქოს გელზერკიხენელთა გოლები საკმარისი არ იყო, თავის კარში გატანა „ინტერმაც" დაიწყო. რაულის გოლიდან 4 წუთში, „ინტერის" დაცვის მორიგი ჩავარდნის შემდეგ, რანოკიამ სტუმართა მიერ კარის გასწვრივ გაკეთებული გადაცემის ჩაჭრა სცადა, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ბურთს ადგილი მილანელთა კარში მიუჩინა.ხუთ წუთში, „ინტერი" მსაჯმაც გაწირა — კრისტიან კივუს მე-2 ყვითელი ბარათი უჩვენა და მასპინძლები კაცნაკლულნი დატოვა.

შეხვედრას წერტილი 75-ე წუთზე დაესვა, როდესაც ზუსტად საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფი ედუს დარტყმის შემდეგ, სეზარმა ბურთს თვალი გააყოლა და იგი კარიდან მეხუთედ გამოიტანა. ამ გოლამდე, სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მილანელთა კარი ძელმა იხსნა.

განმეორებით მატჩში, „ინტერს" „შალკესთვის" 4 გოლის გატანა სჭირდება, თან ისე, რომ მილანელთა ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფმა დაცვამ გოლი არ გაუშვას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გელზენკირხენში გასამართ შეხვედრას კივუ გამოტოვებს. ასე რომ, ყველაფერი იმისკენ მიგვანიშნებს, თამამად ვთქვათ — ლიგა ჩემპიონის, ევროპული ფეხბურთი კი იტალიის გარეშე რჩება.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** რაულ გონსალეს ბლანკო

კანდიდატურა მართლაც უამრავი იყო. ამასთან, ყველა ღირსეული, თუმცა მაინც რაული გამოვარჩიეთ, რადგან გამოცდილი ესპანელი ყოჩივით მიუძღოდა გუნდს. შეიძლებოდა 2 გოლის გამტანი ედუს გამოყოფაც, ასევე ჯეფერსონ ფარფანის, თუმცა პერუელი მაშინ უფრო გააქტიურდა, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. და მაინც ესპანელი ვეტერანი.

### რეალი-ტოტენჰემი 4:0 (1:0)

*1:0 ადებაიორი (5), 2:0 ადებაიორი (57), 3:0 დი მარია (72), 4:0 რონალდუ (87)*

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, პეპე, კარვალიო, მარსელო, ხედირა (დიარა 61), ალონსო, დი მარია (კაკა 77), იოზილი, ადებაიორი (იგუაინი 74), რონალდუ

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა (ბასონგი 79), გალასი, დაუსონი, ეკოტო, ჯენასი, სანდრო, მოდრიჩი, ბეილი, ვან დერ ვაარტი (დეფო 46), კრაუჩი

აქაც ყველაფერი პირველი მატჩის შემდეგ გაირკვა. როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდელებმა მოახერხეს და □„ლიონის"□ ბარიერის დაძლევის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზევე" გაარკვიეს ნახევარფინალისტის ვინაობა.

ლონდონური კლუბის რბევა ემანუელ ადებაიორმა დაიწყო, რომელსაც □„ტოტენჰემის"□ კარში გოლების გატანა ჯერ კიდევ ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშის დროიდან ძალიან კარგად გამოსდის. გუშინდელ შეხვედრამდე, ტოგოელ შემტევს, „დეზებისთვის" 9 მატჩში 8-ჯერ ჰქონდა გატანილი. ახლა მატჩების და გოლების რაოდენობა უკვე თანაბარია. ადებაიორმა ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა, როდესაც კუთხურიდან მესუტ იოზილის მოწოდების შემდეგ, საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, ხოლო მისი თავურის შემდეგ გომესმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა.

10 წუთში სტუმრები ძალზე რთულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მე-15 წუთზე, შეტევაში, მარსელოსთან უხეშად თამაშის გამო, პიტერ კრაუჩმა მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა. არაა გამორიცხული, რომ ფელიქს ბრიხის ამ გადაწყვეტილებამ მატჩის შედეგზე გავლენა იქონია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კრაუჩი მე-2 გაფრთხილებას იმსახურებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტაიმის დარჩენილ ნაწილში და მთელს შეხვედრაში მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, შესვენებამდე მეტი გოლი აღარ გასულა.

თამაში ათიოდე წუთის განახლებული იყო, როდესაც მარსელოს მიერ ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებას ადებაიორის მორიგი თავური, გომესის მოძრაობაზე დაჭერა და დუბლიც გაიფორმა.

მადრიდელებმა შეტევებს არც სოლიდური ანგარიშით დაწინაურების შემდეგ უკლეს და 72-ე წუთზე კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. ანხელ დი მარიამ საუცხოო მარცხენათი შორეული დარტყმით ბურთ გომესისგან მარჯვენა ზედა კუთხეში მოათავსა.

წერტილი შეხვედრას კრიშტიანუ რონალდუმ დაუსვა, რომელმაც ერთთვიანი მშრალი სერია შეწყვიტა. 87-ე წუთზე, მარცხენა ფლანგზე მოთამაშე კაკამ ბურთი საჯარიმოში, საპირისპირო მხარეს მყოფი რონალდუსკენ გაგზავნა. პორტუგალიელმა ერთი შეხებით დაარტყა და ახლო კუთხეში გაიტანა.

აღვნიშნავთ, რომ რონალდუმ გოლის გატანა მთელი მატჩის განმავლობაში მე-14 მცდელობიდან მოახერხა. ერთი ფეხბურთელის მიერ 14 დარტყმა საუკეთესო შედეგია 2007 წლის შემდეგ. 4 წლის წინათ, □„მილანი"□-□„სელტიკის" მატჩში კაკამ მეტოქის კარში 15-ჯერ დაარტყა. იმავე მატჩის შემდეგ, 90 წუთში 36 დარტყმა არც ერთ გუნდს არ ჰქონდა. ამ შედეგს, გუშინ „რეალმა" მიაღწია.

ასეთი სტატისტიკის შემდეგ ძნელია □„ტოტენჰემის"□ მხრიდან ორმატჩიანი დაპირისპირების შემოტრიალებას ველოდოთ, განსაკუთრებით, კრაუჩის გარეშე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟოზე მოურინიოს მიერ გაწვრთნილი გუნდის კარში 4 და მეტი გოლის გატანა მხოლოდ ერთ გუნდს შეუძლია და ეს გუნდი □„ტოტენჰემი" ნამდვილად არაა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ემანუელ ადებაიორი

პრემიერლიგის გენებმა ტოგოელ ფეხბურთელში გაიღვიძა და როგორც კი თავისი ძველი ნაცნობი დაინახა, მკვლელის ინსტინქტი აამუშავა. სწორედ ბრიტანულ სტილში გაიტანა ორივე გოლი და ამასთან, საწყისი, რომლებმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. ადებაიორის გარდა საუკეთესოს ტიტულს მარსელო და დი მარიაც იმსახურებდნენ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-შალკე | 2:5 |
| რეალი-ტოტენჰემი | 4:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| რედინგი-პრესტონი | 2:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| კროტონე-ასკოლი | 1:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სტ.ჯონსონი-რეინჯერსი | 0:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 29 | 22 | 2 | 5 | 64:27 | 68 |
| 2.სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61:17 | 67 |
| 3.ჰარტსი | 31 | 18 | 5 | 8 | 46:30 | 59 |
| 4.დანდი | 30 | 13 | 10 | 7 | 41:35 | 49 |
| 5.კილმანროკი | 31 | 13 | 7 | 11 | 46:36 | 46 |
| 6.მოზერველი | 31 | 12 | 4 | 15 | 34:42 | 40 |
| 7.ინვერნესი | 30 | 9 | 9 | 12 | 39:38 | 36 |
| 8.სტ.ჯონსონი | 31 | 8 | 10 | 13 | 18:36 | 34 |
| 9.ჰიბერნიანი | 30 | 9 | 6 | 15 | 33:47 | 33 |
| 10.აბერდინი | 30 | 9 | 4 | 17 | 32:49 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 30 | 6 | 7 | 17 | 27:49 | 25 |
| 12.ჰამილტონი | 31 | 2 | 10 | 19 | 18:53 | 16 |

**პოლონეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ლეხი-პოდბესკიდჟე | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-სან ანტონიო | 90:97 |

*ზაზა ფაჩულია: 3 ქულა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა*

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-დეტროიტი | 107:015 |
| კლივლენდი-შარლოტი | 99:89 |
| ნიუ ჯერსი-მინესოტა | 107:105 |
| ორლანდო-მილუოკი | 78:82 |
| ბოსტონი-ფილადელფია | 99:82 |
| ნიუ იორკი-ტორონტო | 131:118 |
| მემფისი-კლიპერსი | 81:82 |
| ჩიკაგო-ფინიქსი | 97:94 |
| ჰიუსტონი-საკრამენტო | 101:104 |
| დენვერი-ოკლაჰომა | 94:101 |
| პორტლენდი-გოლდენ სტეიტი | 87:108 |
| ლეიკერსი-იუტა | 85:86 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ჰიუსტონი. თიხა**

| | |
|---|---|
| ნიშიკორი-სკუგორი | 6:3;6:2 |
| გაბაშვილი-კაპდევილე | 6:4;7:6 |
| კარლოვიჩი-ბეკერი | 7:6;6:4 |
| სებალოსი-ჰარისონი | 6:4;6:3 |
| ბერლოკი-ბლეიკი | 7:6;3:6;4:6 |

**ვტა. მარბელა. თიხა**

| | |
|---|---|
| ბეგუ-ბრიანტი | 6:4;6:1 |
| რეზაი-კანდელა | 3:6;0:6 |
| ნიკულესკუ-არუაბარენა | 5:7;4:6 |
| საფინა-რუსი | 3:6;6:2;6:4 |
| დომინგეს ლინო-კერბერი | 6:4;3;6;6:3 |
| კუზნეცოვა-ბარტელი | 4:6;7:6;6:4 |
| სავაი-ლარსონი | 6:1;6:1 |

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

| | |
|---|---|
| დოკიჩი-ტატიშვილი | 5:7;6:2;4:6 |
| კირილენკო-ლეპჩენკო | 6:4;6:0 |
| ჰანტუჩოვა-კუდრიავცევა | 6:1;7:6 |
| ოუდინი-პაჩეკი | 1:6;5:7 |
| ჩჟანი-მაიერი | 1:6;4:6 |
| გერგესი-ბირნეროვა | 1:6;7:5;6:0 |
| სპეჰერსი-კრეიბასი | 6:3;6:2 |
| პენგი-მორიტა | 6:2;6:1 |
| კლეიბანოვა-მაკჰეილი | 1:6;0:6 |
| ვიკმაიერი-ჩჟენი | 6:4;6:0 |
| მირზა-კინგი | 6:7;6:4;6:2 |
| პირი-არვიდსონი | 6:1;6:3 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ტამპა ბეი | 4:2 |
| ტორონტო-ვაშინგტონი | 2:2(0:1ბ) |
| მონრეალი-ჩიკაგო | 2:1(ოტ) |
| ოტავა-ფილადელფია | 5:2 |
| პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 4:2 |
| ნეშვილი-ატლანტა | 6:3 |
| სენტ ლუისი-კოლორადო | 3:1 |
| დალასი-კოლამბუსი | 3:0 |
| ედმონტონი-ვანკუვერი | 0:2 |

# *მიხეილ ბერუაშვილი:* „18-წლამდელთა ნაკრებში ადგილი არავის აქვს გარანტირებული"

ასაკობრივი ნაკრებებიდან გასულ სეზონში ყველაზე უკეთ საქართველოს 16□წლამდელთა ნაკრები გამოვიდა. კადეტებმა ესტონეთში გამართულ დივიზიონში 7 მატჩი მოიგეს და 1 წააგეს, თუმცა ა დივიზიონში ვერ გადავიდნენ. მათ საკვანძო მატჩი წააგეს და საუკეთესო ორეულში მოხვედრა ვერ მოახერხეს.

იმ გუნდის ბირთვს წლეულს 18□წლამდელთა ნაკრებში უწევს თამაში, რომელსაც მიხეილ ბერუაშვილი წვრთნის. სავარაუდოდ, უფროს ასაკში გადასული ეს თაობა კვლავ კონკურენტუნარიანი იქნება და ევროპის ჩემპიონატზე ელიტაში ასანაცვლებლად იბრძოლებს. ბულგარეთში 21-31 ივლისს გასამართ ევროტურნირში საქართველოს ნაკრები ჯგუფში უნგრეთთან, ლუქსემბურგთან, ავსტრიასთან და მასპინძელ ბულგარეთთან მოხვდა.

ბერუაშვილი ნაკრებში მუშაობას უკვე შეუდგა და მისი ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**მიხეილ ბერუაშვილი:**

— ვარჯიში მარტის შუა რიცხვებში დავიწყეთ. რამდენიმე წვრთნა რუსთავში ჩავატარეთ, რის შემდეგაც ვაკეში მდებარე, ახალგარემონტებულ □საკალათბურთო აკადემიის□ დარბაზში გადავედით.

***— რამდენი მოთამაშე გყავთ გამოძახებული?***

— კონკრეტულ ციფრს ვერ დავასახელებ. გენერალური შეკრება ჯერ არ დაგვიწყია. ამ ვარჯიშებს მე სელექციის პროცესს დავარქმევდი. ჩვენ ვიბარებთ სხვადასხვა მოთამაშეებს და პირადად ვეცნობით მათ.

***— ნაკრებს ხომ ჰყავს თავისი ბირთვი. მათზე რას იტყვით?***

— ბირთვად შეიძლება ის ახალგაზრდები ჩაითვალოს, რომლებმაც გასულ წელს 16□წლამდელებში ითამაშეს და საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ნაკრებში ის ითამაშებს, ვინც ამას დაიმსახურებს. არა აქვს მნიშვნელობა, შარშან გამოიჩინა თავი თუ შარშანწინ. ვინც კონკრეტულად წლეულს იქნება ფორმაში და ჩვენს გუნდს გამოადგება, ნაკრებშიც იმას ავიყვან. მინდა ვთქვა, რომ გუნდში ადგილი გარანტირებული არავის არა აქვს.

***— ამ ასაკში მოთამაშე პერსპექტიულ ახალგაზრდებზე ინფორმაცია საიდან გაქვთ?***

— ვესწრები საქართველოს 18□წლამდელთა ჩემპიონატს. ვაკვირდები გუნდებს და შესაბამისად, ყველა იმ მოთამაშეს, რომელიც წამყვანი და გამორჩეულია, ნაკრებში ვეძახი. ქუთაისის გუნდიდან 3 კალათბურთელი შევარჩიეთ, თუმცა არიან იქ კიდევ ისეთები, რომლებსაც ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვთ. ბათუმის გუნდიდან გვყავს რამდენიმე მოთამაშე. რეგიონებიდან ფოთის გუნდი დამრჩა სანახავი.

***— როდის დაასრულებთ სელექციის პროცესს?***

— მაისის შუა რიცხვებში დავიწყებთ გენერალურ შეკრებას ყოველდღიური ვარჯიშებით, სადაც საუკეთესო 20 მოთამაშეს მოვიწვევთ. ამ შემადგენლობიდან მოხდება გაცხრილვა და საბოლოოდ ის 12 მოთამაშე შეირჩევა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე წავლენ. ეს ივლისში მოხდება.

***— მოსამზადებელი მატჩების ჩატარებას თუ გეგმავთ?***

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ ივნისში 18□წლამდელთა ნაკრები ამხანაგური მატჩების გასამართად უკრაინაში გაემგზავრება. თუმცა ეს ყველაფერი არაა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ამ საკითხზე მუშაობენ და სავარაუდოდ, უკრაინელების გარდა სხვა სპარინგ-პარტნიორიც გვეყოლება.

***— რამდენად ძლიერ ჯგუფში მოხვდით?***

— საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იოლი ჯგუფი არ არსებობს. საქართველოს ყოველთვის ბრძოლა უხდებოდა და ვფიქრობ, ბრძოლა ახლაც არანაკლებად მოგვიწევს. ის, რომ მასპინძელია ჩვენს ჯგუფში, რა თქმა უნდა, არაა კარგი. ბულგარეთის ნაკრები ალბათ ყველაზე უხერხული მეტიქე იქნება, თუმცა ჩვენ დანარჩენი მეტოქეების მსგავსად, მასპინძლების დამარცხებასაც ვეცდებით. პირველ შეხვედრა ლუქსემბურგთან გვაქვს, რის შემდეგაც უკეთესად გავერკვევით სიტუაციაში. ეს ისეთი ასაკია, როცა მოთამაშეს პროფესიულად ძალიან დიდი ნახტომის გაკეთება შეუძლია. შესაბამისად, შესაძლოა, ვინც შედარებით სუსტი გვგონია, ძლიერი აღმოჩნდეს და პირიქით. ამიტომ, სანამ საქმეში არ ვნახავთ ჩვენს მეტოქეებს, მათ სიძლიერეზე კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით.

***— ის ფაქტი, რომ შარშან 16□წლამდელთა ნაკრებს სულ ცოტა დააკლდა ელიტაში ასასვლელად, თქვენ ალბათ მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. იმ გუნდის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხომ თქვენს ასაკში გადმოინაცვლა.***

— პასუხისმგებლობა ყოველთვის აკისრია მწვრთნელს. საქმე საქართველოს საერთაშორისო არენაზე გაყვანას და მისი სახელის დაცვას ეხება. ასე რომ, პასუხისმგებლობას ყოველთვის ვგრძნობ და ცხადია, ამ შემთხვევაშიც დიდია ეს განცდა. ბულგარეთში გუნდს გასამარჯვებლად წავიყვან. ვეცდებით, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ. ყველაფერი კი ჯგუფიდან გასვლით უნდა დავიწყოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სპორტი

# სპალეტის „იუვენტუსისთვის“ ამზადებენ

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ იტალიელი თავკაცი ლუჩანო სპალეტი მომავალი სეზონიდან ტურინის „იუვენტუსს“ ჩაიბარებს. ასეთი ინფორმაციები არა იტალიურ, არამედ რუსულ ვებგვერდებზე გაჩნდა.

რუსული მედიის მტკიცებით, ტურინელები მოლაპარაკებათა პროცესს უახლოეს 1 თვეში დაასრულებენ, რათა ზაფხულისთვის თავი მშვიდად დაიგულონ და სწორედ 52 წლის სპეციალისტთან ერთად დაგეგმონ ახალი სეზონის.

— ლუჩანომ უკვე გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. ვერ ვიტყვი, რომ მას „ზენიტში“ რამე არ აკმაყოფილებს, მაგრამ ისეთი კლუბისგან სამსახურის შეთავაზება, როგორიც „იუვენტუსია“, იშვიათი შანსია და მასზე უარს ბევრი ვერ იტყვის. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში შედარებით მცირე ანაზღაურებას სთავაზობენ, მან ეს გადაწყვეტილება მაინც მიიღო. გარწმუნებთ, „იუვეს“ ბოსები მოლაპარაკებათა პროცესს მალე ზენიტელ კოლეგებთანაც დაიწყებენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კომპრომისი მალე მოინახება. „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელების აზრით, ლუიჯი დელ ნერის თანამდებობაზე უკეთესი ალტერნატივის მოძებნა უბრალოდ შეუძლებელია. მათ მშვენივრად ახსოვთ ლუჩანოს შედეგიანი მუშაობა „რომაში“ და დარწმუნებულნი არიან, რომ ის წარმატებებს მათთანაც მიაღწევს, — აღნიშნულია მავანი აგენტის სიტყვები რუსულ ვებგვერდებზე.

ამის შემდეგ რუსი ჟურნალისტები კონკრეტულ პასუხს თავად სპალეტიდან ელოდნენ, რომელიც თავდაპირველად შეეცადა თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხებისთვის, თუმცა შემდეგ განაცხადა, რომ ეს ხმები ყოველგვარ საფუძველ მოკლებულია და ამჟამად მთლიანად „ზენიტზეა“ კონცენტრირებული.

— არანაირი წინადადება „იუვენტუსისგან“ არ მქონია. არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩემი ფიქრები ახლანდელ კლუბს დასტრიალებს თავს, — განაცხადა სპალეტიმ.

ასეთი უარის მიღების მიუხედავად ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ახალი წლის შემდეგ ის უკვე იმყოფებოდა იტალიაში, სადაც „ბიანკონერის“ წარმომადგენლებს შეხვდა და სავარაუდოდ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიც სწორედ მაშინ გაიმართა. იანვარში მისი გადაბირება „ინტერსაც“ უნდოდა, თუმცა „ნერაძურიმ“ ლეონარდოსთან მოლაპარაკება მალე მოახერხა.

გეტყვით იმასაც, რომ სპალეტისა და „ზენიტს“ შორის ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის იანვარში გასდის.

# ლიბიელ მეამბოხეთა სარდალი ნატოს უმოქმედობაში ადანაშაულებს



ლიბიელი მეამბოხეების ჯარების სარდალმა, გენერალმა აბდულ ფატაჰ იუნისმა ნატო უმოქმედობაში დაადანაშაულა, მაშინ, როდესაც კადაფის ლოიალური ჯარები ქალაქ მისრატში მშვიდობიან მოსახლეობას უსწორდებოდნენ.

გენერალი იუნისის თქმით, გაეროს უშიშროების საბჭოსაგან მიღებული მანდატის მიუხედავად, ნატომ არაფერი ილონა.

გარდა ამისა, მეამბოხეების სარდალმა ნატოს სტრუქტურის შიგნით მისი აზრით ზედმეტი ბიუროკრატიზაციის ბრალდებები წაუყენა, რის გამოც კადაფის ძალების წინააღმდეგ ოპერაციის დაწყება რამდენიმე საათით გადაიდო.

აბდულ ფატაჰ იუნისი მიმდინარე წლის თებერვლამდე კადაფის მთავრობის შს მინისტრი იყო. მისი თქმით, ნატოს გააჩნია შესაძლებლობა კადაფის ჯარებს ალყაშემორტყმული მისრატიდან უკან დაახევინოს. ეს ქალაქი ქვეყნის დასავლეთით მდებარე და მეამბოხეების ხელში მყოფი ერთადერთი დიდი დასახლებული პუნქტია.

გენერალმა იუნისმა ბენგაზიში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, ნატომ კიდევ ერთი კვირა რომ მოიცადოს, მისრატისგან აღარაფერი დარჩება.

ნატო აცხადებს, რომ ოპერაცია გრძელდება და მისრატი კოალიციის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საჰაერო თავდასხმებმა კადაფის ჯარების სამხედრო შესაძლებლობები დაახლოებით ერთი მესამედით შეკვეცეს, მაგრამ ლიბიის ჯარების სარდლობას განგებ შეჰყავს ტექნიკა მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, სადაც საჰაერო თავდასხმების განხორციელება გართულებულია.

ნატოს შტაბის წარმომადგენელმა ბრიუსელში, ბრიგადის გენერალმა მარკ ვან უმმა განაცხადა, რომ ადამიანებს ცოცხალი ფარის სახით რომ იყენებენ, ნატო ბრძოლაში არ ერთვება.

კადაფის ლოიალური ძალები ბოლო დროს უპირატესად სატვირთო და ჩვეულებრივ ავტომობილებს იყენებენ და მძიმე ტექნიკას საფარში ტოვებენ.

იმავდროულად, პენტაგონმა განაცხადა, რომ აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა დაასრულეს საბრძოლო მისია, მაგრამ კვლავაც ეხმარებიან კოალიციას დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გარდა ამისა, მოკავშირეთა გამანადგურებლებს ჰაერში საწვავით მართავენ.

იმავდროულად, გამოცემა „ლოიდს ლისთმა“, რომელიც საზოგადოდ ნაოსნობის საკითხებზე წერს, განაცხადა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე, მეამბოხეებისმიერ დაკავებულ პორტ ტობრუკს პირველი ტანკერი მიადგა.

ეს ინფორმაცია თავად მეამბოხეებს არ დაუდასტურებიათ.

სავარაუდოდ, გემს, რომელიც ბერძნულ კომპანიას ეკუთვნის, 100 მილიონი დოლარის ნავთობის ტრანსპორტირება შეუძლია.

მიმომხილველების თქმით, ლიბიის

გაგრძელება მე-15 გვერდზე

# გადავა, არ გადავა — ნოიერს „ბაიერნს“ უწინასწარმეტყველებენ

„ბილდის“ ინფორმაციით, მანუელ ნოიერმა „შალკეს“ ხელმძღვანელებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უთხრა. არსებულ ხელშეკრულებას კი ვადა 2012 წლის ივნისში გასდის. ამავდროულად, გერმანიაში უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, ნოიერს მიუნხენის „ბაიერნისთვის“ სიტყვა ჰქონდეს მიცემული, ან სულაც წინასწარი კონტრაქტი გაფორმებული.

თვითონ მანუელი ამას უარყოფს, ჩემი კონტრაქტის შესახებ ახალი არაფერიაო და ამას ამბობს „შალკეს“ მენეჯერი ჰორსტ ჰელდტიც. ეს უკანასკნელი გამორიცხავს იმას, რომ ნოიერს „ბაიერნთან“ წინასწარი კონტრაქტი ჰქონდეს გაფორმებული. გერმანიის ნაკრების მეკარესთან შეთანხმებას უარყოფენ მიუნხენშიც — „ბაიერნის“ მენეჯერ კრისტიან ნერლინგერის თქმით, მანუელს რეკორდმაისტერისთვის არც სიტყვიერი პირობა მიუცია.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის კოდექსის მიხედვით, მიუნხენური გრანდის შეფებს ნოიერთან ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყების უფლება არც აქვთ, რადგან მანუელი „შალკეს“ საკუთრებაა და მასთან მხოლოდ მას მერე ექნებათ მოლაპარაკებების დაწყების უფლება, როცა „შალკეს“ მოურიგდებიან ან მას მერე, როცა ნოიერი თავისუფალი აგენტი გახდება.

ჩვენი გერმანელი კოლეგებიც სწორედ ამას ვარაუდობენ. მათი აზრით, ნოიერი დიდი ხანია, „ბაიერნს“ მოურიგდა და ეს „შალკეს“ ხელმძღვანელებისთვის გვერდის ავლით არ გაუკეთებია. ეჭვებს ისიც აღრმავებს, რომ რეკორდმაისტერის შეფები ჯიუტად ამბობენ, მანუელის ყიდვა გვინდაო. არადა, მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის“ ფანების დიდი ნაწილი ტრანსფერის კატეგორიული წინააღმდეგია. „ბილდის“ ვარაუდით, ული ჰიონესი იმიტომაც აგრძელებს ნოიერზე ღიად საუბარს, რომ ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია.

შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ ნოიერის სანაცვლოდ ფულის მიღება მხოლოდ ზაფხულში შეუძლია, რადგან 2012 წლის ზაფხულში ბუნდესმეკარე უკვე უფასო იქნება. მანუელ ნოიერი 20 მილიონ ევროდაა შეფასებული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში**

**ჯემალ გაბისონია 69 წლისაა**

მას გულითადად ულოცავენ ნორჩი დინამოს ვეტერანი ფეხბურთელები დავით მუჯირი, ნომალ მაისურაძე, გოჩა ცქუნუჩავა, ლევან კანთელაძე და მერაბ ჩხიკვაძე

# ხართ თუ არა საქმიანი ადამიანი




**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**

1. თუ იქცევით ისე, რომ ახლობლების სიყვარული დაიმსახუროთ?
2. ელით თუ არა გამორჩენას კეთილი საქმეებისაგან?
3. აკრიტიკებთ თუ არა სხვებს საქმის ვითარებაში ბოლომდე გაურკვევლად?
4. ადგენთ თუ არა გეგმას და ცდილობთ თუ არა მის რეალიზებას?
5. დემოკრატიული თუ ხართ?
6. ხართ თუ არა მომთმენი?
7. შეგიძლიათ თუ არა ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება?
8. თუ ასხვავებთ ერთმანეთისგან მიზანს და მისი მიღწევის საშუალებებს?
9. თქვენ მიმართ უნდობლობის პირობებში თუ რჩებით თქვენი მიზნის ერთგული?
10. თუ მოქმედებთ ეთიკის წესების მიხედვით?
11. გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა?
12. შეგიძლიათ თუ არა სხვისი გამოცდილების გამოყენება?
13. თუ შეგიძლიათ უსიამოვნო ფაქტებს გაუსწოროთ თვალი?
14. არის თუ არა მშვენიერება თქვენი შთაგონების წყარო?
15. თუ ნაღვლობთ და განიცდით იმის გამო, რაც თქვენზე არ არის დამოკიდებული?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-5 ქულა:** თქვენ ნორმალური, საქმიანი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სრულყოფილებამ საზღვრები არ იცის.

**6-10 ქულა:** საქმიანი ადამიანის თვისებები გახასიათებთ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებთ.

**11-15 ქულა:** თქვენ ჯერჯერობით მხოლოდ იმ გზის დასაწყისში ხართ, რამაც საქმიანი ადამიანად შეიძლება გაქციოთ.

გ.თ.

# საფრანგეთში ისლამის როლთან დაკავშირებული დებატები გაიმართა

საფრანგეთში ოთხშაბათს გაიმართა დებატები თემაზე „ისლამის როლი საერო საფრანგეთში“, რომლის ორგანიზატორიც მმართველი პარტია „კავშირი სახალხო მოძრაობისათვის“ გახლდათ.



ამ დებატების გამართვასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვეს საფრანგეთის ისლამურმა ასოციაციებმა და სხვა რელიგიურმა ჯგუფებმა. უკმაყოფილება გამოხატა აგრეთვე თავად პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის პარტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიიონმა შეშფოთება გამოთქვა, რომ მსგავსმა ღონისძიებებმა „მუსლიმანების სტიგმატიზაცია“ შეიძლება გამოიწვიოს.

ერთი კვირის შემდეგ საფრანგეთში ძალაში შედის კანონი, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადრის ტარებას კრძალავს.

საფრანგეთში 1905 წელს მიიღეს კანონი, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიას ერთმანეთისაგან მიჯნავს. უნდა ითქვას, რომ განხეთქილება საერო ხელისუფლებსა და ეკლესიას შორის საფრანგეთში გაცილებით ადრე, 1789 წელს გამოიკვეთა.

საფრანგეთის შს მინისტრის თქმით, 1905 წელს საფრანგეთში ძალიან ცოტა მუსლიმანი იყო. ამჟამად მათი რიცხვი 5-6 მილიონს აღწევს. საფრანგეთში დღეს ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით მეტი მუსლიმანი ცხოვრობს.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ექვსი უმსხვილესი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დებატების გამართვით უკმაყოფილება გამოხატეს. ისინი აცხადებენ, რომ არც ერთი რელიგიის წარმომადგენლების სტიგმატიზაცია არ შეიძლება.

დებატების გამართვის ოპონენტების თქმით, პრეზიდენტ სარკოზის უფრო საკუთარი პოპულარობის დაცემა ადარდებს და მემარჯვენე ელექტორატის გულის მოგებას ცდილობს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კუნძული მდინარე სენაში, პარიზის ისტორიული ცენტრი; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 4. ყველაზე დიდი მდინარე იტალიაში; 5. ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 6. ქართული სპორტული რადიო; 7. საქართველოს ეროვნული გმირი; 10. ტელეფონის გამომგონებელი, შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი ტექნიკოსი; 11. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 12. ტბა უნგრეთში; 13. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 18. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 19. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი ხის ყუთი; 21. იტალიელი მწერალი, კინოსცენარისტი; 24. სილვესტერ სტალონეს ეკრანული როლი.

**თარაზულად:** 1. ქალის სასიმღერო ხმა; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. მკაცრი აკრძალვა; 14. მცენარეთა სამყარო; 15. რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი; 17. ქართული სპორტული გაზეთი; 20. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; 22. იმრე კალმანის ოპერეტა; 23. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 25. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 25. რაიონული ცენტრი იმერეთში; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. „ფორმულა 1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭკუა; 2. მძივი; 3. აჯანი; 4. ფლავი; 5. ესთეტი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანია; 11. ლაფონტენი; 14. გრანდი; 15. საჰიბი; 16. ფარჩა.

**თარაზულად:** 1. ჭიამაია; 4. ფლემინგი; 7. უნცია; 9. ცირკი; 12. ჩიტაია; 13. აგუნა; 14. გუთები; 17. ჰაიტი; 18. სკანდერბეგი; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტუში; 2. ონი; 3. ხოზაფინი; 4. სი; 5. ნაკამურა; 6. გუნო; 7. ჟინვალი; 10. ბუტი; 11. კორონაცია; 12. პაპარაცი; 13. ჭონი; 16. ალუპკა; 18. სუფრული; 19. ლიახვი; 21. სანტე; 24. კოპრა.

**თარაზულად:** 1. ტორპედო; 3. ხუცესი; 8. ქაბული; 9. შობა; 14. ატილა; 15. ხორუმი; 17. პონი; 20. ნუნისი; 22. რაუტი; 23. იგრეკი; 25. ოდა; 26. პუმა; 27. არფა; 28. პედიატრია.

# კოტ დივუარში ახალი პრეზიდენტის მომხრეები ძველის რეზიდენციას უტევენ

კოტ დივუარში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული პრეზიდენტის, ალასან უატარის ერთგული ჯარები მისი მეტოქის, ლორან გბაგბოს აბიჯანში მდებარე რეზიდენციას უტევენ.

ქალაქის ქუჩებში ავტომატური იარაღის სროლის ხმა ისმის. გბაგბოს მომხრეებმა აბიჯანში მყოფი ფრანგი სამხედროები უატარის მომხრეთა მხარდაჭერაში დაადანაშაულეს.




მათი თქმით, ეს იერიში გბაგბოს მკვლელობის მცდელობაა.

ამ ბრალდებების პასუხად ფრანგული სამხედრო ქვეგანაყოფების სარდალმა განაცხადა, რომ ფრანგი ჯარისკაცები პრეზიდენტის რეზიდენციის იერიშში არ მონაწილეობენ.

ლორან გბაგბომ, რომელმაც თავი არჩევნებში დამარცხებულად არც ცნო, უარყო გავრცელებული ცნობები, თითქოს იგი მზად იყო თავისი პოლიტიკური ოპონენტის ჯარებს დანებებოდა.

ფრანგული ტელეარხის „ელსიაისათვის" მიცემულ ინტერვიუში გბაგბომ აღნიშნა, რომ მისი ჯარები ცეცხლის შეწყვეტის პირობებს იხილავენ, მაგრამ პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

გბაგბოს თქმით, მან არჩევნებში გაიმარჯვა და პოსტის დატოვების საკითხის განხილვას არ აპირებს.

იმავდროულად, ადგილობრივმა ტელევიზიამ, რომელსაც უატარის მომხრეები აკონტროლებენ, ჰიტლერის უკანასკნელი დღეების შესახებ ოლივერ ჰირშბიგელის ფილმი „ბუნკერი" აჩვენა.

ლორან გბაგბოს განცხადება კარდინალურად ეწინააღმდეგება მისი წარმომადგენლის, დონ მელოს განცხადებას, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები გბაგბოს და მისი ნათესავების უსაფრთხოებისა და იურიდიული ხელშეუხებლობის გარანტიების შესახებ.

გაეროს წარმომადგენლებმა გარდა ამისა, განაცხადეს, რომ არჩევნებში დამარცხებული პრეზიდენტის სამი მომხრე უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ წინააღმდეგობის შეწყვეტის საკითხს იხილავს.

მათი თქმით, მოლაპარაკებებში გბაგბოს გენერლები არიან ჩაბმული. საფრანგეთის, ამ დასავლეთაფრიკული სახელმწიფოს ყოფილი მეტროპოლის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მხარეები შეთანხმებასთან ახლოს არიან.

უატარისა და გბაგბოს მომხრეების დაპირისპირება ერთ თვეზე მეტია გრძელდება. მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს ქვეყნის უდიდეს ქალაქ აბიჯანში, სადაც ახალი პრეზიდენტის ერთგული ჯარები აქტიურ იერიშზე არიან გადასული.

რუსეთის წარმომადგენლებმა გაეროში კოტ დივუარში მიმდინარე საომარ მოქმედებებში გაეროს სამშვიდობო ძალების და ფრანგი სამხედროების მონაწილეობასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება ითხოვეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის თქმით, სამშვიდობოებს ნეიტრალიტეტის დაცვის უფლებამოსილება ჰქონდათ.

4 აპრილის საღამოს საფრანგეთის არმიის ვერტმფრენებმა და გაეროს სამშვიდობო ძალებმა გბაგბოს მომხრეების ბანაკს დაუშინეს ცეცხლი. გაეროს გენერალური მდივნის, პან გი მუნის თქმით, თავდასხმების მიზანს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა წარმოადგენდა და იგი ლორან ბგაგბოსათვის ომის გამოცხადებად არ უნდა ყოფილიყო აღქმული.

უშუალოდ თავდასხმის წინ გაეროს გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ცოი იუნ ჩინმა გბაგბოს ერთგული სამხედროები გაეროს სამშვიდობოებისათვის ცეცხლის დაშენაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის 11 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

გაეროს უშიშროების საბჭომ კოტ დივუარის კანონიერ პრეზიდენტად ალასან უატარი 2010 წლის დეკემბერში აღიარა. შესაბამისი განცხადების მიღების წინააღმდეგ რუსეთი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ გაერო სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევით თავის უფლებამოსილებებს გადააჭარბებდა.

ამჟამად ხუთმილიონიანი აბიჯანის მოსახლეობის უმეტესობა საომარი მოქმედებების მძევლად იქცა. აბიჯანში განთავსებული ფრანგული სამხედრო კონტინგენტი ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით 1650 ჯარისკაცამდე გაიზარდა. მის ერთ-ერთ ამოცანას ქვეყნიდან უცხოეთის მოქალაქეების ევაკუაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

კოტ დივუარში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად საერთო ჯამში რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა, მილიონამდე ადამიანი ლტოლვილად იქცა.

# იაპონიის ატომურ ელექტროსადგურში წყლის გაჟონვა შეაჩერეს

იაპონიის ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში შეჩერებულია გარემოში რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლის გაჟონვა.

წყალი, რომელსაც სადგურის რეაქტორების გასაგრილებლად იყენებდნენ, მეორე ენერგობლოკის მახლობლად მდებარე რეზერვუარში არსებული ბზარიდან ჟონავდა.




კომპანიის ინჟინრებმა სპეციალური ქიმიური ნაერთების დახმარებით რეზერვუარის გარშემო ნიადაგის გამკვრივება მოახერხეს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსდგურზე რადიაციის გაჟონვასთან ბრძოლა მეტნაკლები წარმატებით 11 მარტს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მიმდინარეობდა.

მიწისძვრის შედეგად 12 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, 15 ათასამდე ოფიციალურად უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, 161 ათასი კვლავინდებურად დროებით თავშესაფრებში ცხოვრობს.

ფუკუსიმას მეორე რეაქტორის გასაგრილებლად გამოყენებული წყლის ანალიზმა აჩვენა, რომ რადიაციის დონე ნორმას 5 მილიონჯერ აღემატებოდა. ამ რადიოაქტიური წყლის გაჟონვას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ, მაგრამ შედეგი მხოლოდ რეზერვუარის გარშემო ნიადაგის ნატრიუმის სილიკატით გაჯერებამ გამოიღო.

გარდა ამისა, ატომური რეაქტორის ოპერატორი კომპანია ზღვაში 11500 ტონა წყლის ჩაღვრას აპირებს, რომელიც რადიოაქტიური იოდის შედარებით ნაკლებ რაოდენობას შეიცავს. „ფუკუსიმას" ატომურ ელექტროსადგურში რადიოაქტიური წყლის შესანახად საცავი არ ჰყოფნით.

ხელისუფლები ამტკიცებენ, რომ ეს წყალი მოსახლეობისათვის საშიში არ არის, რადგან იოდის ნახევარდაშლის პერიოდი დაახლოებით ერთი კვირაა.

გარდა ამისა, იაპონიამ რუსეთს თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების გადასამუშავებელი გემი „ლანდიში" სთხოვა. მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

# ლიბიელ მეამბოხეთა სარდალი ნატოს უმოქმედობაში ადანაშაულებს

დასაწყისი მე-14 გვერდზე

ოპოზიციამ ნავთობის გაყიდვით შემოსავლის მიღება შეიძლება დაიწყოს.

სამოქალაქო ომში გადაზრდილი არეულობის დაწყების შემდეგ ლიბიიდან ნავთობის ექსპორტი სრულიად შეწყდა. ამის შედეგად ნავთობის ფასმა ბოლო ორნახევარი წლის უდიდეს მაჩვენებელს მიაღწია.

ოპოზიციის ნავთობის გარიგებებს კატარი უჭერს მხარს, რომელიც საქმის იურიდიულ მხარეს უზრუნველყოფს. სავარაუდოდ, ნავთობი აღმოჩნდება ევროპის იმ ერთ-ერთ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოში, რომელიც მანამდე ლიბიის ნედლეულზე მუშაობდა.

ნავთობის ტრანსპორტირების დაწყებამ ტობრუკის ნავთობის ტერმინალების დაცლას შეიძლება შეუწყოს ხელი, რაც ლიბიიდან ნავთობის ექსპორტის განახლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიბიის ნავთობსადენები შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს.

იმავდროულად, გამორიცხული არ არის, რომ ტანკერმა ლიბიის სანაპირო ცარიელმა დატოვოს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 7 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "დაკარგული პირამიდა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ორი დღე ველზე"** (15) (შ. ტერონი) **04.15** მხ. ფილმი **"ტაქსის მძღოლი"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი **"მთვარის ყურის მეფე-დედოფალი** **01.00** მხ. ფილმი **"გატაკა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ნიჭიერი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **"ნათლია"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე **00.30** მხ. ფილმი **"პირდაპირი მოქმედება"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **02.30** მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) **04.15** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სასტუმრო"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფ."წმინდა მიწაზე" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"** **13.10** კონცერტი – "თბილისური ავტოგრაფი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ.**"ჩრდილი გზაზე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** "განთიადის" არქივიდან **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"სინათლე ჩვენს ფანჯრებში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "ქართული მხედრობა პოლონეთში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის მეხუთე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ალიკა და ნანა ქაჩიბაიები, რძლები ეკა ადამია, თამუნა სუხიტაშვილი, სიძე ვახტანგ ხოშტარია, შვილიშვილები ირაკლი ხოშტარია, ნანუკა, ნინი, აკუნა ქაჩიბაიები, შვილთაშვილი ანა-მარია ხოშტარია, მული ნანული ქაჩიბაია, რძლები მაყვალა ამაღლობელი, ელისო ჩიხლაძე, ძმისშვილები გია, ზაზა გიგინეიშვილები, დისშვილები ზურა, რუსიკო გუდავაძეები ოჯახებით, მძახალი ნანა ცანავა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა გიგინეიშვილი**

დაკრძალვა: 7 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: გოთუას 16, III სადარბაზო.

დავით გურგენიძე, ნიკო ნებიერიძე, ზაალ ცინაძე, ზურა ყურაშვილი, მამუკა კობახიძე, მერაბ ბალათურია, ვაჟა სალარეიშვილი, გია და ირაკლი გოგავები, გია გვეტაძე, გელა ნაჭყებია, მერაბ ფხალაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანა და ალიკა ქაჩიბაიებს დედის

**ლიანა გიგინეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ზურა გუდავაძე, თამაზ გოგავა, ზაირა რთველიაშვილი, თათა გოგავა, ნინო გოგავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა გიგინეიშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რუსიკო გუდავაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ლიანა გიგინეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გია და ზაზა გიგინეიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა გიგინეიშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

ეროვნული ხსნის მოძრაობა — წინააღმდეგობის ფრონტის საკოორდინაციო საბჭო მწუხარებას გამოთქვამს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ერთგული, მართალი ადამიანის, საბჭოს წევრის

**ავთანდილ ნადირაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.



**გურამ შარაბიძის მონატრება**

მალე გაირბინა უშენოდ გაუსაძლისმა ცრემლიანმა ერთმა წელმა. თავზარდამცემი იყო ჩვენთვის 11 აპრილი. სრულიად მოულოდნელად დაცარიელდა ოჯახი. მწარეა უშენოდ ცხოვრების გაგრძელება. გვენატრები, გვაკლიხარ, გური, შენ დატოვე მოსიყვარულე ოჯახი — მეუღლე რიმა, შვილები რუსუდანი და ნონა, და მანანა.

დააკლდი ყველას — ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებსა და შენს მონადირეთა წრეს. სიკეთის კეთება იყო შენი ცხოვრების წესი. იყავი მართალი, შეუპოვარი, უშიშარი. სიცოცხლე გინდოდა, არ გინდოდა ჩვენი დატოვება, ადრეა წასვლაო, სიმღერა გიყვარდა, მოლხენა. სიმღერით წახვედი.

შენი სიკვდილით გამოწვეული ტკივილი გაგვყვება ჩვენ მარად.

11 აპრილს შევიკრიბებით შენს საფლავთან, ყვავილებით და წმინდა სანთლებით ხელში. კურთხეულ იქნება შენი საფლავი. უფალმა და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა საუკუნო სასუფეველში, ნათელში იყავი, ჩვენო გური. მსუბუქი ყოფილიყოს ეს სასუფეველი, რომელშიც შენ განისვენებ.

*შენი დამწუხრებული ოჯახი*

მეუღლე თინა ურუშაძე, შვილები მერაბ, ვახტანგ გუჯაბიძეები, დისშვილები ვერიკო, გერო, მანანა, ლუარა ჩიტაიშვილები, ნანი, გულო ღლონტები, თენგო მითაიშვილი, შოთა ჯვართავა, ცოლისდა ტატიანა, ცოლისძმა ამირან ურუშაძეები, რძალი ეთერ ზაქარიაძე, ალიკო ბისეიშვილი, თამარ, თენგიზ ურუშაძეები ოჯახებით, თალიკო გუჯაბიძე ოჯახით, ხათუნა, დავით სიხარულიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ ერმალოს ძე გუჯაბიძე**

პანაშვიდი: 7, 8 აპრილს, 5 საათზე, ფალიაშვილის ქ.№52, II სადარბაზო.

დაკრძალვა: შაბათს, 9 აპრილს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე (ველოტრეკთან).

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,704

ევრო — 2,4135

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714

რუსული რუბლი — 0,06

## ამინდის პროგნოზი 7 აპრილისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-21, ღამით — §-11

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-17, ღამით — 7-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-17, ღამით — -1-7







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.


## კასანო ბოდიშს იხდის

**„მილანის" თავდამსხმელმა ანტონიო კასანომ გუნდის გულშემატკივრებს მიმართა და „ინტერთან" მატჩისას გაძევებისთვის ბოდიში მოუხადა.**



— ყველაფერი ძალიან სულელურად გამოვიდა. გოლი რომ გავიტანე, ემოციებს ავყევი და მაისური გავიხადე, რის გამოც პირველი ყვითელი დავიმსახურე, შემდეგ თამაშის წესები უაზროდ დავარღვიე და მეორე ბარათი მივიღე. მესმის, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და ვაღიარებ, რომ მკაცრი საყვედური მეკუთვნის. ასეთი სისულელეები მე ადრეც ჩამიდენია და ახლაც გავაკეთე. იმედია, სამომავლოდ მაინც გავითვალისწინებ ჩემს შეცდომებს და უფრო თავშეკავებული გავხდები. თუმცა, სადღაც გულის სიღრმეში მაინც მიხარია, რომ მილანურ დერბიში თავის გამოჩენა შევძელი. თანაც ჩემთვის ეს მე-5 გოლი იყო, რომელიც სხვადასხვა ქალაქის დერბებში გავიტანე, — განაცხადა კასანომ, რომლისთვისაც მსგავსი ქმედებები ახალი ნამდვილად არ არის.

იტალიის საფეხბურთო მამებმა კი „მილანი" თან დააჯარიმა და თან დაინდო. „როსონერის" ფანების მიერ მოწყობილი „ლაზერული შოუ" და ლეონარდოს შეურაცხმყოფელი ბანერი სულ რაღაც 20 ათასი ევრო დაუჯდება.

„მილანის" ფანებმა მატჩის მე-16 წუთზე ვესლი სნეიდერის მიერ ჯარიმის შესრულების დროს ფეხბურთელსა და ლეონარდოს ლაზერული სხივები პირდაპირ სახეზე მიუშვირეს. გარდა ამისა, მათ „ინტერის" ბრაზილიელ მწვრთნელს უზარმაზარი ბანერი გადმოუფინეს, სადაც ის იუდას როლში ჰყავდათ გამოყვანილი. ბუნებრივია, ისეთი ღრმადმორწმუნე ადამიანისთვის, როგორიც ლეონარდოა, ეს ერთობ მიუღებელი გამოდგა. იტალიის პროფესიულმა ლიგამაც ასე მიიჩნია და საერთო ჯამში, ორივე ინციდენტისთვის კლუბი ზემოთ აღნიშნული თანხით დააჯარიმა.


**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**


## ასტროპროგნოზი 7 აპრილისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, უკმაყოფილო არ დარჩებით. **ქალწული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, ისე მოიქეცით, როგორც თქვენ გსურთ. **მორიელი** — სახლში ცვლილებაა, შეიძლება რემონტი გააკეთოთ. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — სამსახურში სიახლე დაგხვდებათ, შეიძლება დაგაწინაურონ კიდეც. **მერწყული** — დაისვენეთ, ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. **თევზები** — მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს და ახლობლებს, მათ თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 4 აპრილიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

### „ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 2**

# ფრანკო

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



კლიენტი ადვოკატს ეკითხება:

— რა მოხდება, თუკი პროცესის დაწყების წინ მოსამართლეს შინ დიდ, შემწვარ ბატს გავუგზავნი და ჩემს სავიზიტო ბარათს დავურთავ?

— რას ამბობთ, შეიშალეთ. ეს ხომ მოსყიდვის მცდელობაა. მაშინვე წააგებთ პროცესს.

პროცესი დასრულდა, კლიენტმა გაიმარჯვა. ადვოკატთან მივიდა და ეუბნება:

— ამჯერად მე თქვენი რჩევის საწინააღმდეგოდ მოვიქეცი და მოსამართლეს ბატი მაინც გავუგზავნე.

— შეუძლებელია!

— უბრალოდ, ბატს ჩემი მოწინააღმდეგის სავიზიტო ბარათი დავურთე.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება; 3. თვალის ფეკრადი გარსი; 4. საარყე ტიკჭორა; 5. „დეკამერონის" ავტორი; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი"; 10. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 11. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 14. მუსიკალური ნაწარმოები; 15. ოპერა „კარმენის" პერსონაჟი; 16. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 4. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. ჩეხური წარმოების ავსტრიელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. იტალიური საავტომობილო კომპანია; 12. ფირმა „ყაზბეგის" მფლობელი; 13. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. პატარა, წვრილი ძეხვი; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 18. თვითმავალი ელექტროურიკა; 19. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი; 20. ვაშლის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

